საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

15 ნოემბერი **ხუთშაბათი** 2012 **№271 (13 877)** ფასი 80 თეთრი

ევროთასზე,
ძველებურად
პრიენაი,
ცინცაძე!




12

# სდუმან პირამიდები




თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

2



## იბრაშოუ

### შვედეთი 4:2 ინგლისი

ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ინგლისის ნაკრების კარში ოთხი გოლი გაიტანა

გუშინ ამხანაგურების დღე იყო...

7

## ქართული ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩი

14.11. თბილისი. მ. მესხი
20 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 0 |
| ეგვიპტე | 0 |

| საქართველო 4-2-3-1 | ეგვიპტე 4-3-3 |
|---|---|
| ლორია | ელშენავი |
| ლობჟანიძე | ოკა |
| ამისულაშვილი | ჰეგაზი |
| გრიგალავა | ელმოჰამადი |
| კვირკველია | აბდელშაფი |
| ძარია | აბდრაბო |
| კაშია | ელნენი |
| კობახიძე | სალაჰი |
| გრიგალაშვილი | შიკაბალა |
| თარგამაძე | თემშახი |
| დვალი | სალაჰი |
| მწვრთნელი თ. ქეცბაია | მწვრთნელი ბ. ბრედლი |

**საქართველო**

46. დვალი – **დვალიშვილი**
46. თარგამაძე – **ძალამიძე**
55. კობახიძე – **ს. გურული**
66. გრიგალაშვილი - **ქობალია**
75. ძარია – **გორგიაშვილი**

სათადარიგო: რევიშვილი, მიგინეიშვილი, ი. მაისურაძე, ხუბუტია, ფოფხაძე, თომაშვილი

**ეგვიპტე**

46. ელნენი – **გომა**
46. თემშახი – **ზაკი**
65. შიკაბალა – **აშრაფი**

სათადარიგო: ელჰადარი, ლოფტი, გაბერი, რამადანი, ნასეფი, იბრაჰიმი, მეკი

გაფრთხილება: **ამისულაშვილი (58), სალაჰი (75)**

მსაჯი: **ა. ტრიემანისი (ლატვია)**

# ბიძია, მშია!

## ლალი ფეხბურთი ერთხელაც მოგვენატრა



გურამ კაშია (ბურთით)

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ცოდვა-მადლით სავსე ქართულ ფეხბურთში რა არ მომხდარა, თუმცა ამ ბოლო დროს რალაც ძალიან უცნაური ამბები ტრიალებს ჩვენს თავს.

გუშინდელი მატჩის შემდეგ სტადიონის ერთ-ერთი სექტორის მცველი ხალხს ტრიბუნიდან არ უშვებდა, მერე, როგორც იქნა, რაციით დაუკავშირდა უფროსობას და კარიც გაალო. უცნაურობები ამით როდი დასრულდა, საპრესკონფერენციო დარბაზში, როცა უკვე ეგვიპტის ნაკრების თავკაცი **ბობ ბრედლი** საუბრობდა, მათხოვარმა მხარზე მომითათუნა და მითხრა: "ბიძია, მშია!"

არ ვიცი, როგორ მოხვდნენ მათხოვრები საპრესკონფერენციო დარბაზში, მაგრამ ეს რალაც ცუდის ნიშანი უნდა იყოს.

საქართველოს ნაკრების დამრიგებელი **თემურ ქეცბაია** კი ბოლო პრესკონფერენციებზე სიტყვა "ფილოსოფიას" მოურიდებლად ახსენებს. ასე იყო გუშინაც.

შიმშილით დავიწყოთ. საქართველო საფეხბურთო ქვეყანა არის თუ არა, ძალიან საკამათო საკითხია, ეროვნული ნაკრები თამაშობდა და გუშინ ორი ათასი მაყურებელი თუ მოვიდა სტადიონზე. საბუქმეიქერო კანტორებში კი იცოხლეთ, ათჯერ ორი ათასი კაცი გაქანდებოდა ფსონის დასადებად. ნამდვილი ფეხბურთის შიმშილია საქართველოში, თითქოს რალაც კეთდება, მაგრამ საფეხბურთო ავან-ჩავანი ჯერაც ვერ არის მორგებული ქართულ ფეხბურთზე.

მოგვშივდა ისიც, რაც ვიცოდით – ლალი თამაში, როცა ქართველი ფეხბურთელი მოედანზე მეტოქეს ატყუებს.

და ვის რა უნდა ვემათხოვროთ? ფული გინდოდათ, კი ბატონო, სახელმწიფომ მილიონები გაილო ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის, მაგრამ ამით რა? არადა გვშია, ნალდი ფეხბურთი ისე გვენატრება, როგორც მათხოვარს ცხელი შოკოლადი და კრუასანი.

თამაში დაიწყო თუ არა, გამოჩნდა, რომ ჩვენი ნაკრების იერიშების ორგანიზებას ყველაზე უფრო **დავით თარგამაძე** ცდილობდა. ქეცბაიამ ის მარცხენა ფლანგზე გაამწესა, მარჯვენივ კი - ცაცაია **სანდრო კობახიძე**. ჩანაფიქრი ალბათ ასეთი იყო – ორივე ფლანგელი ეფექტურად შეიწეოდა შუისკენ და უკეთესი ფეხით გაამწვავებდა თამაშს.

თარგამაძესაც და კობახიძესაც რამდენჯერმე გამოუვიდათ ეს. სამაგიეროდ, არ იყო აგრესია ფლანგებზე. ამხანაგური მატჩიც იმისთვისაა, რომ მწვრთნელმა ნაირგვარი ვარიანტი მოსინჯოს.

ქეცბაიამ დაცვიდან საყრდენ ნახევარმცველად გადასწია **გურამ კაშია**. არნემის "ვიტესის" კაპიტანი მონდომებული კი იყო, მაგრამ საქმეს მხოლოდ მონდომება ვერ უშველის – კაშიასთვის თითქოს უხერხული იყო ეს ამპლუა.

დაცვის ცენტრში კაშიას ადგილი **გია გრიგალავამ** დაიკავა, მისი მეწყვილე კაპიტნად არჩეული **ალექსანდრე ამისულაშვილი** გახლდათ, განაპირა მცველებად კი **უჩა ლობჟანიძე** და **დავით კვირკველია** ირჯებოდნენ.

განლაგება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. ვერ გეტყვით, რა ტაქტიკური ცვლილებები მოახდინა წინა მატჩებთან შედარებით ბობ ბრედლიმ, მაგრამ კარგი გუნდი კი ჰყავს. შეტევის ორგანიზება, მრავალსვლიანი კომბინაციები, ტექნიკური ილეთები – ეგვიპტელები ამ კომპონენტებში სჯობნიდნენ ჩვენს ნაკრებს.

ეგვიპტეც სამხრეთულ ფეხბურთს თამაშობს. ამბობენ, რომ სამხრეთელების სახსრები უფრო მოქნილია და ამიტომაცაა, სხვებზე უფრო ტექნიკურად რომ აგორებენ ბურთს. ადრე სამხრეთელებში ჩვენც შევდიოდით, ახლა კი უყურებ საქართველოს ნაკრებს და ვერ გაიგებ, რა ფეხბურთს თამაშობენ ქართველები. რა თქმა უნდა, ეს არ არის მხოლოდ ნაკრების მწვრთნელის პრობლემა, გაუგებრობები თითქოს ცხოვრებამ მოგვიტანა.

პირველი წუთების შემდეგ გამოიკვეთა, თუ რას წარმოადგენდა ბრედლის გუნდი. ჩვენი ნაკრების დამცავ ეშელონებს გაუჭირდა სტუმართა ტექნიკურ შემტევებთან გამკლავება.

საქართველოს ნაკრები თითქოს არითმიულად ირჯებოდა, რამდენჯერმე აფეთქდა და გოლის გამოდნობაც შეიძლებოდა. თარგამაძემ **ჯაბა დვალს** კარგად გაუჭრა პასი, დინამოელმა ფორვარდმა კარში დარტყმას ბურთის კარის გასწვრივ გაგზავნა ამჯობინა და სახიფათო მომენტიც გაიფლანგა. თარგამაძემ მარცხენა ფლანგიდანაც სახიფათოდ ჩააწოდა დვალის მისამართით, მაგრამ ჩვენი თავდამსხმელი ვარდნაში ვერ შეწვდა ბურთს.

**მაჰმუდ შიკაბალა, აჰმედ თემშახი, მოჰამედ სალაჰი, მოჰამედ აბდელშაფი** – მათი სახელები ვინძლო არაფერს არ გვეუბნება, მაგრამ გუშინ მოედანზე ჩინებულად ირჯებოდნენ. ეგვიპტელთა ცენტრალური მცველი **აჰმედ ჰეგაზი** კი ისე ირჯებოდა, თვალს მოგჭრიდათ.

მოჰამედ სალაჰმა ორჯერ ვერ გამოიყენა კარგი შესაძლებლობა, აჰმედ თემშახმა სოლო რეიდს მიაყოლა არაზუსტი დარტყმა. ჰეგაზის დაწყებული კონტრშეტევა შიკაბალამ დაასრულა, **გიორგი ლორიასთვის** ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, თუმცა ოდენ კუთხურს გამორჩა.

იყო ეპიზოდი, როცა დვალმა და კობახიძემ ისე ლამაზად, ტექნიკურად გაითამაშეს ბურთი, რომ მცირერიცხოვან ტრიბუნას ოვაცია მოსწყვიტეს.

ჩვენი ნაკრები მეორე ტაიმშიც მონდომებული იყო, მწვრთნელსა და ფეხბურთელებს არ უნდა დავუკარგოთ ის, რომ გუნდს კონცენტრაცია ერთი წამითაც არ დაუკარგავს.

დვალის პასით **შოთა გრიგალაშვილი** გაიჭრა სახიფათო პოზიციაზე, მაგრამ აქედან მხოლოდ კუთხური გამოვიმუშავეთ.

დავით კვირკველიას ფლანგურ ჯარიმას ალექსანდრე ამისულაშვილმა მიაყოლა არაზუსტი თავური.

საქართველოს ნაკრები მეტოქეს ხანდახან მისივე ნახევარზეც კი უწყობდა პრესინგს, მაგრამ ფეხბურთი ისეთია, მხოლოდ მონდომება არ არის ხაკმარისი.

**ხოსნი აბდრაბოს** ეფექტური დარტყმა ჩვენი კარის ხარიხამ აისხლიტა, **ამრ ზაკის** ხვეული დარტყმა კი ლორიამ კუთხურზე მოიგერია. ეგვიპტელებმა შორიდანაც სცადეს ხეირის ნახვა.

82-ე წუთზე ზაკი მეკარესთან პირისპირ დარჩა – საქართველო ლორიამ იხსნა.

ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ირაკლი ქობალია**, მარჯვნიდან **სანდრო გურული**, მარცხნიდან **ლადო დვალიშვილი** – შეცვლების შემდეგ ასეთი იყო ჩვენი შემტევი ტრიო. მონდომება მათაც არ დაეწუნებოდათ, რამდენჯერმე თამაშის გამწვავებაც მოახერხეს, მაგრამ არ იყოს ის, რაც გოლს მოგვიტანდა. ერთხელ კაშიამ მოათვინიერა ბურთი კარგად და ჩინებულად გაუჭრა პასი დვალიშვილს, თუმცა ვერც აქედან გამოვადნეთ რამე ღირებული.

შეხვედრის მიწურულს კარიდან გამოსულმა ლორიამ ითამაშა რისკიანად, მაგრამ გადავრჩით. შემდეგ შეტევაში ჩართული ჰეგაზი ურტყამდა ახლო, ოღონდ რთული პოზიციიდან და სიზუსტემ უმტყუნა.

**მატჩის შემდეგ**

### ბობ ბრედლი:

- კარგი თამაში გამოვიდა კარგი გუნდების შესრულებით. პირველ ტაიმში მართლაც კარგად ვითამაშეთ, სწრაფი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

**- მატჩის შედეგი ლოგიკურად მიგაჩნიათ?**

- შედეგი სამართლიანია. საქართველოს ნაკრები ძალიან მიზანდასახულად მოქმედებდა, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა თამაშის შეტრიალება.

**- როგორ ფიქრობთ, რა სარგებლობა მოუტანა ამ თამაშმა თქვენს გუნდს?**

- ეს მატჩი კარგი ტესტი იყო ჩვენთვის. ამ მომენტისთვის ეგვიპტეში ეროვნული ჩემპიონატი არ მიმდინარეობს და ასეთი მატჩის გამართვა მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ განსხვავებული სტილის ნაკრებს ვეთამაშეთ და ვფიქრობ, ეს სასარგებლო იყო ეგვიპტის ნაკრებისთვის.

**- რატომ შეცვალეთ კარგად მოთამაშე მაჰმუდ შიკაბალა?**

- ის მართლაც კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ეს ამხანაგური მატჩი იყო და სხვა ფეხბურთელების საქმეში ნახ-[illegible]

**- საქართველოს ნაკრებიდან რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდით?**

- ვინმეს გამორჩევა გამიჭირდება, საქართველომ გუნდურად ითამაშა კარგად.

### თემურ ქეცბაია:

- ვფიქრობ, ეს წელი ცუდად არ დავამთავრეთ. ეგვიპტის ნაკრები საკმაოდ კარგი გუნდია, საინტერესო თამაში გამოვიდა. ერთი კარგი პასი, ერთი კარგი დარტყმა და უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა. იმედია, საქართველოს ნაკრებისთვის მომავალი წელი კარგი იქნება, სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს.

**- საქართველოს ნაკრების ასეთ უსახურ თამაშზე პასუხი ვინ უნდა აგოს, ფეხბურთელებმა თუ მწვრთნელმა?**

- უსახურ თამაშში რას გულისხმობთ? რამდენჯერ მინახიხართ სტადიონზე და ასეთი ფილოსოფიური კითხვა არ დაგისვამთ...

**- უსახურ თამაშში ვგულისხმობ თუნდაც იმას, რომ ფეხბურთელებს ბურთის დაჭერა უჭირთ...**

- ბურთი ხელში უნდა დაიჭირონ?...დასამალი არ არის, რომ პრობლემები გვაქვს, უნდა ვიმუშაოთ. ფეხბურთელებს არ უნდა დავუკარგოთ, რომ ბოლომდე იბრძვიან, მოვა ის დროც, როცა სულ სხვა მიზნები ექნება საქართველოს ნაკრებს. გვყავს ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებიც თუ სწორად გააგრძელებენ მუშაობას, ცოტა ხანში უმაღლეს დონეზე ითამაშებენ.

**- შესარჩევში საფარანგეთის ნაკრებთან მატჩამდე კიდევ მოესწრება ამხანაგური მატჩის გამართვა?**

- ვნახოთ, წელს ლუქსემბურგს სტუმრად ვეთამაშეთ და თებერვალში აქ თუ მოხერხდება მათთან შეხვედრა, ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არ არის.

**- კაშია საყრდენ ნახევარმცველად ათამაშეთ...**

- ცენტრალური მცველი ამ პოზიციაზე თუ ითამაშებს, პრობლემა არ არის.

**- ჯაბა დვალის თამაშზე რას იტყოდით?**

- მისი თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. თავდამსხმელი უნდა გაიქცეს, მოატყუოს, გოლი გაიტანოს... გვაქვს პრობლემები. დვალს დღეს არავისზე ნაკლებად არ უთამაშია.

**- ზურაბ ხიზანიშვილს მომავალშიც არ გამოიძახებთ?**

- ვნახოთ...

**- შესარჩევის დარჩენილ მატჩებში რამდენი ქულის ალებას ვარაუდობთ?**

- ყველას გვინდა, რომ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს და ევროპის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს. მაგრამ ლოგიკურად უნდა ვიმსჯელოთ. თუ ჯგუფში მესამე ადგილს შევინარჩუნებთ, ეს არ იქნება ადვილი. კი მინდა,. რომ ბოლო მატჩებში 12 ქულა ავიღოთ, თუმცა 4 ქულა რომ მოვიპოვოთ, ცუდი არ იქნება.

დავით **თავართქილაძე**



ჯაბა დვალს გატანა შეეძლო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ისევ პროფლიგაზე

# ფრიდონ ინჯია: პროფლიგას 15 ნოემბერს აღვადგენთ

27 ოქტომბრის "ლელოში" მარტვილის "მერანის" პრეზიდენტმა ფრიდონ ინჯიამ განაცხადა, რომ აუცილებლად მიაჩნდა პროფესიული ფეხბურთის ლიგის აღდგენა.

შეგახსენებთ, ზაფხულში ეს გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ ბოლო მომენტში, კლუბებმა უკან დაიხიეს.



ფრიდონ ინჯია

ოქტომბერში "ლელოსთან" ინჯიამ ლიგის ვერაღდგენის უცნობი მიზეზი გაამხილა: *"საქმე დარეგისტრირებამდე იყო მისული, მაგრამ ნიკა გილაურმა უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტებს დაუძახა და უთხრა, რომ ლიგა არ შეიქმნებოდა. ეს ჭორი არ არის, მე ვარ ამის მოწმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული ფეხბურთი იმ დაფინანსების ნაწილს ველარ მიიღებდა, რაც გათვალისწინებული იყო".*

მაშინ საქართველოში პროფლიგის იდეა ჩაკვდა და ამით ჩვენი ფეხბურთი უკან დახია. მაგრამ "მერანის" პრეზიდენტი დაგვპირდა, რომ საკითხს ხელახლა წამოწევდა.

ასეც მოხდა: კლუბების მორიგი შეხვედრა 13 ნოემბერს ეროვნულ სტადიონზე გაიმართა და ჩვენდა გასაკვირად, ბოლოდროინდელი ტრადიცია არ დაარღვიეს და ეს შეხვედრაც მედიისთვის გაასაიდუმლოეს. გაუგებარია, რა აქვთ დასამალი.

კარგით, ეს სხვა თემაა, მთავარია, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღეს, რაც ინჯიამ გვითხრა:

- კლუბები პროფლიგის აღდგენაზე შევთანხმდით.

**- ვინ იყო იდეის ინიციატორი?**

- მე გახლდით. "ლელოსთან" ინტერვიუში ვთქვი ის, რაც ყველაზე მეტად მაწუხებდა და შეკრებაზე საკითხი დავაყენე, რომ დროა, ეს ორგანიზაცია ავამოქმედოთ-მეთქი. სხვაგვარად ჩვენი ჩემპიონატის განვითარება წარმოუდგენელია. შეკრებას 12-დან 9 კლუბის წარმომადგენელი ესწრებოდა. ერთადერთი, მხოლოდ ქუთაისის "ტორპედოს" წარმომადგენელმა გვითხრა, რომ პასუხს მოიფიქრებდა, რადგან კლუბის პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ მოსვლა ფიზიკურად ვერ მოახერხა, საკითხს კი მასთან შეუთანხმებლად ვერ გადაწყვეტდა.

**- ლიგის აღდგენა როდის გაფორმდება?**

- სავარაუდოდ, 15 ნოემბერს "დინამო-არენაზე" შევიკრიბებით, შეთანხმებაზე ხელს მოვაწერთ და ლიგას დავაფუძნებთ.

**- ორგანიზაციას ვინ უხელმძღვანელებს?**

- დროებით, პრეზიდენტის არჩევამდე, პროფლიგის აღმასრულებელი დირექტორი "დინამოს" იურისტი ლევან ეზუხბაია იქნება.

**- რომელიმე კლუბი წინააღმდეგი იყო? მაგალითად, გვაინტერესებს, როგორია სახელმწიფო კლუბების პოზიცია?**

- სასიხარულოა, რომ უმრავლესობამ მხარი დაგვიჭირა. ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგ არავინ წასულა და პრეტენზია არავის ჰქონია. სხვათა შორის, კლუბების შეხვედრაზე ჯერ კიდევ 5 ნოემბერს ვთქვით, რომ შემდეგ შეკრებაზე ლიგის საკითხზე ვიმსჯელებდით.

**- როგორი იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას პოზიცია?**

- შეხვედრას არც ის და არც ფედერაციის სხვა წარმომადგენელი არ ესწრებოდა. მაგრამ მანამდე გვითხრა, დააფუძნეთ ლიგა და წაილეთ ჩემპიონატი, საწინააღმდეგო არაფერი მაქვსო.

■ ■ ■

ფრიდონ ინჯია კერძო კლუბის მეპატრონეა. რა პოზიცია აქვთ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ კლუბებს? ამ კუთხით, საინტერესო არის გორის "დილას" დამოკიდებულება.

*"პროფლიგის აღდგენა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო ჩანაფიქრია. მაგრამ გვაინტერესებს, რა სახსრებით აპირებენ ბიუჯეტის შედგენას, რა ოდენობის იქნება ჩემპიონატის საპრიზო ფონდი, როგორ მოხერხდება ეროვნული ჩემპიონატის ტელევიზიით გაშუქება და, საერთოდ, რა გეგმები გააჩნიათ. თორემ, ჩანაფიქრი უდავოდ კარგია"* – გვითხრა "დილას" მენეჯერმა, **გია ისიანმა.**

**მერაბ მამულაშვილი**

წერილი რედაქციას

# ნოდარ ახალკაცი იმსახურებს პატივის მიგებას

2 იანვარს, არ გვეშინია ვიყოთ ბანალურები, დიდ ქართველს — **ნოდარ ახალკაცს** 75 წელი უსრულდება. არ ვიცითო კაცის დაფასება — არაერთხელ გვითქვამს გულჩაწყვეტით თითოეულს, მაგრამ არიან პიროვნებები, რომელთა დამსახურებას ვერც კაცი და ვერც დრო ვერ მიჩქმალავს. არადა, ვინ არ არის „საპატიო თბილისელი" ვინ?! — არავის ვაკნინებთ, მათ ალბათ ეს დაიმსახურეს, მაგრამ თბილისისთვის თუ ვინმეს სახელი და დიდება მოუტანია, ერთ-ერთი გამორჩეული ნოდარ ახალკაცი და მისი თბილისის „დინამოა". თუმცალა „საპატიო მოქალაქეობას" ვინ ჩივის, ქუჩაც არ არსებობს მისი სახელობის. ერთგვარად გული გვწყდება, როცა ვგებულობთ, თუ რა პატივი მიაგეს უკრაინაში ვალერი ლობანოვსკის (ძეგლიც კი დაუდგეს), ჩვენთან კი სრული მდუმარებაა, თუმცალა ნოდარ ახალკაცის დამსახურება არაფრით ჩამოუვარდება არავის ღვაწლს. სწორედ ამიტომაც იმედს ვიტოვებთ ახლა მაინც გამოიღებენ ხელს ისინი, ვისაც ეს საქმე ხელეწიფების (იანვარში თხუთმეტი წელიც სრულდება მისი გარდაცვალებიდან), და უყურადღებოდ არ დატოვებენ, ჩვენსა და ჩვენ უკან მდგომი ფართო საზოგადოების მორიდებულ თხოვნას, რომ სათანადოდ დაფასდეს ამ დიდი პიროვნების ღვაწლი, რომელიც უდაოდ მთელი ეპოქაა და ღირსეული პატივი მიეგოს მის ხსოვნას. გვჯერა, ამჯერად მაინც ჩვენი სიტყვა არ დარჩების — ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

**დავით კვინიკაძე**
**ნოდარ კოზერიძე**



ნოდარ ახალკაცი

**პირველი ლიგა. B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი – სამტრედია | 4:1 |
| ლიახვი – შუქურა | 0:0 |
| სამგურალი – ლოკომოტივი | 2:2 |
| ზოოვეტი – მერცხალი | 1:0 |
| ადელი – ჩხერიმელა | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 12 | 10 | 1 | 1 | 33-5 | 31 |
| 2. კოლხეთი (ხ) | 11 | 8 | 1 | 2 | 18-11 | 25 |
| 3. შუქურა | 12 | 7 | 2 | 3 | 20-10 | 23 |
| 4. ლოკომოტივი | 12 | 6 | 3 | 3 | 30-12 | 21 |
| 5. სამტრედია | 12 | 6 | 2 | 4 | 14-11 | 20 |
| 6. სამგურალი | 12 | 4 | 4 | 4 | 20-22 | 16 |
| 7. ზოოვეტი | 12 | 4 | 3 | 5 | 14-17 | 15 |
| 8. მერცხალი | 11 | 3 | 3 | 5 | 16-14 | 12 |
| 9. ლიახვი | 12 | 2 | 3 | 7 | 8-26 | 9 |
| 10. ადელი | 12 | 2 | 0 | 10 | 15-34 | 6 |
| 11. ჩხერიმელა | 12 | 2 | 0 | 10 | 11-37 | 6 |

საფეხბურთო კლუბი „საბურთალო" სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელებს ბადრი და ავთანდილ ნიკლაურებს მამის გარდაცვალების გამო.

თბილისის ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს ჯანო ანანიძეს მამის გარდაცვალების გამო.

ახალი იდეა



მიშელ პლატინი

# ვითომ, დავავიწყდით?..

## პლატინის ევროს მასპინძლებში თბილისი არ უხსენებია

2020 წელს ევროპის ჩემპიონატის დაწყებიდან 60 წელი სრულდება. ამასთან დაკავშირებით, **მიშელ პლატინიმ** თურქეთში გამართულ უეფას კონგრესზე რევოლუციური იდეა გაამხილა, რომ ევროპის ჩემპიონატს არა ერთმა ან ორმა ქვეყანამ, არამედ ევროპის 12-მა ან 13-მა ქალაქმა უმასპინძლოს.

ცნობილი იყო, რომ პლატინის ინიციატივასთან დაკავშირებული დეტალები წლის ბოლოს გამჟღავნდებოდა და აგერ, ინებეთ: გერმანულმა ჟურნალმა "ბილდმა" დაადგინა, რომ უეფას პრეზიდენტი 27-28 ნოემბერს ბრიუსელში უეფას რამდენიმე წევრი ქვეყნის ფედერაციის ხელმძღვანელს შეხვდება და პროექტს წარუდგენს, რომელსაც 7 დეკემბერს უეფას აღმასკომი განიხილავს, ევროპის ჩემპიონატის ახალი მოდელის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას კი 2013 წლის იანვარში იმედოვნებს.

"ბილდის" ინფორმაციით, პროექტს მხარს უჭერს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **ვოლფგანგ ნოიერბახი,** რომელიც ვარაუდობს, რომ ბერლინი სამ შეხვედრას უმასპინძლებს.

*"პლატინიმ საკუთარი გეგმები გამანდო, რომელიც აღმასკომს დღემდე არ დაუმტკიცებია. მას სურს, ჩემპიონატს ევროპის 13 ქვეყნის დედაქალაქმა უმასპინძლოს – სტამბულმა, ბერლინმა, მადრიდმა, ლისაბონმა, რომმა, ლონდონმა, ამსტერდამმა, მოსკოვმა, ზაგრებმა, ათენმა, პარიზმა და ბრიუსელმა. გამონაკლისი შვეიცარია არის, სადაც კანდიდატად არა ბერნი, არამედ, ბაზელი განიხილება. ნახევარფინალსა და ფინალს კი სტამბული უმასპინძლებს, რადგან თურქეთის დედაქალაქი ფავორიტია. აღმასკომის თანხმობის შემთხვევაში, რვა წლის შემდეგ განახლებულ ევროპის ჩემპიონატს მივიღებთ"* - განუცხადა გამოცემას ნოიერბახმა.

შეგახსენებთ, რომ პლატინიმ ამ იდეის განხორციელების აუცილებლობა მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის შედეგებით ახსნა, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ნებისმიერ ქვეყანას მძიმე ტვირთად აწვება, რამდენიმე შეხვედრის მასპინძლობას კი ყველა მოახერხებსო.

ასეთ ფორმატში 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის პრეტენზია საქართველოსაც ჰქონდა. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** პლატინის შესთავაზა, ტურნირი-პირველი ევროპის ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის ყოფილ ქვეყნებში ჩატარებულიყო და რადგან საბჭოთა ნაკრებში **მესხი** და **მეტრეველი** ბრწყინავდნენ, მასპინძლობის უფლება საქართველოსაც ეკუთვნის, მით უმეტეს, რომ მთავრობის მხარდაჭერაც გვაქვს და უეფას მოთხოვნების ნაწილს ვაკმაყოფილებთო.

იდეა მშვენიერია და პლატინის ნამოწყებას კარგად ერგებოდა, მაგრამ ნოიერბახის კომენტარი ჩვენი ამბიციის რეალობას არ ადასტურებს - მასთან საუბარში პალტინის ევრო-2020-ის შესაძლო მასპინძელ ქალაქებში თბილისი არ უხსენებია. არადა, მაშინ სფფ-ს ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა პირდაპირ გვითხრა, რომ ევრო-2020 პლატინის ამ იდეით თუ ჩატარდა, 90 პროცენტით ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელი საქართველოს დედაქალაქიც იქნებაო. თუმცა, გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ კიდევ ერთხელ გაგვიმეორა, რომ თბილისი კანდიდატებში მოიაზრება.

მალე გაირკვევა, რა არის რეალური და რა არა. ჩვენ არც იმის შანსი გვაქვს, ბალკანელების მსგავსად, უახლოეს წლებში რეგიონული ტურნირი ჩავატაროთ და მწირი საფეხბურთო ცხოვრება გავიხალისოთ. შეგახსენებთ, რომ რეგიონში მშვიდობიანი თანაარსებობის აღსადგენად, სექტემბერში უეფა ბალკანეთის ლიგის დაარსებას დათანხმდა, სადაც ყოფილ იუგოსლავიაში შემავალი ქვეყნების კლუბები ითამაშებენ - სერბეთის, ჩერნოგორიის, ბოსნიის, მაკედონიის, ხორვატიის, სლოვენიის, პლუს უნგრეთ-ბულგარეთის.

ჩვენ ვინლა დაგვწყევლა? უდავოდ კარგი ამბავია, 2015 წელს ევროპის სუპერთასის მატჩს თბილისის "მიხეილ მესხზე" რომ ვუმასპინძლებთ. მაგრამ რეგიონული ტურნირების ხელისშემშლელი პრობლემების მოგვარების გზები არ ჩანს: ჩრდილოეთისკენ გახედვა არ გვინდა; აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში არიან და კავკასიური ლიგის დაარსება გამორიცხულია; თურქული ფეხბურთი ისე განვითარდა, ჩვენთან რეგიონული ტურნირი არ ხიბლავთ, ევროპის ჩემპიონატზე ოცნებაც ზედმეტია და საკუთარ წვენში ვიხარშებით.

უეფა და ფიფა გვეხმარებიან, მაგრამ ამაშიც სხვები გვჯობიან: ახლახან, ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი **დავორ შუკერი** პლატინისთან "ცარიელი" შევიდა და მომავალი წლისთვის ნაკრების ახალი ბაზისა და ოთხი რეგიონული საფეხბურთო ცენტრის დაფინანსებაზე დაითანხმა. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ გრანტს ოთხ წელიწადში ერთხელ მოგვიგდებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

ტურის მწვრთნელი

## დავით მუჯირი:

# მწვრთნელობა ფეხბურთელობაზე ბევრად რთულია

ეროვნული ჩემპიონატის გასული ტურის ცენტრალური მატჩი "იმერული დერბი" იყო, სადაც "ზესტაფონმა" "ტორპედოს" უმასპინძლა და უპრინციპულესი მეტოქე 1:0 დაამარცხა. ლოგიკურია, რომ "ლელომ" ტურის მწვრთნელებად სწორედ ფეროელთა თავკაცები, დავით მუჯირი და ზაზა ზამთარაძე დაასახელა.

"ლელო" დავით მუჯირთან ინტერვიუს გთავაზობთ.

- მოხარული ვარ ასეთი დაფასებით. ხაზგასმით ალვნიშნავ, რომ "ზესტაფონს" ორი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და რომელიმე ჩვენგანის გამორჩევა არ იქნება მართებული.

**- რის ხარჯზე შეძლო "ზესტაფონმა" "ტორპედოს" ძლევა?**

- მინიმალური შეცდომებით ვითამაშეთ, ბიჭებმა სამწვრთნელო შტაბის დავალებები მაღალ დონეზე შეასრულეს და ვფიქრობ, ლოგიკურ გამარჯვებას მივაღწიეთ. გამარჯვების გოლი პირველ ტაიმში გავიტანეთ, მაგრამ მატჩის მეორე ნახევარი უფრო მაღალ დონეზე ჩავატარეთ. გვქონდა ერთი სერიოზული შეცდომა, რითაც მეტოქემ ვერ ისარგებლა, თუმცა მთლიანობაში ჩვენმა დაცვამ და მთელმა გუნდმა დამაჯერებლად იმოქმედა. რა თქმა უნდა, "ტორპედო" ჩვენთვის რიგითი მეტოქე არ არის და მასთან გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი აქვს, მაგრამ ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ჩვენთვის რიგითი თამაში არ არსებობს – მე და ზაზამ ბიჭებს თავიდანვე ვუთხარით, რომ ყველა მატჩი ჩვენთვის ფინალის ტოლფასია.

**- "ზესტაფონის" თამაშში პროგრესს ამჩნევთ?**

- ჩვენს ერთობლივ შრომას შედეგი უკვე მოაქვს, მაგრამ კიდევ უფრო მეტის მიღწევა გვინდა. წარმატების მისაღწევად რესურსი აშკარად გვაქვს და მის გამოსაყენებლად მაქსიმალურად ვიშრომებთ.

**- ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, "ზესტაფონის" ძირითად შემადგენლობაში ალექსი ბენაშვილი გამოჩნდა...**

- ოჯახური პრობლემების გამო მას მოსამზადებელი პერიოდიც გაუცდა და ამის შემდეგაც დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში "ზესტაფონთან" ერთად არ იყო. არადა, მის პოტენციალს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ გუნდის გაძლიერება რეალურად შეუძლია. მოგვწონს საქმისადმი მისი ბოლოდროინდელი მიდგომა და ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში ადგილი ამიტომაც ვანდეთ. საკმაოდ კარგად ითამაშა, მაგრამ ძველ კონდიციებამდე დასაბრუნებლად დიდი შრომა მოუწევს. მთავარია, რომ მისი დიდი იმედი გვაქვს და ვიმედოვნებ, ყველაფერი რიგზე იქნება.

**- ლეგიონერთა მომზადების დონეს როგორ შეაფასებთ?**

- მილხრაუმიც, იელიჩიც და ბოტიგოაც საკმაოდ მაღალი დონის ფეხბურთელები არიან, მაგრამ შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენაში უქმად გატარებული პერიოდი უშლით ხელს – სანამ "ზესტაფონში" მოვიდოდნენ, საკმაო ხანს უკლუბოდ იყვნენ. თუმცა ყველაფერი მათზეა დამოკიდებული და სამივე მათგანს აქვს იმის შანსი, რომ "ზესტაფონთან" ხანგრძლივი კონტრაქტი დაიმსახუროს. მათ შემდეგ მატჩებშიც დავაკვირდებით და საბოლოო გადაწყვეტილებას ზამთარში მივიღებთ. გუნდს ახალი სისხლი ყოველთვის სჭირდება და ძლიერი ლეგიონერების დამატებასაც მივესალმები.

**- გუნდის ძირითადი შემადგენლობა ჯერ არ გამოკვეთილა თუ როტაციას ამჯობინებთ?**

- ძირითადში თამაში არავის აქვს გარანტირებული, მოედანზე ისინი გავლენ, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში ვარჯიშებზე კონკურენტებზე უკეთ გამოავლენენ თავს. პირველი იმპულსი ფეხბურთელისგან უნდა მოდიოდეს, მას თამაში უნდა სწყუროდეს და საამისოდ ბოლომდე იხარჯებოდეს.

**- თქვენი საფეხბურთო კარიერა უკვე დასრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ?**




ზაზა ზამთარაძე და დავით მუჯირი

- ასეა. მოთამაშე-მწვრთნელობა ჩემი მხრიდან იძულებითი ნაბიჯი იყო. მოედანზე იმიტომ გავდიოდი, რომ იმ პერიოდში ბევრი ფეხბურთელი გვყავდა ტრავმირებული.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლა რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?**

- უპირველესად, საუკეთესო ექვსეულში უნდა მოვხვდეთ. კარგია, რომ 2013 წლამდე სათასო მატჩები არ გველის და საშუალება გვაქვს, მთლიანად ჩემპიონატზე ვიყოთ კონცენტრირებულნი. ექვსეულში დამკვიდრების შემდეგ მოსამზადებელ ეტაპსაც მშვიდად დავგეგმავთ და კონკრეტულ გეგმებსაც დავისახავთ. ჩემპიონობის შენარჩუნებაზე კი, რასაკვირველია, ვფიქრობთ.

**- როგორია თქვენი პირველი სამწვრთნელო შთაბეჭდილებები?**

- საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მწვრთნელობა ფეხბურთელობაზე ბევრად რთული და დამღლელია. თუმცა არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ეს საჩემო საქმეა. იმედი მაქვს, მუჯირი-ზამთარაძის დუეტს დიდი მომავალი ექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ფუტსალი

# ასათიანი ნაკრების კანდიდატებს დაასახელებს

ქართულ ფუტსალში დიდი გამოცოცხლებაა და ლამის ყოველდღე გვესმის საინტერესო ამბები.

საქართველოს ფუტსალის ასოციაცია (სფა) ქალთა ფეხბურთს მიხედავს. ამ სახეობის ისტორიაში პირველად, 2013 წელს ქალთა ჩემპიონატი ჩატარდება. გახსნითი მატჩი თბილისში გაიმართება, ხოლო ფინალური - ქუთაისში. აღნიშნული ღონისძიება შეტანილია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კალენდარში.

ქალთა პირველ ეროვნულ ჩემპიონატში სურვილი უკვე 6-მა კლუბმა გამოთქვა. ფუტსალის ასოციაციაში იმედოვნებენ, რომ მონაწილე კლუბთა რიცხვი 8-ს მიაღწევს. არსებული 6 კლუბიდან, 4 დასავლეთ საქართველოს წარმოადგენს, დანარჩენი ორი - აღმოსავლეთს.

ფუტსალის ეროვნული ნაკრები აქამდე რომ გვყოლოდა, პორტუგალიის ფუტსალის ასოციაცია მზად იყო, ვაუთა ეროვნულ ნაკრებთან ერთად, საკუთარი ხარჯით ემასპინძლა.

რაც შეეხება ვაუთა ნაკრებს: ქართული ფუტსალის ისტორიაში, მთავარ მწვრთნელებში საუკეთესო შედეგი **ავთანდილ ასათიანს** აქვს. ასეულის მიღმა მყოფი ნაკრები, მისი ხელმძღვანელობით, 40 საუკეთესოში მოხვდა. მერე ასათიანი ნაკრებიდან გაუშვეს, ეროვნული გუნდი თითქმის არ თამაშობდა და რეიტინგში მდგომარეობა კვლავ გაუარესდა. მაგრამ წესით, პორტუგალიასთან ოქტომბერში ჩატარებული სპარინგებში ერთი გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს რეიტინგში მდგომარეობა საგრძნობლად უნდა გაიუმჯობესოს. სფა-ს საპატიო პრეზიდენტი **კახა დევდარიანი** თვლის, რომ გუნდს მეტი ყურადღება და დაფინანსება სჭირდება.

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი კი თავის თანაშემწე **ბესო არველაძესთან** ერთად, ნაკრების მალტის საერთაშორისო ტურნირზე გასამგზავრებლად თადარიგს იჭერს და მალე გაფართოებულ შემადგენლობას დაასახელებს. ტურნირი 2013 წლის 5-9 იანვარს ლა-ვალეტაში ჩატარდება, ქართული დელეგაცია კუნძულზე 5 იანვარს ჩაფრინდება. კალენდარი უკვე ცნობილია:

**6 იანვარი**

საქართველო — საბერძნეთი
ინგლისი — მალტა

**7 იანვარი**

საბერძნეთი — ინგლისი
მალტა — საქართველო

**9 იანვარი**

ინგლისი — საქართველო
მალტა — საბერძნეთი

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამივე ნაკრებთან დადებითი ბალანსი აქვს: ინგლისს 2007 წლის ნოემბერში 4:3 და 7:3 მოვუგეთ. მაშინ ასათიანი ნაკრების კაპიტანი გახლდათ და ბრიტანელებს თავადაც გაუტანა. მესამედ 2011 წლის 22 იანვარს სკოპიეში (მაკედონია) შევხვდით და ამჯერად 4:0 ვიმარჯვეთ. ბურთების ბალანსი 15:6 საქართველოს სასარგებლოდ არის.

საბერძნეთს 2000 წლის მარტში ხორვატიაში 9:1 მოვუგეთ, 2009 წლის თებერვალს კი მალტაში 0:5 დავმარცხდით, მაგრამ ამის მიუხედავად, ქართული ფუტსალის ისტორიაში პირველად, ნაკრები ელიტ რაუნდში გავიდა. ბურთების შეფარდება - 9:6.

მალტასთანაც დადებითი ბურთების შეფარდება გვაქვს - 18:3. 2007 წლის იანვარს 5:2 მოვუგეთ, 2009 წლის თებერვალს 3:1, 2011 წლის ოქტომბერში კი - 10:0.

და ბოლოს: ფუტსალის ასოციაცია მოლაპარაკებას აწარმოებს ეროვნული ნაკრების შემოსვაზე, რაზეც თანხმობა განაცხადეს გერმანულმა UHLSPORT-მა და იტალიურმა "დიადორამ". მაგრამ სავსებით რეალურია, გუნდის ტექნიკური სპონსორი გერმანული "სალერი" გახდეს. ფუტსალის მესვეურები საბოლოო გადაწყვეტილებას ნოემბრის ბოლოს მიიღებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

პორტრეტი

# რწმენა, ოჯახი, ფეხბურთი: მარინ სკენდერის სამი დასაყრდენი

**მარინ სკენდერი** გორის "დილას" ნევრი მიმდინარე წლის დასაწყისში გახდა და თავი დაგვამახსოვრა, როგორც საიმედო და სტაბილურმა მეკარემ. ვიზუალურადაც და თამაშის მანერითაც იგი თანაგუნდელებსა და გულშემატკივრებს ყოველთვის აგრძნობინებს, რომ "დილას" კარის ხაზზე პრობლემები არ ემუქრება.

გადავწყვიტეთ, სკენდერი "ლელოს" მკითხველისთვის უფრო ახლო კუთხით გაგვეცნო და გაგვეგო, რას ფიქრობს იგი ქართულ კარიერაზე, როგორია იგი მოედანს მიღმა და რით ცხოვრობს ფეხბურთის გარდა. თავიდანვე გეტყვით, რომ მან ძალიან ერუდირებული, ზრდილი და თავმდაბალი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა.

33 წლის მარინი თბილისში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ჰყავს მეუღლე და სამი მცირეწლოვანი ქალიშვილი. არ უყვარს ხმაურიანი სიტუაციები და თავისუფალ დროს ყოველთვის ცოლშვილთან ერთად ატარებს. თბილისი ძალიან მოსწონს, მაგრამ შინიდან გასვლა არ უყვარს.

*"თბილისით და საქართველოთი აღფრთოვანებული ვარ. თქვენი ქვეყანა ჩემს მეორე სამშობლოდ მიმაჩნია და მინდა, აქ დიდხანს დავრჩე. ფეხბურთი ბევრ დროს არ მიტოვებს იმისთვის, რომ საქართველო კარგად დავათვალიერო, მაგრამ თბილისის გაცნობა უკვე მოვასწარი და შემიძლია ვთქვა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში ვცხოვრობ",* - ამბობს სკენდერი.

საკუთარი რელიგიური გრძნობების აფიშირება არ უყვარს, მაგრამ მაინც გაგვიმხილა, რომ ღრმად მორწმუნე კათოლიკეა და ფეხბურთთან ერთად, ყველაზე დიდ დროს ბიბლიის კითხვას უთმობს. იოლად გამონახა საერთო ენა მართლმადიდებელ თანაგუნდელებთან და მათთან ერთად მართლმადიდებლურ ტაძრებში ხშირად დადის. როცა სახლიდან გადის, ოჯახთან ერთად ხშირად დადის თბილისის როგორც მართლმადიდებლურ, ასევე კათოლიკურ ეკლესიებში.

*"მიმაჩნია, რომ ჰობი ზედმეტია ადამიანის ცხოვრებაში. ფეხბურთი ჩემი სამსახურია, გართობა არ მიყვარს, სულიერ სიმშვიდეს ოჯახში ვაღწევ, ყველაზე მეტად კი იესო ქრისტე მიყვარს, რა თქმა უნდა, მეუღლესთან, შვილებთან და მშობლებთან ერთად".*

მოსწონს ქართული ტრადიციები და სამზარეულო, თუმცა სპორტულ რეჟიმს მკაცრად იცავს და არც ალკოჰოლურ სასმელებს ეტანება და არც – ცხიმიან კერძებს. უყვარს ქართველებთან ურთიერთობა და ამბობს, რომ აქ იოტისოდენა წყენაც კი არავისგან შეხვედრია. ყურადღებასა და სითბოს მხოლოდ თანაგუნდელებისგან კი არა, მეზობლებისა და უცნობებისგანაც კი გრძნობს. ხალხთან



მარინ სკენდერი ოჯახთან ერთად

კომუნიკაციის პრობლემა არ აქვს, რადგან რუსულსაც და ინგლისურსაც საკმაოდ ნორმალურად ფლობს.

თანაგუნდელები ძალიან უყვარს და არ სურს, მათგან რომელიმე გამოარჩიოს. მისი ძველი მეგობარი ყოფილა ფიზმომზადების ხორვატი მწვრთნელი **ივო კატუშიჩი**, რომელიც ამჟამად ქუთაისის "ტორპედოში" მუშაობს და როცა დრო აქვთ, თავისუფალ დროს ერთმანეთს ხვდებიან ხოლმე. მარინი რუსთავის "მეტალურგის" მეკარე **ივან ჰოსმანსაც** იცნობს, მაგრამ რაკი ივანი მასზე ახალგაზრდაა და ცხოვრების განსხვავებული სტილი აქვს, ერთმანეთთან ბევრი არაფერი აკავშირებთ.

რაც შეეხება საფეხბურთო კარიერას, სკენდერი მიიჩნევს, რომ "დილაში" თამაში განსაკუთრებული მომენტია მის სპორტულ ცხოვრებაში. საქართველოში ასპარეზობის გარდა, მარინი ასევე პოზიტიურად იხსენებს იმ პერიოდს, როცა ხორვატიის ეროვნულ ნაკრებში იძახებდნენ.

"დილამ" საქართველოს ჩემპიონატში ზედიზედ ათი მატჩი მოიგო, სკენდერმა კი ამ ათ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა. თავმდაბალი მარინი ამ მიღწევაში საკუთარ წვლილს მოკრძალებულად აფასებს: "მე უბრალოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ და ვცდილობ, მაქსიმალურად ვიყო კონცენტრირებული, ასეთ შედეგიანობას კი სამწვრთნელო შტაბსა და თანაგუნდელებს ვუმადლი. "დილა" ერთ მუშტად შეკრული ძლიერი გუნდია და წარმატება სწორედ გუნდური სულისკვეთების შედეგია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ასეთი გუნდის წევრობა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა".

საქართველოს თასის მოგება და ევროპის ლიგაზე ასპარეზობა მის ქართულ კარიერაში, ჯერჯერობით, საუკეთესო მოგონებაა, თუმცა ამაზე შეჩერებას არ აპირებს და მიაჩნია, რომ "დილასთან" ერთად მეტის მიღწევაც შეუძლია – კერძოდ, საქართველოს ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაზე წარმატებული ასპარეზობა.

არ ფიქრობს იმაზე, რა იქნება ხვალ – წინააღმდეგი არ იქნება, თუ საქართველოში კიდევ დიდხანს დარჩება, ფეხბურთის თამაშს კი კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში აპირებს. საამისოდ ჯანმრთელობაც ხელს უწყობს და არც მოტივაციის ნაკლებობას უჩივის.

საქართველოსა და ხორვატიის ჩემპიონატების შედარებისას სკენდერი ამბობს, რომ ორივე ქვეყანას დაახლოებით თანაბარი დონის ლიგა აქვს, თუმცა ზაგრების "დინამოს" მაღალ კლასსაც აღნიშნავს – ეს ფაქტია, ხორვატიის ჩემპიონი ხომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში თამაშობს.

განსხვავებული ჩვენი და ხორვატიის ჩემპიონატს მოედნების მდგომარეობა აქვს, გასაგებია, ვის სასარგებლოდ. საერთო კი ის არის, რომ ორივეგან მატჩებზე ცოტა ხალხი დადის.

"არაფერია ფეხბურთელისთვის იმაზე უარესი, ვიდრე ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში. ასეთ დროს მოტივაციაც ქვეითდება და კონცენტრაციაც. სამწუხაროდ, ეს პრობლემა საქართველოშიც თვალსაჩინოა, თუმცა რამდენიმე სტადიონზე გულშემატკივრები სტაბილურად დადიან და ესეც შეღავათია. შემთხვევით ვისარგებლებ და ერთგული მხარდამჭერისთვის "დილას" ქომაგებს დიდ მადლობას გადავუხდი".

ქართულ ფეხბურთში აქ ჩამოსვლამდეც საკმაოდ იყო გათვითცნობიერებული, "დილაში" გადმოსვლის შემდეგ კი საქართველოს ნაკრების დიდი გულშემატკივარი გახდა და ჩვენი ეროვნული გუნდის საშინაო მატჩებს არ აკლდება. დღევანდელი ნაკრებიდან **თორნიკე ოქრიაშვილს** გამოარჩევს.

მიაჩნია, რომ საქართველოს ჩემპიონატში მაღალი დონის მეკარეები თამაშობენ, ყველაზე მეტად კი **გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე** და **ომარ მიგინეიშვილი** მოსწონს. სხვათა შორის, საზღვარგარეთ მოთამაშე **ნუკრი რევიშვილისა** და **გიორგი მაკარიძის** შესახებაც აქვს ინფორმაცია. ერთი სიტყვით, ქართული ფეხბურთში ძალიან მაღალ დონეზე ერკვევა.

ბუცებისა და ხელთათმანების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ მწვრთნელობა აქვს გადაწყვეტილი. სხვათა შორის, უკვე ფლობს სამწვრთნელო B ლიცენზიას, ყოველთვის გაფაციცებით უსმენს "დილას" მთავარი მწვრთნელის **გიორგი დარასელიას** თეორიულ მეცადინეობებს და თეორიულ ცოდნას იღრმავებს.

"ბედნიერი ვიქნები, თუ ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს მწვრთნელის სტატუსით დავუბრუნდები", - ასეთი სურვილით დაგვემშვიდობა მარინი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# რატომ მოიგებს მანჩესტერ იუნაიტედი

**ავტორიტეტული ამერიკული გამოცემა "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტი რობ ჰიუზი, ინგლისური პრემიერლიგის მოგების უმთავრეს ფავორიტად "მანჩესტერ იუნაიტედს" მიიჩნევს. რატომ? მის არგუმენტებს შეგიძლიათ ქვემოთ სტატიაში გაეცნოთ.**

"მანჩესტერ იუნაიტედი" ცხრილის პირველ საფეხურს ორი ადამიანის ინსტინქტის წყალობით დაუბრუნდა. ერთი 70 წლის შოტლანდიელია, მეორე – 24 წლის მექსიკელი. შარშან, როცა "სიტიმ" თანაქალაქელს ჩემპიონის ტიტული ბოლო ტურის მატჩში ბოლო წამს გამოჰგლიჯა ხელიდან, ყველაფერი ერთმა კომპონენტმა გადაწყვიტა: 10-თვიანი კამპანიის ბოლოს გუნდებს ქულები თანაბრად დაუგროვდათ, "ქალაქელებს" მხოლოდ ბურთების შეფარდება აღმოაჩნდათ უკეთესი.

სხვა დროს ასეთი რამ აღარ უნდა განმეორებულიყო. **ფერგიუსონი** აბუდაბის ფულს მეორედ ამის უფლებას აღარ მისცემდა. მისთვის იმ 55 წლის განმავლობაში, როდესაც ის ფეხბურთს ჯერ თამაშობდა და მერე კი წვრთნიდა, ორი რამ იყო ყველაზე მნიშვნელოვანი: 1. ძალა მოიკრიბე დამარცხების შემდეგ და 2. მონახე ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც გოლის გატანა შეუძლიათ. მიმდინარე სეზონში სხვა რამეზე ლაპარაკი ნამდვილად ვერ იქნება. მართალია, დაცვის ხაზი საკადრო პრობლემების გამო მოისუსტებს, მაგრამ თავდასხმა ნამდვილად საუკეთესოა.

შაბათს "იუნაიტედი" ასტონვილელი **ანდრეას ვაიმანის** დუბლით აგებდა. წინა ხაზში **რობინ ვან პერსი** ირჯებოდა, თავდამსხმელი, ვინც "არსენალიდან" მაისის მოვლენების გამო შეიძინეს. იქვე იყო **უეინ რუნი** – ხანდახან სუფთა შემტევი, დროდადრო კი უკან დახეული შემქმნელი ძალა. ბოსმა გადაწყვიტა, რომ ეს საკმარისი არ იყო. "ვილა" საკუთარ საჯარიმოში იყო ჩამჯდარი და მას გასაღების მორგება სჭირდებოდა. ფერგიუსონმა მინდვრიდან გარემარბი **ეშლი იანგი** მოხსნა. ის **ხავიერ ერნანდესით** შეცვალა. უკანასკნელი გოლების „მოპარვის" ოსტატია. "ჩიჩარიტო" ინგლისის ლიგაში ყველასგან განსხვავდება თამაშის მანერით. მისი უპირატესობა მხოლოდ ძალასა და სისწრაფეზე არ არის დაყრდნობილი. მექსიკელი მუდამ ჩრდილში იმყოფება და თავის შანსს ეძებს. ის მცველებს მაშინ იჭერს შეცდომაზე, როცა უკანასკნელნი გადაწყვეტილების მიღებას წამიერად აყოვნებენ, იჭრება საჯარიმოში და პოულობს რამდენიმე იარდის თუ არა, დუიმის თავისუფალ სივრცეს.

ერნანდესის ძლიერი მხარე შესაბამისი მომენტის შერჩევაა. ის, ფოსტის მტრედის მსგავსად, ინსტინქტებით მოქმედებს. მან სამჯერ შეძლო "ვილას" დაცვაში ამ სივრცის მოპოვება და სამჯერვე გაიტანა. თუმცა ოფიციალურად მხოლოდ ორი ჩაეთვალა, რადგან ერთხელ საკუთარ კარში გაოგნებულმა მცველმა ჩაჭრა. დაე იყოს ასე, მაგრამ ფაქტია, რომ მატჩის მიმდინარეობა სწორედ მან შეცვალა.

ფერგიუსონის განკარგულებაში ოთხი თავდამსხმელია. ოთხივეს ძირითადში თამაშის პრეტენზია აქვს. ოთხივე მათგანს ალბათ ავტომატურად ექნებოდა დაჯავშნილი ადგილი სხვა გუნდების სასტარტოში. ფერგიუსონმა უნდა იზრუნოს, რომ ყველა კმაყოფილი დარჩეს. მან უნდა დაარწმუნოს კარიერის პიკში მყოფი ფეხბურთელები, რომ გუნდის ინტერესების გამო თავიანთ რიგს უცადონ. ერნანდესს სერიოზული საფრთხე ემუქრება, რომ "იუნაიტედის" "ოქროს შემცვლელად" იქცეს, რადგან მას, როგორც სხვას არავის, აქვს თვისება, თამაშში იოლად ჩაერთოს. ჯერჯერობით სიტუაცია ასეთია: "იუნაიტედმა" სეზონში 17 თამაში ჩაატარა. აქედან 10-ში აგებდა, მაგრამ 8-ში მაინც შეძლო მოგება. "ჩიჩარიტომ" 8 გოლი შეაგდო, აქედან 5-ჯერ სწორედ იმ შეხვედრებში, როცა "იუნაიტედმა" თამაში შემოატრიალა. *"არ აქვს მნიშვნელობა, თუ ვის გააქვს გოლი, ჩვენ ყველანი აქ გუნდისთვის ვშრომობთ,"* – აცხადებს ის. თუკი ხავიერს ამის სჯერა, რატომ მოქმედებს ყოველთვის ასე სწრაფად, რათა ბურთზე პირველი აღმოჩნდეს? გუნდურ სულზე თუ ფიქრობს, ერთი წამით მაინც მიმოიხედებოდა ირგვლივ და შეამჩნევდა რომელიმე თანაგუნდელს, ვისაც მშრალი სერიის დასრულება შეიძლება ჰქონდეს მიზნად. მაგრამ ერნანდესი ასე არასოდეს იქცევა. არადა, მან თავისი ოლიმპიური ოცნებები შესწირა მსხვერპლად მიზანს, რომ გრძელ ინგლისურ სეზონს დასვენებული შეხვედროდა. ამ ზაფხულს მექსიკამ ოლიმპიური ოქრო მოიგო. ერნანდესი კი ამას მხოლოდ ტელევიზორთან უყურებდა. შაბათს ფერგიუსონმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმას, რომ: *"მატჩის მომგები ფეხბურთელი კარგ ფორმაშია იმის წყალობით, რომ ზაფხულში კარგად დაისვენა".*

გუნდის მართვის შესაძლებლობა მწვრთნელის დამაჯერებლობაშია. ფერგიუსიონს ამჟამად 1999 წლის შემდეგ საუკეთესო თავდასხმის ხაზი ჰყავს. მაშინ **დუაიტ იორკის, ენდი კოულის, ოლე-გუნარ სულშერისა** და **ტედი შერინგემის** წყალობით "იუნაიტედმა" ყველა გადაქელა თავის გზაზე, მოიგორა პრემიერლიგა, ასოციაციის თასი და ჩემპიონთა ლიგა. ამ გუნდს შესანიშნავად ეხერხება დამარცხებების წარმატებებით ჩანაცვლება. ეს თვისება მწვრთნელს გენებში აქვს.



ხავიერ ერნანდესის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირში ერთად 14 თამაშში 8 გოლი და 3 შედეგიანი გადაცემაა

რასისტული სკანდალი

# გამოძიება დასრულდა

## მაგრამ უფლებადამცველები გაჩუმებას არ აპირებენ

ლონდონის პოლიციამ შეწყვიტა გამოძიება "ჩელსი"-"მანჩესტერ იუნაიტედის" არბიტრის **მარკ კლატენბერგის** წინააღმდეგ. სამართალდამცავების თქმით, არანაირი სამხილი იმისა, რაშიც მას ედავებოდნენ, აღმოჩენილი არ არის. დამოუკიდებელ გამოძიებას ატარებს საფეხბურთო ასოციაციაც, რომლის შედეგები პარასკევ საღამოს გამოქვეყნდება. შეგახსენებთ, რომ "ჩელსის" ფეხბურთელები **ხუან მატა** და **ჯონ ობი მიკელი** მსაჯს არანორმატიული ლექსიკის გამოყენებას ედავებოდნენ. ნიგერიელი შეურაცხყოფათა რასისტულ ხასიათზეც ლაპარაკობდა.

კლატენბერგი და მისი ასისტენტები "მირორისთვის" მიცემულ ინტერვიუში "ჩელსის" წარმომადგენლებს **რონი გურლეის** (აღმასრულებელი დირექტორი), **რობერტო დი მატეოს** (მთავარი მწვრთნელი), **ჯონ ტერისა** (კაპიტანი) და ჯონ ობი მიკელს აქეთ უჩიოდნენ, მატჩის შემდეგ გასახდელში შემოგვივარდნენ და ფიზიკური ანგარიშსწორებით, ფეხების გადამტვრევით გვემუქრებოდნენო. საინტერესოა, რომ ამ ფაქტზე გამოძიება არც დაწყებულა. პოლიციის მიერ საქმის დახურვის შემდეგ არბიტრს კოლეგებთან ერთად ვარჯიშის უფლება მიეცა. წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საფეხბურთო ასოციაცია, მაგრამ მათ ნამდვილად მოუწევთ იმის გათვალისწინება, რომ კლატენბერგის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში მისი რამდენიმე კოლეგა (მათი გვარები არ სახელდება) პრემიერლიგის მატჩების ბოიკოტით იმუქრება.



პოლიციამ მარკ კლატენბერგის წინააღმდეგ საქმის გამოძიება შეწყვიტა, თუმცა საქმეს ამით წერტილი არ დასმია, წინ ასოციაციის ვერდიქტია

### გაგრძელება იქნება...

შავკანიან იურისტთა ასოციაცია (The Society of Black Lawyers) ინგლისის საფეხბურთო კავშირსა და საფეხბურთო კლუბ "ჩელსის" რასისტების მფარველობაში ადანაშაულებს და ამასთან დაკავშირებით პოლიციაში აპირებს განცხადების შეტანას. საჯარო ბრალდების მიზეზი გახდა ის, რომ ზემოხსენებულ ორგანიზაციებს არ გამოუჩენიათ ინიციატივა და პოლიციისთვის მარკ კლატენბერგის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა არ მოუთხოვიათ. *"ჩვენი აზრით, ასოციაციისა და "ჩელსის" საქციელი სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ მათ არ სურთ ინგლისურ ფეხბურთში ერთხელ და სამუდამოდ დამარცხდეს რასიზმი. ეჭვი გვაქვს, რომ პოლიციას არ მიუღია ყველა საბუთი საიმისოდ, რომ კლატენბერგის საქმე სათანადოდ გამოეძიებინა. ამ ამბის გარკვევას ბოლომდე ვაპირებთ. გვაინტერესებს, მისცეს თუ არა ჩვენებები გამოძიებას მათმა წარმომადგენლებმა,"* – აცხადებს იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი **პიტერ ჰერბერტი**.

*P.S ამ განცხადებას "ივნინგ სტანდარტის" ფურცლებზე "ჩელსის" პრეზიდენტმა **ბრიუს ბაკმა** ვრცელი ინტერვიუთი უპასუხა. მასალას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.*

ამბები

### სიტის კიდევ ერთი ამბიცია

"მანჩესტერ სიტიმ" უკვე დაიწყო მსოფლიოში ყველაზე დიდი საფეხბურთო ცენტრის მშენებლობა, სადაც მთავარი გუნდის გარდა დუბლები და ბავშვთა ყველა ასაკობრივი კოლექტივებიც მოემზადებიან. შეიხებს ამბიციური პროექტის მშენებლობა 100 მილიონი ფუნტი დაუჯდებათ. საწვრთნელი ბაზის გარდა "ქალაქელები" "ეტიჰადის" ტრიბუნების გაზრდასაც გეგმავენ. ამჟამად "სიტის" მშობლიურ არენაზე 48 ათასი ადამიანი ეტევა. ჩრდილოეთი და სამხრეთი ტრიბუნების რეკონსტრუქციის შემდეგ კი სტადიონზე 60 ათასი ფანი დაეტევა.

### მირალიაში კიდევ ერთხელ გადარჩა

"ევერტონის" 25 წლის ბელგიელმა გარემარბმა **კევინ მირალიაშმა** ბოლო პერიოდში ორჯერ მიიღო მუხლის ტრავმა. პირველად ის 28 ოქტომბერს მერსისაიდულ დერბიში დაიმტვრა. **დევიდ მოიესი** იძულებული გახდა, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი პირველი 45 წუთის შემდეგ შეეცვალა. იგივე განმეორდა 10 ნოემბერს "სანდერლენდთან" მატჩშიც - ამჯერად მწვრთნელმა ის 30-ე წუთზე შეცვალა. "ევერტონის" ექიმები სერიოზულ ტრავმას ეჭვობდნენ, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. ფეხბურთელი ამჯერადაც გადარჩა. მართალია, ის შაბათს "რედინგთან" მატჩისთვის მზად არ იქნება, მაგრამ კევინი საწვრთნელ პროცესს ყველაზე გვიან ორშაბათს ან სამშაბათს განაახლებს.

### ვალი რეკორდულად დაბალ ნიშნულზე

უახლოეს დღეებში "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა 2012 წლის პირველი კვარტალის ფინანსურ დოკუმენტაციას გამოაქვეყნებს. წინასწარ გახდა ცნობილი, რომ კლუბის ვალებმა სერიოზულად იკლო. ეტყობა, გლეიზერების ოჯახი ამ ნაბიჯზე ამიტომაც წავიდა. პირველად მათი მმართველობის დაწყებიდან კლუბის ვალი 400 მილიონ ფუნტს (498 მილიონი ევრო) ჩამოსცილდა. 2011 წლის მონაცემებით "იუნაიტედის" ბანკების 436,5 მილიონი ფუნტი ემართა. ფინანსური სფეროს ექსპერტები ამას უპირველესად ამერიკულ ბაზარზე კლუბის აქციების გატანით ხსნიან. ივლისის შუა რიცხვებიდან მოყოლებული კლუბმა აქციების წყალობით 68 მილიონი ფუნტის დამატებითი შემოსავალი მიიღო. აქედან რამდენი წავიდა ვალის დასაფარად და რამდენი დარჩებათ "წითელ ეშმაკებს" კიდევ გასასტუმრებელი, ამას თავის დროზე შევიტყობთ.

### ახალი კონტრაქტი STANDARD CHARTERED-თან

"ლივერპული" ბანკ Standard Chartered-თან მოლაპარაკებებს აწარმოებს, რათა მხარეებმა ძველი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე (მოქმედი 2014 წლის ივლისამდეა ძალაში) გააფორმონ ახალი, უფრო ხანგრძლივ დროზე გათვლილი კონტრაქტი გაუმჯობესებული პირობებით. ამჟამად მერსისაიდელები მულტინაციონალური კომპანიისგან წელიწადში 20 მილიონ ფუნტს იღებენ. ამაზე უკეთესი პირობებით "წითლებს" გენერალური სპონსორი ჯერ არ ჰყოლიათ, მაგრამ "ენფილდზე" მიაჩნიათ, რომ რაკი გლობალური ფინანსური კრიზისის მიუხედავად ბოლო პერიოდში მათი შემოსავლები იზრდება, ბანკი მაინც დათანხმდება ხელშეკრულების გადახედვას. მათ იმედი აქვთ, რომ Standard Chartered-ის გადაწყვეტილებაზე არც ის აისახება უარყოფითად, რომ გუნდი ზედიზედ უკვე რამდენიმე წელიწადია ვერ ახერხებს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

## უცხოური ფეხბურთი

● ფუტსალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ტაილანდი



ლეგენდარულმა ფალკაომ არგენტინასთან დუბლი შეასრულა

# ბრაზილიამ სუპერკლასიკო მოიგო

**ტაილანდში** რიგით მეშვიდე მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს ფუტსალში, სადაც უკვე 1/4 ფინალების ჯერი დადგა. ფინალურ ეტაპზე 24 გუნდი 6 ჯგუფში გადანაწილდა, რის შემდეგაც გაირკვა იმ 16 გუნდის ვინაობა, ვინც ასპარეზობას პლეი ოფის ეტაპიდან გააგრძელებდა.

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| პარაგვაი-პორტუგალია | 1:4 |
| უკრაინა-იაპონია | 6:3 |
| ესპანეთი-ტაილანდი | 7:1 |
| ირანი-კოლუმბია | 1:2 |
| იტალია-ეგვიპტე | 5:1 |
| ბრაზილია-პანამა | 16:0 |
| რუსეთი-ჩეხეთი | 3:0 |
| სერბეთი-არგენტინა | 1:2 |

**1/4 ფინალი**

**პორტუგალია-იტალია 3:4 დ.დ.**

**გოლები:** 1:0, 2:0, 3:0 რიკარდინიო (1, 10, 11), 3:1 ასისი (21-პენ), 3:2 ლიმა (37), 3:3 ფორტინო (39), 3:4 ონორიო (42).

**კოლუმბია-უკრაინა 3:1**

**გოლები:** 1:0 რეიესი (22), 2:0 კარო (39), 2:1 ოვსიანიკოვი (40), 3:1 აბრილი (40).

**არგენტინა-ბრაზილია 2:3 დ.დ.**

**გოლები:** 1:0 რესკია (16), 2:0 ბორუტი (17), 2:1 ნეტო (32), 2:2 ფალკაო (34), 2:3 ფალკაო (45).

**ესპანეთი-რუსეთი 3:2**

**გოლები:** 0:1 სირილო (2), 1:1 ორტისი (4), 2:1 ფერნანდაო (14), 3:1 ლოსანო (19), 3:2 ალემაო (34-საკ. კარში).

ფუტსალში, დიდი ფეხბურთისგან განსხვავებით, სენსაციები იშვიათად ხდება. მერვედფინალშიც მოულოდნელი შედეგი არ დაფიქსირებულა და ყველა ფავორიტმა განაგრძო ტიტულისთვის ბრძოლა, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ორ ნაკრებს აქვს მოპოვებული: ბრაზილია 4-გზის ჩემპიონია, ესპანეთი 2-გზის.

წინა მუნდიალზე, რომელიც 2008 წელს ბრაზილიაში გაიმართა, ფინალში სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ თამაში 2:2 დასრულდა, ბრაზილიამ კი მე-4 ტიტული პენალტების სერიაში გამარჯვების შემდეგ მოიპოვა.

მოქმედმა ჩემპიონმა ჯგუფში სამივე თამაში მოიგო, ხოლო მერვედფინალში პანამა 16:0 გაანადგურა. ტურნირზე პირველი გოლი გაიტანა, 2004 და 2008 წლის მუნდიალების საუკეთესო ფეხბურთელმა, ფუტსალის ლეგენდა **ფალკაომ**, რომელიც 2004 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში, ყველა დროის ბომბარდირებში მხოლოდ, ასევე ლეგენდარულ, **მანუელ ტობიაშს** ჩამორჩება.

შედარებით გაუჭირდათ არგენტინას და კოლუმბიას, თუმცა მათ მეტოქეებიც საკმაოდ ძლიერები ჰყავდათ. 1/4 ფინალის საგზური მოიპოვა პორტუგალიამაც, რომელიც მსოფლიოს რეიტინგში მეხუთე ადგილზეა და მუნდიალის წინ, ამხანაგურად საქართველოს ნაკრებს გაეჯიბრა. შეგახსენებთ, ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებს პირველი თამაში 4:2 მოუგო, თუმცა მეორე შეხვედრაში პორტუგალიელებმა ჩვენი ბიჭები 8:0 გაანადგურეს.

მეოთხედფინალის მთავარი მატჩი, რა თქმა უნდა, სამხრეთამერიკული სუპერკლასიკო, არგენტინა-ბრაზილია იყო. "ალბისელესტე" სენსაციასთან საკმაოდ ახლოს იყო და პირველი ტაიმი 2:0 მოიგო, თუმცა "სელესაომ" თამაშში დაბრუნება მოახერხა და 32-ე წუთზე **ნეტომ** სხვაობა შეამცირა, შემდეგ კი ფალკაოს ჯერი დადგა, რომელმაც 34-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა, ხოლო დამატებით დროში, 45-ე წუთზე გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა და ბრაზილია 1/2-ფინალში გაიყვანა. 35 წლის ფალკაოს მუნდიალებზე 37 გოლი აქვს გატანილი და ტობიაშს 6-ით ჩამორჩება.

ასევე დამატებითი დრო დაინიშნა პორტუგალია-იტალიის შეხვედრაში. პორტუგალიელები **რიკარდინიოს** ჰეთ-თრიქის წყალობით სამბურთიანი სხვაობით იგებდნენ, მაგრამ "მოახერხეს" და მეორე ტაიმში იტალიას ანგარიში გაათანაბრებინეს, დამატებით დროში კი მეოთხე ბურთიც გაუშვეს. ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიამ სწორედ იტალიასთან წააგო და რევანშის შესანიშნავი შანსიც ჰქონდა, მაგრამ მუნდიალის 1/2-ფინალის საგზური აპენინელებს დაუთმო.

ოთხეულში ასევე კოლუმბიაც მოხვდა, რომელმაც უკრაინის ნაკრებს მოუგო. კოლუმბიელები 16 ნოემბერს ბრაზილიას შეხვდებიან და დიდი ალბათობით წააგებენ კიდევაც. ძალიან დაძაბული იყო ესპანეთის და რუსეთის მატჩი, რომელიც საბოლოოდ ვიცე-ჩემპიონთა გამარჯვებით დასრულდა. 1/2-ფინალში ესპანეთის ნაკრები იტალიას შეხვდება.

● მოსაზრება

## კარლოს ბიანკი: მესი საუკეთესოა

"ბოკა ხუნიორსის" ყოფილმა მწვრთნელს, 63 წლის **კარლოს ბიანკის** მიაჩნია, რომ **ლიონელ მესი** მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. მიუხედავად იმისა, რომ მესის ეროვნულ ნაკრებთან ერთად ტიტული არ მოუპოვებია, ბიანკი თვლის, რომ მისი სტაბილურობა უფრო მნიშვნელოვანია.

*"ჩემი აზრით, ის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია. ხალხი ამბობს, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონატი არ მოუგია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მესი სამ დღეში ერთხელ თამაშობს და მინდორზე ყოველთვის საოცრებებს სჩადის. ჩვენ უნდა ვხვდებოდეთ, რომ ყველა დროის უდიადესი ფეხბურთელის ყურების საშუალება გვაქვს და ასეთ ფეხბურთელს ვერასდროს ვნახავთ"* – განაცახადა ბიანკიმ.

● ახალგაზრდული ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი.

# ახალგაზრდული ლივერპულის შურისძიება

გრძელდება "ახალი თაობის სერია", იგივე Next Gen Series, რომელიც 19-წლამდელ ფეხბურთელთა ჩემპიონთა ლიგაა და ამ ტურნირის შესახებ რამდენიმე კვირის წინ დაწვრილებით გესაუბრეთ.



აკილ კულთირსტი "ბარსელონასთან" მატჩის დროს

**A ჯგუფი**

**ბარსელონა-ტოტენჰემი 1:4**

**გოლები:** 0:1 კულთირსტი (25), 0:2 კულთირსტ (29), 0:3 კულთირსტი (69), 0:4 პრიტჩარდი (72), 1:4 ბანიკი (89).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 2 | 2 | 1 | 9-5 | 8 |
| 2. ტოტენჰემი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-8 | 8 |
| 3. ვოლფსბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 6-11 | 4 |
| 4. ანდერლეხტი | 4 | 0 | 3 | 1 | 3-4 | 3 |

A ჯგუფში მხოლოდ ერთი მატჩი გაიმართა, რომელიც ბარსელონაში, "მინი-ესტადიზე", "ტოტენჰემის" მოულოდნელი გამარჯვებით დასრულდა. ინგლისელების მხრიდან ჰეთთრიქი 18 წლის **შაკილ კულთირსტმა** შეასრულა, ხოლო ერთი გოლი ტურნირის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა **ალექს პრიტჩარდმა** გაიტანა. ახლა, ბომბარდირთა დავაში 4-4 გოლით სწორედ ეს დუეტი ლიდერობს. ასევე 4 გოლი აქვს "აიაქსის" ვუნდერკინდ **ვიქტორ ფიშერს**, რომელიც უკვე ძირითად გუნდში გადაიყვანეს და ამ ტურნირზე შეიძლება ველარც ვიხილოთ.

**B ჯგუფი**

**პსჟ-ფენერბაჰჩე 2:0**

**გოლები:** 1:0 საინრიმატ-მორეირა (7), 2:0 იაისეინი (65-პენ).

**მან. სიტი-იუვენტუსი 2:3**

**გოლები:** 1:0 პოსო (15), 1:1 სკიავონე (28), 1:2 მაგნუსონი (61), 1:3 ლეო (71), 2:3 მარკოს ლოპეში (81).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 4 | 3 | 0 | 1 | 6-2 | 9 |
| 2. იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 9-6 | 8 |
| 3. მან. სიტი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |
| 4. ფენერბაჰჩე | 5 | 0 | 2 | 3 | 5-11 | 2 |

უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო ტურინის "იუვენტუსმა", რომელმაც სტუმრად "მანჩესტერ სიტი" დაამარცხა. მასპინძლების მხრიდან გოლები 16 წლის ესპანელმა **ხოსე ანხელ პოსომ** და ასევე 16 წლის პორტუგალიელმა **მარკოს ლოპეშმა** გაიტანეს.

"პარი სენ ჟერმენმა" და "იუვენტუსმა" ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს, რადგან მომდევნო ეტაპზე ჯგუფის 2 გამარჯვებულის გარდა, 4 საუკეთესო მესამეადგილოსანიც გადის.

**C ჯგუფი**

**აიაქსი-ცსკა 2:1**

**გოლები:** 0:1 ნეტფულინი (28), 1:1 მენიგი (45), 2:1 ვან დენ ბოომენი (59).

**ჩელსი-მიოლდე 6:0**

**გოლები:** 1:0 ფერუზი (9), 2:0 ფერუზი (22), 3:0 კივომია (57), 4:0 მიტჩელი (66), 5:0 ლუკას პიაზონი (68), 6:0 სავილი (70).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 6 | 4 | 0 | 2 | 8-5 | 12 |
| 2. აიაქსი | 4 | 3 | 0 | 1 | 12-3 | 9 |
| 3. ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 9-3 | 7 |
| 4. მიოლდე | 6 | 0 | 1 | 5 | 2-20 | 1 |

ამ ჯგუფში სულ 2 მატჩი დარჩა გასამართი. მოსკოვის ცსკ-მ და "მიოლდემ" ასპარეზობა დაასრულეს. მოსკოველები 1/8-ფინალში გავიდნენ, ისევე როგორც ამსტერდამის "აიაქსი", აი ლონდონის "ჩელსიმ" კი მომდევნო ეტაპის საგზური დარჩენილ ორივე შეხვედრაში მარცხის შემთხვევაშიც კი შეიძლება მოიპოვოს.

ამ ტურში ლონდონელებმა "მიოლდე" გაანადგურეს. ექვსი გოლიდან ერთი **ლუკას პიაზონმა** გაიტანა, რომელიც ლიგის თასზე ძირითად გუნდშიც გამოჩნდება ხოლმე.

**D ჯგუფი**

**ასტონ ვილა-პსვ 2:0**

გოლები: 1:0 ბურკი (19), 2:0 დრენანი (83).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-5 | 9 |
| 2. ასტონ ვილა | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 3. პსვ | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 6 |
| 4. სელტიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 4 |

მეოთხე ჯგუფში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა ბირმინგემის "ასტონ ვილამ". ამ ჯგუფის აშკარ ფავორიტი ლისაბონის "სპორტინგია", აი დარჩენილი საგზურებისთვის კი სამეული იბრძოლებს და მათი შანსები თანაბარია.

**E ჯგუფი**

**ლივერპული-როსენბორგი 4:1**

**გოლები:** 1:0 ჯოუნსი (15), 2:0 მორგანი (31), 2:1 ლუნდალი (38), 3:1 მორგანი (45), 4:1 სინკლერი (90).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. როსენბორგი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-5 | 9 |
| 2. ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 3. ბორუსია (დ) | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 4. ლივერპული | 4 | 1 | 0 | 3 | 7-9 | 3 |

"ლივერპულმა" პირველი ქულები მოიპოვა და რამდენიმე დღით ადრე ტრონჰეიმში განცდილი მარცხის გამო (0:3), სრულფასოვანი რევანში აიღო. მასპინძლების მხრიდან დუბლი **ადამ მორგანმა** შეასრულა, რომელსაც თუ **ბრენდან როჯერსის** პოლიტიკას გავითვალისწინებთ, მალე პირველ გუნდში უნდა ველოდოთ.

**F ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 3-4 | 7 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 2 | 1 | 2-4 | 5 |
| 3. არსენალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| 4. ატლეტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |

ამ ჯგუფში ნოემბერში არც ერთი მატჩი არ გამართულა, ამიტომ სათქმელი ბევრიც არაფერია. საინტერესოა ბილბაოს "ატლეტიკის" მდგომარეობა, რომელსაც სულ 2 მატჩი აქვს ჩატარებული და უახლოეს პერიოდში ერთბაშად 4 მატჩის გამართვა მოუწევს.

● სავარაუდო ტრანსფერები

# შახტარის ლიდერებზე დიდი მოთხოვნაა



დონეცკის "შახტარის" მთავარმა მწვრთნელმა **მირჩა ლუჩესკუმ** პრესასთან საუბარში განაცხადა, რომ გუნდს არ სურს **ვილიანის** გაყიდვა, მაგრამ თუ რომელიმე გუნდი კონტრაქტით გათვალისწინებულ გამოსასყიდ თანხას (35 მილიონი ევრო) გადაიხდის, მაშინ უკრაინელები უძლურნი იქნებიან.

ლუჩესკუ: *"თუ მასიმო მორატი ვილიანის შესახებ მკითხავს, ვუპასუხებ, რომ "შახტარს" ევროპაში წარმატების მიღწევა სურს და საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვას არ აპირებს, თუმცა მიუხედავად ამისა, არსებობს კონტრაქტის ის პუნქტი, რის მიხედვითაც ვილიანს გუნდიდან წასვლა 35 მილიონ ევროდ შეუძლია"*.

24 წლის ბრაზილიელის მიმართ ინტერესს "ჩელსი" და "მანჩესტერ სიტი" გამოთქვამენ. ისევ ლუჩესკუ: "ჩელსიმ" **ოსკარში** 31 მილიონი გადაიხადა. ოსკარს და ვილიანს შორის ის სხვაობაა, რომ ვილიანი გაცილებით გამოცდილი და ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. მათ ზაფხულში 20 მილიონი შემოგვთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს და შემდეგ 30 მილიონად **ედენ აზარი** იყიდეს".

ვილიანის გარდა, ინგლისური კლუბები "შახტარის" ფორვარდით, **ლუის ადრიანოთი** არიან დაინტერესებულნი. პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, 25 წლის ფორვარდის შეძენა ლონდონის "არსენალს", "ტოტენჰემს" და "ლივერპულს" სურთ. "დეილი მეილის" ცნობით, "შახტარმა" ბრაზილიელი თავდამსხმელი "არსენალს" ზაფხულში თავად შესთავაზა, მაგრამ ლონდონელებმა **ოლივიე ჟირუს** შეძენა არჩიეს.

მიუხედავად იმისა, რომ არც ადრიანოს, არც ვილიანს და არც **ფერნანდინიოს** ბრაზილიის ნაკრებში საკმარისი რაოდენობის მატჩები ჩატარებული არ აქვთ, გაზეთის აზრით მათთვის მუშაობის უფლების მიღება პრობლემა არ იქნება.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ლა ლიგა. სტატისტიკა

# როგორ უნდა წააგოს ბარსამ ლა ლიგა

**ახლა, როცა ლა ლიგის მეოთხედზე მეტი ჩავლილია, პირველი დასკვნების გაკეთება უკვე შესაძლებელია. საამისოდ კი ესპანეთის ჩემპიონატის მიმდინარე სტატისტიკას ჩავუკირკიტებთ.**

## მთავარი სიახლე: ორის ნაცვლად სამი

პირველ რიგში იმაზე, რაც ხელისგულზეა: **ტიტო ვილანოვამ ხოსე გვარდიოლასგან** ესტაფეტა შესანიშნავად გადაიბარა. ტიტოს გუნდს ისეთი სტარტი ჰქონდა ჩემპიონატში, როგორიც არასოდეს „ბარსელონას" ისტორიაში - 11-დან 10 გამარჯვება და მხოლოდ „სამეფო კლუბმა" შეძლო მისთვის ქულების წართმევა, თანაც ეს „კამპ ნოუზე" მოახერხა. თავის მხრივ, „რეალს" ვერ გამოუვიდა კარგი სტარტი - 11-დან 7 გამარჯვება ამის დასტურია და, რა თქმა უნდა, 8-ქულიანი ჩამორჩენა „ბარსასთან".

ჩემპიონატმა ერთი სერიოზული სიახლე შემოგვთავაზა - ორ გრანდს შორის მესამემ გაბედა ბრძოლის მიღება - **დიეგო სიმეონეს** „ატლეტიკოს" 9 გამარჯვება დაუგროვდა და რომ არა დასანანი მარცხი „მესტალიაზე", გუნდს იმდენივე ქულა ექნებოდა, რამდენიც ლიდერ „ბარსელონას". აქვე შევჩერდებით - ჩვენი



პატივისცემის მიუხედავად, მე-4 ადგილოსანი „ბეტისი" (19 ქულა) და მე-5 ადგილოსანი „მალაგა" (18) ტიტულისთვის ვერაფრით იბრძოლებენ, მით უფრო დანარჩენები. როგორც ხედავთ, „დანარჩენებში" ბოლო დროს მუდმივი მესამეადგილოსანი „ვალენსია" მოხვდა, რომელიც ახლა მე-9 ადგილზეა (!). თუმცა უნდა ითქვას, რომ ცხრილის შუაში დიდი სიმჭიდროვეა - მაგალითად, „ვალენსია" „მალაგას" მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩება. „ბეტისი" ბოლო ადგილზე მყოფ „ოსასუნას" მხოლოდ 11 ქულით უსწრებს, მაშინ, როცა თავად სევილიური კლუბი ლიდერს 12 ქულით ჩამორჩება.

მოკლედ, ჯერ ის გაირკვა მხოლოდ, რომ მაღალი მიზნისთვის ბრძოლა სამი გუნდის საქმეა, „ბარსას" შესამჩნევი უპირატესობით. როგორც **იოჰან კრუიფმა** თქვა: ახლა „ბარსა" თავად თუ წააგებს ტიტულს, თორემ კონკურენტებს უკვე აჯობაო.

## იცით თუ არა, რომ...

* ლა ლიგაში თამაშში საშუალოდ 2,94 გოლი გადის.

* ჩემპიონატში უკვე 7 ავტოგოლი გავიდა.

* სეზონის დაწყებიდან სულ 3 ჰეთთრიკი დაფიქსირდა. თითოჯერ თავი **ლიონელ მესიმ** („დეპორტივო"-„ბარსელონა" 4:5), **კრიშტიანო რონალდომ** („რეალი"-„დეპორტივო" 5:1) და **რადამელ ფალკაომ** („ატლეტიკო"-„ბილბაო" 4:0) გამოიჩინეს.

* დუბლი ყველაზე მეტჯერ მესიმ შეასრულა - 6-ჯერ, შემდეგ მოდიან რონალდო და **არიც ადურისი** - 3-3-ჯერ. კიდევ 22-მა ფეხბურთელმა თითოჯერ მოახერხა დუბლის შესრულება.

* ყველაზე მეტი გოლი „ბარსელონას" გააქვს - საშუალოდ 3,27 მატჩში, შემდეგ მოდის „რეალი" - 2,45 და „ატლეტიკო" - 2,18. ყველაზე მეტად გოლის გატანა „გრანადას" და „ოსასუნას" უჭირთ - საშუალოდ 1-1.

* საუკეთესო დაცვა „რეალს" ჰყავს - 0,73 მიღებული ბურთი თამაშში, შემდეგ მოდის „მალაგა" - 0,82 და „ატლეტიკო" - 1. „რაიო ვალეკანოსა" და „დეპორტივოს" კი სერიოზული პრობლემები აქვთ დაცვაში - საშუალოდ 2,27 გოლი.

* აღსანიშნავია, რომ ლიდერ „ბარსას" 6 გუნდზე უარესი დაცვის ხაზი აქვს.

* ყველაზე მალე ანგარიშს „რეალი" ხსნის - ამისთვის მადრიდელებს საშუალოდ 25 წუთი ჰყოფნით, „ბარსელონას" კი 34 წუთი ესაჭიროება. ყველაზე მეტად პირველი გოლის გატანა „გრანადას" ეძნელება - საშუალოდ 63-ე წუთზე.

* „რაიო ვალეკანო" საშუალოდ უკვე 28-ე წუთზე უშვებს გოლს. ამ მხრივ გაუვალი „რეალია" - საშუალოდ მე-60 წუთი.

* ყველაზე ცოტა ხანს ამ სეზონში „ატლეტიკო" აგებდა - სულ რაღაც 98 წუთის განმავლობაში. ყველაზე მეტი ხნის განმავლობაში „ვალენსია" აგებდა - 396 წუთი.

* ყველაზე დიდი ხანი წინ „რეალი" იყო - 537 წუთი, ცოტა ხანი კი „ესპანიოლი" - 138.

* ყველაზე უხვგოლიანი მე-11 ტური იყო - 38 გოლი, ყველაზე ნაკლები გოლი მე-5 და მე-7 ტურებში გავიდა - 22-22.

* ყველაზე მეტჯერ კარი მშრალად „რეალმა", „მალაგამ" და „ბეტისმა" შეინახეს - 5-5-ჯერ.

* „ატლეტიკომ" და „ბარსელონამ" 8-8-ჯერ შეძლეს ანგარიშის გახსნა და ყველა შემთხვევაში თამაში მოიგეს. ყველაზე ხშირად ანგარიშის შენარჩუნება უჭირს „სელტას" - 6-ჯერ დაწინაურდა და მხოლოდ 2-ჯერ შეინარჩუნა გამარჯვება.

* გოლის გაშვების შემდეგ 2-2-ჯერ შეძლეს მოგება „ლევანტემ", „ბარსელონამ" და „სარაგოსამ".

* ერთადერთი გუნდი, რომელიც ასეთ სიტუაციაში არ დამარცხებულა, „ბარსაა" (ლიდერი საერთოდ არ დამარცხებულა) - 3-ჯერ დაწინაურდა კატალონიელთა მეტოქე, ორჯერ ბარსამ მოიგო, ერთხელ კი ფრეს დასჯერდა.

* ყველაზე მეტი გოლი პენალტით „რეალმა" და „ატლეტიკომ" გაიტანეს - 4-4. პენალტით გოლი მხოლოდ „ბეტისს" არ გაუტანია.

* საჯარიმო დარტყმით სულ 6 გოლი გავიდა, აქედან ორი „ბარსაზე" მოდის (მესი და **ჩავი**).

* თავურით ყველაზე მეტი გოლი „სარაგოსამ" გაიტანა - 5. „ლევანტეს" ჯერ თავით გოლი არ გაუტანია.

* „ატლეტიკოს" 10-მა ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი გოლით. „გრანადას" და „მალიორკას" მხოლოდ 5-5-მა ფეხბურთელმა გაიტანეს.

* თავით გატანილ გოლებში **ტომერ ჰემედი** (მალიორკა) და **ელდერ პოშტიგა** (სარაგოსა) ლიდერობენ - 3-3.

* ყველაზე მეტი პენალტი - 2 - „სევილიამ" გააფუჭა.

* ყველაზე ხშირად პენალტის „რაიო ვალეკანოს" კარში ნიშნავენ - 5-ჯერ (3 გოლი).

* სამი გუნდის კარში პენალტი არ დაუნიშნავთ, ესენია: „რეალი", „ატლეტიკო" და „მალაგა".

* „ტერმინატორი" - ეს წოდება „სელტას" არგენტინელ მცველ **გუსტავო კაბრალს** შეეფერება - 2 გაძევება და 5 გაფრთხილება.

* „სარაგოსას" წინააღმდეგ 5 ფეხბურთელი გააძევეს.

* „ატლეტიკოს" წინააღმდეგ 42 ყვითელი ბარათი დაარიგეს.

* ლა ლიგაში უკვე 29 არგენტინელმა, 25-მა პორტუგალიელმა და 21-მა ბრაზილიელმა ითამაშა.

* ყველაზე ხშირად გამოიყენეს 4-2-3-1 ტაქტიკური სქემა - 158-ჯერ. 22-ჯერ 4-3-3 გამოიყენეს, 4-4-2 - კი 12-ჯერ.

* „ბარსელონას" საშინაო თამაშებს საშუალოდ 75 577 ადამიანი ესწრება. „რეალისას" - 70 445. მესამე ადგილზეა „ატლეტიკოს" დასწრება - 43 666.

* ყველაზე ცოტა ხალხი დადის „ხეტაფეს" საშინაო თამაშებზე - 9 500 საშუალოდ.

* ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო „ბარსელონა"-„რეალის" თამაშს - 95 ათასი.

* ყველაზე ცოტა მაყურებელი დაესწრო „ხეტაფე"-„ბეტისს" - 7 ათასი.

* ყველაზე მეტი ფეხბურთელი „ბეტისის" მწვრთნელმა პეპე მელმა გამოიყენა - 26.

* ყველაზე მეტი უცხოელი გამოიყვანეს „რეალმა" და „ვალენსიამ".

* ყველაზე ახალგაზრდული გუნდები ბასკებს ჰყავთ, „ბილბაოს" და „რეალ სოსიედადს" - 24,8 წ. საშუალოდ.

* ყველაზე ასაკოვანია „ლევანტე" - 28,3.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

#### გოლები

| გ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 15 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 12 | კრიშტიანო რონალდო | რეალი |
| 10 | რადამელ ფალკაო | ატლეტიკო |
| 8 | არიც ადურისი | ბილბაო |
| 7 | გონსალო იგუაინი | რეალი |
| 7 | ალვარო ნეგრედო | სევილია |
| 6 | ტომერ ჰემედი | მალიორკა |
| 6 | ელდერ პოშტიგა | სარაგოსა |

#### საგოლე პასები

| პ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 8 | სესკ ფაბრეგასი | ბარსელონა |
| 5 | ვიქტორ როდრიგესი | სარაგოსა |
| 4 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 4 | ბენიატ ეჩებარია | ბეტისი |
| 4 | პედრო როდრიგესი | ბარსელონა |
| 4 | ალეხანდრო დომინგესი | ვალეკანო |

#### გოლი+პასი

| გ/პ | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 19 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 13 | კრიშტიანო რონალდო | რეალი |
| 11 | რადამელ ფალკაო | ატლეტიკო |
| 11 | სესკ ფაბრეგასი | ბარსელონა |
| 10 | არიც ადურისი | ბილბაო |
| 9 | გონსალო იგუაინი | რეალი |

#### დარტყმა

| დ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 74 | კრიშტიანო რონალდო | რეალი |
| 60 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 44 | ელდერ პოშტიგა | სარაგოსა |
| 43 | ალვარო ნეგრედო | სევილია |
| 41 | იაგო ასპასი | სელტა |
| 36 | რადამელ ფალკაო | ატლეტიკო |

#### ჩაჭრები

| ჩ | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 173 | ემირ სპაჰიჩი | სევილია |
| 134 | კარლოს მარჩენა | დეპორტ. |
| 124 | დ. გოდინი | ატლეტიკო |
| 112 | მარტინ დემიკელისი | მალაგა |

#### წუთები

| წ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 1046 | ხესუს ნავასი | სევილია |
| 1046 | ხავი ფუეგო | ვალეკანო |
| 1046 | ფერნანდო ნავარო | სევილია |
| 1045 | ტონიო | გრანადა |
| 1045 | მიგელ მოია | ხეტაფე |
| 1045 | მიგელ ტორესი | ხეტაფე |
| 1044 | გუსტავო მუნუა | ლევანტე |

#### ჯარიმა

| ჯ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 37 | ელდერ პოშტიგა | სარაგოსა |
| 32 | სამუელ ლონგო | ესპანიოლი |
| 31 | ირინეი | გრანადა |
| 29 | გაბი | ატლეტ. |
| 25 | ვიქტორ სანჩესი | ესპანიოლი |

#### ჯარიმა (მათზე)

| ჯ. | ფეხბ. | კლუბი |
|---|---|---|
| 32 | იაგო ასპასი | სელტა |
| 30 | ლიონელ მესი | ბარსელონა |
| 26 | ბრუნო გამა | დეპორტივო |
| 24 | ვაკასო მუბარაკი | ესპანიოლი |
| 24 | ელიზეუ | მალაგა |
| 24 | კრ. რონალდო | რეალი |
| 24 | ხესუს ნავასი | სევილია |

### გუნდური სტატისტიკა

#### გაფრთხილება

| | |
|---|---|
| 45 | ესპანიოლი |
| 45 | ვალეკანო |
| 40 | ვალენსია |
| 38 | ბილბაო |
| 37 | ლევანტე |

#### გაძევება

| | |
|---|---|
| 5 | ესპანიოლი |
| 4 | ვალენსია |
| 4 | ოსასუნა |
| 4 | ბეტისი |

ნიკოლოზ ნეფარიძე

მუნდიალი 2014. საკვალიფიკაციო მატჩები. ევროპა

#### F ჯგუფი

**ჩრ. ირლანდია-აზერბაიჯანი 1:1**

**გოლები:** 0:1 ალიევი (5), 1:1 ჰილი (90+3)

**ჩრ. ირლანდია:** კეროლი, დ. ლაფერტი, მაკოლი, კეტკარტი (81. ჰილი), ჰიუზი, ფერგიუსონი, ბერდი, დევისი, მაკგინი (66. ბრანტი), კ. ლაფერტი, შილსი (55. მაკურტი)

**აზერბაიჯანი:** აგაევი, რამალდანოვი (72. ნაზირი), აბიშოვი, ლევინი, მედვედევი, ალიევი, ჰუსეინოვი, გოკდემირი (63. ბ. ჰუსეინოვი), ამირგულიევი, ნადიროვი, ოზკარა (78. ჯავადოვი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 8-0 | 12 |
| 2. ისრაელი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 7 |
| 3. პორტუგალია | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 4. ჩრდ. ირლანდია | 4 | 0 | 3 | 1 | 3-5 | 3 |
| 5. აზერბაიჯანი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-6 | 2 |
| 6. ლუქსემბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-12 | 1 |

#### H ჯგუფი

**ჩერნოგორია-სან მარინო 3:0**

**გოლები:** 1:0 [illegible] (14), 2:0 დელიბაშიჩი (31), 3:0 ზვეროტიჩი (68)

**ჩერნოგორია:** [illegible], [illegible], ვოლკოვი, ბასა (71. კეკოევიჩი), პავიჩევიჩი, ზვეროტიჩი, ნოვაკოვიჩი, ბეჩირაი, დელიბაშიჩი, კასალიჩა (77. იგუმანოვიჩი), სავიჩი (46. ჯორჯევიჩი)

**სან მარინო:** სიმონჩინი, პალაზი, ვანუჩი, ე. ბენედეტინი, დელა ვალე (83. გ. ბენედეტინი), ბოლინი, კიბელი (89. გასპერონი), კობინი, კერველინი, რინალდი, ვიტაიოლი (73. ბუსკარინი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩერნოგორია | 4 | 3 | 1 | 0 | 12-2 | 10 |
| 2. ინგლისი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-2 | 8 |
| 3. პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 4. მოლდოვა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-7 | 4 |
| 5. უკრაინა | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 6. სან მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 0-16 | 0 |

ამხანაგური მატჩები



ჰოლანდია-გერმანია

**სომხეთი-ლიტვა 4:2**

**გოლები:** 1:0 მანუჩარიანი (7), 2:0 მკრტჩიანი (50), 3:0 მხითარიანი (55), 3:1 რიმკევიჩუსი (66), 4:1 ოზბილიზი (72), 4:2 რიმკევიჩუსი (83-პენ)

**რუსეთი-აშშ 2:2**

**გოლები:** 1:0 სმოლოვი (9), 1:1 ბრედლი (76), 2:1 შიროკოვი (84-პენ), 2:2 დისკერუდი (90)

**საამიროები-ესტონეთი 2:1**

**გოლები:** 1:0 კამალი (31-პენ), 1:1 აიუპერა (45), 2:1 მაბხუტი (70)

**ბულგარეთი-უკრაინა 0:1**

**გოლი:** 0:1 კუჩერი (33)

**ჩეხეთი-სლოვაკეთი 3:0**

**გოლები:** 1:0 ლაფატა (3), 2:0 ლაფატა (6), 3:0 დოკალი (72)

**ალჟირი-ბოსნია 0:1**

**გოლი:** 0:1 სვრაკა (90)

**კვიპროსი-ფინეთი 0:3**

**გოლები:** 0:1 პუკი (14), 0:2 ჰეტემაი (28-პენ), 0:3 კოლემაინენი (86)

**მაკედონია-სლოვენია 3:2**

**გოლები:** 1:0 ტასევსკი (27), 2:0 იაჰოვიჩი (41), 2:1 პეჩნიკი (49), 3:1 იბრაიმი (51), 3:2 პეჩნიკი (63)

**ს. არაბეთი-არგენტინა 0:0**

**ტუნისი-შვეიცარია 1:2**

**გოლები:** 0:1 დერდიოკი (1), 1:1 ჰარბაუი (59), 1:2 შაჩირი (90)

**ანდორა-ისლანდია 0:2**

**გოლები:** 0:1 გუდმუნდსონი (14), 0:2 სიგურიონსონი (59)

**ისრაელი-ბელარუსი 1:2**

**გოლები:** 1:0 დამარი (19), 1:1 კისლიაკი (45), 1:2 ბალანოვიჩი (47)

**ჩილე-სერბეთი 1:3**

**გოლები:** 0:1 მარკოვიჩი (25), 0:2 ჯორჯევიჩი (47), 0:3 ჯურიჩიჩი (65), 1:3 ენრიკესი (88)

**რუმინეთი-ბელგია 2:1**

**გოლები:** 0:1 ბენტეკე (23), 1:1 მაქსიმი (32), 2:1 ტორიე (66-პენ)

**თურქეთი-დანია 1:1**

**გოლები:** 0:1 ბენდტნერი (65-პენ), 1:1 ერდინჩი (69)

**ლუქსემბურგი-შოტლანდია 1:2**

**გოლები:** 0:1 როუდსი (11), 0:2 როუდსი (24), 1:2 გერსონი (47)

**ავსტრია-კოტდივუარი 0:3**

**გოლები:** 0:1 ია კონანი (44), 0:2 დროგბა (61), 0:3 ლ. ტრაორე (72)

**გაბონი-პორტუგალია 2:2**

**გოლები:** 1:0 მადინდა (32), 1:1 პიცი (35-პენ), 1:2 ლოპეში (60), 2:2 პოკო (70)

**უნგრეთი-ნორვეგია 0:2**

**გოლები:** 0:1 ნილსენი (38), 0:2 აბდელაუი (79)

**ჰოლანდია-გერმანია 0:0**

**ჰოლანდია:** ვერმეერი, ვან რიინი (46. იანმაატი), ჰეიტინგა (46. დე ვრიი), ვლაარი, ინდი, ნ. დე იონგი, აფელაი (59. ვან გინკელი), ვან დერ ვაარტი (72. ემანუელსონი), სხაკენი, კუიტი, რობენი (46. ელია)

**გერმანია:** ნოიერი, ჰიოვედესი, მერტეზაკერი, ჰუმელსი, ლამი, ლ. ბენდერი (81. ს. ბენდერი), გიონდოგანი, მიულერი (84. შიურლე), ჰოლტბი (87. ნოიშტედტერი), გიოტცე (72. პოდოლსკი), როისი (90. დრაქსლერი)

**შვედეთი-ინგლისი 4:2**

**გოლები:** 1:0 იბრაჰიმოვიჩი (20), 1:1 უელბეკი (35), 1:2 კოლკერი (38), 2:2 იბრაჰიმოვიჩი (77), 3:2 იბრაჰიმოვიჩი (84), 4:2 იბრაჰიმოვიჩი (90)

**შვედეთი:** ისაკსონი, ი. ოლსონი, მ. ოლსონი (46. საფარი), გრანკვისტი (74. ანტონსონი), ლუსტიგი (73. სანა), ჩელსტრიომი (61. ა. სვენსონი), ელმი, კაჩანიკლიჩი, ს. ლარსონი (85. იანსონი), იბრაჰიმოვიჩი, რანეგი (89. ვერნბლუმი)

**ინგლისი:** ჰარტი, გ. ჯონსონი (75. ჯენკინსონი), კოლკერი (74. შოუკროსი), კეჰილი, ბეინსი, კლევერლი (61. უილშირი), ჯერარდი (75. ჰადლსტოუნი), ოსმანი, იანგი (61. სტარიჯი), სტერლინგი (85. ზაჰა), უელბეკი

**პოლონეთი-ურუგვაი 1:3**

**გოლები:** 0:1 გლიკი (22-ს.კ-ში), 0:2 კავანი (34), 1:2 ობრანიაკი (64), 1:3 სუარესი (66)

**ირლანდია-საბერძნეთი 0:1**

**გოლები:** 0:1 ოლეზასი (29)

**იტალია-საფრანგეთი 1:2**

**გოლები:** 1:0 ელ შაარავი (35), 1:1 ვალბუენა (37), 1:2 გომისი (67)

**იტალია:** სირიგუ, ბალცარეტი, კიელინი, ბარძალი (47. ბონუჩი), მაჯო, მარკიზიო (50. ჯაკერინი), ვერატი (51. პირლო), მონტოლივო (50. ფლორენცი), ელ შაარავი (73. დიამანტი), ბალოტელი, კანდრევა (70. ჯოვინკო)

**საფრანგეთი:** ლორისი, დებუში (47. რევეიერი), კოშელნი, სახო, ევრა, სისოკო (90. ტრემულინასი), კაპუ, მატუიდი, ვალბუენა (72. გურკუფი), ჟირუ (64. გომისი), რიბერი (63. მენეზი)

კრიმინალი და ფეხბურთი

# ლავეცი მაფიოზებთან მეგობრობაში ამხილეს

## სუფთა ნეაპოლური ამბავი


ესეკილ ლავეცი მაფიოზური დაჯგუფების წევრთან კომპიუტერული თამაშით ერთობოდა

იტალიურმა სამართალდამცავმა ორგანოებმა მაფიოზური დაჯგუფების წევრები დააკავეს, რომლებზეც წლების განმავლობაში ძებნა იყო გამოცხადებული. ჯგუფის ლიდერი გავლენიანი მაფიოზი **სალვატორე ლო რუსო** გახლავთ, რომელიც დღემდე იძებნება. სამაგიეროდ, დაკავებულია მისი შვილი **ანტონიო**, რომლის გვარიც მრავალ დანაშაულთანაა დაკავშირებული. და რა შუაშია აქ ფეხბურთი? - საქმე იმაშია, რომ ანტონიო ლო რუსოსა და სხვა მაფიოზების დაკავებასთან დაკავშირებით, იტალიაში დაკითხვაზე არც მეტი, არც ნაკლები, **ესეკილ ლავეცი** დაიბარეს. 27 წლის არგენტინელი მყისვე ჩავიდა ნეაპოლში და ჩვენებაც მისცა. საქმე იმაშია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ლავეცისა და **ანტონიო ლო რუსოს** ახლო მეგობრობის ამბავი დაადგინეს და ისიც გაიგეს, რომ კრიმინალური ავტორიტეტი ხშირად სტუმრობდა ფეხბურთელს სახლში. ასევე დადგინდა, რომ ესეკილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მაფიოზური დაჯგუფების კიდევ ერთ წარმომადგენელ **მარკო იორიოსთან**, რომელიც ნეაპოლში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. საერთოდ, ლო რუსოების ოჯახი, რომელიც სათავეში უდგას დაჯგუფებას, ნეაპოლიდან გახლავთ და მათი გავლენებიც ძირითადად ამ ქალაქზე ვრცელდება. აი, რა განაცხადა დაკითხვაზე ლავეციმ:

*"ანტონიო ლო რუსოსთან მართლაც მქონდა მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ ნამდვილად არ ვიცოდი თუ მას ამდენი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. ვიცოდი, რომ რაღაც დაჯგუფების წევრი იყო, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დეტალებით არასდროს დავინტერესებულვარ. ანტონიო გავიცანი როგორც "ნაპოლის" თავგადაკლული გულშემატკივარი და მასთან სწორედ ამიტომ დავმეგობრდი. დიახ, ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან ქომაგებთან არგენტინაშიც ახლო ურთიერთობა მქონდა. ანტონიო რამდენჯერმე მესტუმრა სახლში, ძირითადად კომპიუტერული თამაშებით ვერთობოდით და მუდმივად იმაზე გვქონდა კამათი, თუ ვინ აირჩევდა "ნაპოლის". მასზე კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი, რადგან შესანიშნავი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა".*

ლავეცის მეორე კრიმინალური ავტორიტეტის, მარიო იორიოს შესახებაც დაეკითხნენ: *"მარიო ანტონიომ გამაცნო და მასთანაც ახლო ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ნეაპოლში ქურდობა ხშირია და სახლის უპატრონოდ დატოვება საკმაოდ სახიფათოა... ამიტომ, როდესაც გასვლით თამაშებზე მივდიოდი, ყველაზე ძვირფას ნივთებს სწორედ მარიო იორიოს ვუტოვებდი. მეგობრული ურთიერთობა გვქონდა და ამას ვადასტურებ, თუმცა მისი კრიმინალური საქმიანობის შესახებ ნამდვილად არაფერი ვიცოდი".*

ეს თემა იტალიურ სპორტულ და არა მარტო სპორტულ პრესაში აქტიური განხილვის საგანია... ესეკილ ლავეცის არც ჟურნალისტებს სჯერათ და არც უბრალო გულშემატკივრებს - ისმის მოწოდებებიც, რომ "ნაპოლის" ფეხბურთელებმა აღარ დააფარონ ხელი მაფიოზური დაჯგუფების წევრებს და პირიქით, ხელი შეუწყონ სამართალდამცავ ორგანოებს. საქმე იმაშია, რომ ძალოვანი უწყებების წარმომადგენელთა განცხადებით, ნეაპოლელი მაფიოზები ხშირ შემთხვევაში "ნაპოლის" თავგადაკლული ტიფოზები არიან და ფეხბურთელებთან ახლო ურთიერთობებს ამყარებენ.

სავარაუდო ტრანსფერი

# როსი იტალიას უმიზნებს

"ვილიარეალის" 25 წლის თავდამსხმელი, **ჯუზეპე როსი** ჯერ კიდევ ტრავმირებულია და მკურნალობის პროცესს გადის. როგორც ექიმები იუწყებიან, როსი სარეაბილიტაციო პერიოდს თებერვლის ბოლოს დაასრულებს და მარტიდან თამაშსაც შეძლებს. ჯუზეპეს დიდი ხანია ესპანეთის დატოვება და იტალიაში გადაბარგება სურს - მიზანთან ახლოსაც იყო, როდესაც "იუვენტუსის" მესვეურებთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში უმძიმესი ტრავმა მიიღო. როსი იმედს არ კარგავს, რომ ამ ზამთარს მაინც შეძლებს რომელიმე იტალიურ გუნდში გადაბარგებას - ამის შესახებ კომენტარი მისმა პირადმა აგენტმა **ფედერიკო პასტორელომ** გააკეთა:

*"როსის რეაბილიტაციის პროცესი კარგად მიმდინარეობს და ჩემი ინფორმაციით, მარტის პირველ რიცხვებში სრულ მზაყოფნაში იქნება. თავად ფეხბურთელს უკვე იანვარში იტალიაში სურს დაბრუნება და იმედია, ეს ასეც მოხდება. მესმის, რომ ტრავმირებული ფეხბურთელის გადაბირებისგან ხშირად თავს იკავებენ, მაგრამ აქ ჯუზეპე როსიზე გვაქვს საუბარი, განსაკუთრებულად ნიჭიერ ფორვარდზე. კლუბის პრეზიდენტი რომ ვიყო, ჯუზეპეზე აუცილებლად ჩამოვიდოდი ფსონს - ვნახოთ, რა მოხდება ამ ზამთარს".*


ჯუზეპე როსის იტალიაში დაბრუნება ზამთრის სატრანსფერო პერიოდში სურს

პლატინი კალჩოს შესახებ


ეროვნული ბიბლიოთეკა
no comment

# ნაპოლის მწვრთნელად მარადონა?

## შოუ თქვენ მერე გენახათ...

**მიშელ პლატინის** იტალიურ საფეხბურთო სამყაროსთან განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა მას შემდეგაც არ გაუწყვიტავს, რაც უეფას პრეზიდენტად აირჩიეს. ხშირად ურთიერთობს აპენინელ ჟურნალისტებთან და კალჩოში მიმდინარე პროცესებზე საკუთარ მოსაზრებებს აფიქსირებს. ასე მოხდა ამჯერადაც, საუბრის დიდი ნაწილი კი იტალიურ საკლუბო ფეხბურთში არსებულ კრიზისს, "იუვენტუსს" და "ნაპოლის" დაეთმოთ...

### კრიზისი

უეფას საკლუბო რეიტინგში იტალიამ ვარდნა განიცადა, რასაც ჩემპიონთა ლიგაზე გამსვლელი მეოთხე ადგილის დაკარგვა მოჰყვა. ფაქტია, რომ ეს ჩავარდნის მაჩვენებელია და თუ ამას თვალი არ გავუსწორეთ, პრობლემებსაც ვერ აღმოვხვფრით. პირველ პირში იმად ვლაპარაკობ, რომ ამ პროცესებში სიამოვნებით ჩავერთვებოდი. ნებისმიერ ფედერაციას სჭირდება უეფას დახმარება და მათ შორის, ფედერკალჩოს.

აუცილებელია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს. როგორ ფიქრობთ, შემთხვევითია "იუვენტუსის" ასეთი პროგრესი? - ტურინულ გრანდს ახალი სტადიონი აქვს, ტრიბუნებზე ყოველთვის შესანიშნავი ატმოსფეროა და შედეგიც სახეზეა. სწორედ ამით განვითარდა გერმანული საკლუბო ფეხბურთი. თუ იმას გამახსენებთ, რომ იტალიამ რამდენჯერმე ვერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება, გეტყვით, რომ ამას არც იმსახურებდა. კალჩოში გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალი მძვინვარებდა და ასეთ დროს, იტალიაზე არჩევანის შეჩერება სრულიად არალოგიკური იქნებოდა. ინფრასტრუქტურა დიდი საფეხბურთო ფორუმის გარეშე უნდა განვითარდეს, ეს ერთადერთი სწორი გზაა.

ამასთან, იტალიური გუნდები მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდნონ ევროტურნირებს, კერძოდ კი ევროპის ლიგის გათამაშებას. ხშირად, სერია A-ს ბინადრები საერთაშორისო სარბიელზე გადახალისებული შემადგენლობით ასპარეზობენ, რისი მიზეზიც ვერაფრით გავიგე. რა აზრი აქვს ეროვნულ ჩემპიონატში წარმატების მიღწევას, თუ ევროტურნირზე შერცხვები. ამ ყველაფერმა გამოიწვია არსებული კრიზისი და სწორედ ამ მიმართულებებზეა სამუშაო.

### იუვენტუსი

მეორე სეზონია, "იუვენტუსი" ჩემს გაოცებას ახერხებს. ანტონიო კონტემ უძლიერესი გუნდი შექმნა, რომელსაც ყველა ფრონტზე შეუძლია გამარჯვება. მართალია, ტურინელებმა ჩემპიონთა ლიგაზე მძიმედ დაიწყეს, მაგრამ ჯერ კიდევ აქვთ დრო, რომ ვითარება გამოასწორონ.

რაც მთავარია, "იუვეს" თამაშის ხარისხია ძალიან მაღალი. გუნდი მიმდინარე სეზონში კიდევ უფრო ლაღად ასპარეზობს, ვიდრე გასულში და ეს სერია A-ს უკანასკნელ ტურშიც გამოჩნდა. ვფიქრობ, "ვეკია სენიორას" წარმატების ფორმულა გააზრებულ სატრანსფერო პოლიტიკაშია. კლუბის მესვეურებმა არა უბრალოდ ვარსკვლავებზე ინადირეს, მათთვის საჭირო ფეხბურთელები გადაიბირეს და შედეგიც სახეზეა. ერთადერთი, ექსტრა-კლასის ფორვარდი დააკლდათ და ამას თვითონაც აღიარებენ. თუმცა, ჩემპიონთა ლიგის არ იყოს, ამის გამოსწორებაც შესაძლებელია, თუნდაც ზამთრის სატრანსფერო პერიოდში. ვფიქრობ, "იუვენტუსი" სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტია.

### კონკურენტი

"ინტერმა" რამდენიმე ბრწყინვალე შეხვედრა ჩაატარა, მაგრამ "იუვენტუსის" უმთავრეს კონკურენტად მაინც "ნაპოლი" მიმაჩნია. ვალტერ მაცარის შესანიშნავი გუნდი ჰყავს, რომელიც აუცილებლად იბრძოლებს უმაღლესი მიზნისთვის. მართალია, ნეაპოლელებს მცირე ჩავარდნა ჰქონდათ, მაგრამ მგონია, რომ ეს ეტაპი უკვე გადაილახა. "იუვეს" და "ნაპოლის" კონკურენცია მართლაც საინტერესო სანახავია და იმედია, ბოლომდე ასე გაგრძელდება. საერთოდ, იტალიური ფეხბურთი განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან ის დახუნძლულია შოუს ელემენტებით, ამ შოუს კი მეტწილად "ნაპოლის" მსგავსი გუნდები ქმნიან. ამიტომ, მადლობელი ვარ აურელიო დე ლაურენტისის, რომელმაც გუნდი ქვედა ლიგებიდან ამოიყვანა და ელიტას დაუბრუნა. სენიორ აურელიოსთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს და ვიცი, რომ დიდი გეგმები აქვს.

"ნაპოლი" ასეთი წარმატებული დიეგო მარადონას შემდეგ არ ყოფილა და გუნდი კიდევ გააგრძელებს განვითარებას. ისე, რა საინტერესო იქნებოდა "ნაპოლის" მთავარ მწვრთნელად მარადონა? - შოუ თქვენ მერე გენახათ... ვნახოთ, იქნებ დადგეს კიდეც ეს საკითხი დღის წესრიგში. ოღონდ, არ იფიქროთ ვალტერ მაცარის საწინააღმდეგო მქონდეს რამე, "ნაპოლი" სწორედ მის ხელში დაემსგავსა მარადონას დროინდელ გუნდს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

● დანიშვნა

# კლაუს ალოფსი ვოლფსბურგში წავიდა

## ვერდერში კლაუსის 13-წლიანი ერა დასრულდა



კლაუს ალოფსს ვოლფსბურგის მენეჯერის პოსტზე დღეს წარადგენენ

გუშინ გადაწყდა და ოფიციალურად დადასტურდა, რომ „ვოლფსბურგის" ახალი მენეჯერი **კლაუს ალოფსი** იქნება. 55 წლის ფუნქციონერი ბრემენის „ვერდერს" 13-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ ტოვებს და „ვოლფსბურგში" მიდის, სადაც ამასწინათ გათავისუფლებულ **ფელიქს მაგათს** შეცვლის, რომელიც ერთდროულად მენეჯერიც იყო და მთავარი მწვრთნელიც. ალოფსის ფუნქცია კი მხოლოდ მენეჯერობა იქნება. რაც შეეხება მწვრთნელს: ვოლფსბურგელებს ახლა დროებით **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერი** ავარჯიშებს.

ახალ ბოსს „ვოლფსბურგში" დღეს წარადგენენ - ალოფსი „მგლებთან" კონტრაქტს 2016 წლამდე გააფორმებს. კლუბების წარმომადგენლებმა საბოლოო მოლაპარაკებები გუშინ გამართეს და კლაუსის ტრანსფერზე შეთანხმდნენ. თანხის რაოდენობა უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ალოფსის ხელფასი „ვოლფსბურგში" წლიურად 3 მილიონი ევრო იქნება.

*„ვერდერში" 13 ბრწყინვალე წელი გავატარე. სხვა გუნდებიდან შემოთავაზებები ადრეც მქონია, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ახლა კი ვხვდები, რომ მოვიდა დრო, როცა ახალი გამოწვევა უნდა მივიღო,"* - უთხრა გუშინ ალოფსმა „ბილდს". მას „ვოლფსბურგში" ოფიციალურად დღეს წარადგენენ, კვირას კი, „ჰოფენჰაიმთან" მატჩში ის სათადარიგოთა სკამზე კიოსტნერის გვერდით დაჯდება.

კლაუს ალოფსი „ვერდერში" სპორტული დირექტორის თანამდებობაზე 1999 წლიდან მუშაობდა. 2004 წელს მისი და მთავარი მწვრთნელის, **თომას შააფის** ხელმძღვანელობით „ბრემენელი მუსიკოსები" გერმანიის ჩემპიონები გახდნენ, 2004 და 2009 წლებში კი გერმანიის თასი მოიგეს. გარდა ამისა, ალოფსისა და შააფის დუეტმა „ვერდერი" ზედიზედ ხუთჯერ გაიყვანა ჩემპიონთა ლიგაში. „ვოლფსბურგში" კლაუსი **დიეგოსა** და **ნალდოს** სახით ძველი ნაცნობები დახვდებიან: ალოფსმა ბრაზილიელი ფეხბურთელები ბრემენში 2006 და 2005 წლებში მიიყვანა.

ერთ დროს წარმატებულ სპორტულ დირექტორს „ვერდერში" ბოლო დროს წარუმატებელი სატრანსფერო პოლიტიკის გამო აკრიტიკებდნენ. მიმდინარე სეზონის დაწყებამდე ალოფსმა ხელფასების დაზოგვის მიზნით **ტიმ ვიზეს, ნალდოს, კლაუდიო პისაროსა** და **მარკო მარინის** სახით წამყვანი ფეხბურთელები გაუშვა. ფინანსურად „ვოლფსბურგი" „ვერდერზე" გაცილებით ძლიერი გუნდია, რადგან „მგლებს" ავტო-გიგანტი „ფოლკსვაგენი" აფინანსებს.

● შვედეთი. წლის საუკეთესო



ზლატან იბრაჰიმოვიჩი შვედეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელია

# ვინ, თუ არა იბრა?

## ზლატანი შვედეთში მეშვიდედ აღიარეს

ეს ისედაც ცხადი იყო, მაგრამ მაინც: შვედეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** აღიარეს. იბრამ ეს წოდება ზედიზედ მეექვსედ, საერთო ჯამში კი მეშვიდედ დაიმსახურა.

31 წლის თავდამსხმელის მორიგი წარმატება აბსოლუტურად ლოგიკურია, რადგან „მილანიდან" პსჟ-ში გადასვლის შემდეგ უფრო უკეთესად ათამაშდა. მართალია, ზლატანის საფეხბურთო შესაძლებლობებში ეჭვი ისედაც არავის ეპარებოდა, მაგრამ პსჟ-ში შვედი გოლეადორი მართლაც შესანიშნავად თამაშობს. იბრას საფრანგეთის პირველობაზე 10 ტურში 10 გოლი აქვს გატანილი, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ამას წინათ, ზაგრების „დინამოსთან" 4:0-ზე მოგებულ შეხვედრაში ოთხივე გოლი მისი პასით გავიდა. გარდა ამისა, წელს იბრამ ევროპის ჩემპიონატზეც შესანიშნავად იასპარეზა - მართალია, შვედეთის ნაკრები შერცხვა, მაგრამ ზლატანი გამორჩეული იყო.

*„ეს იმას ნიშნავს, რომ 2012 წელსაც ძალიან კარგად ვითამაშე. მეც ასე ვფიქრობ,"* - განაცხადა შვედეთის ნაკრების კაპიტანმა. მასთან ერთად, სკანდინაველებმა შვედური ფეხბურთისთვის გაწეული ღვაწლისთვის ნაკრების ყოფილი ლიდერი **ფრედრიკ ლიუნგბერგიც** დააჯილდოვეს.

● ბაიერნი

# გომესი დაბრუნდა და ბურთი გახეთქა



მარიო გომესი გამოჯანმრთელდა

„ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი **მარიო გომესი** სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ მოედანზე დაბრუნდა. 27 წლის გოლეადორმა ტრავმა მოიშუშა, ვარჯიში ჯერ კიდევ წინა კვირაში დაიწყო, გუშინწინ კი ლანდესლიგელ „შვაბენთან" ტესტ-მატჩშიც იასპარეზა, რომელიც ბავარიელებმა 6:0 მოიგეს და 4 გოლი გაიტანა. ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, მარიოს უდიდესი მონდომება ეტყობოდაო, რაც იმაშიც გამოიხატა, რომ პენალტი ისე მძლავრად დაარტყა - ბურთი გახეთქა! შეგახსენებთ, რომ გომესი ზაფხულში „ლიგა ტოტალის თასზე" დაშავდა.

*„მართალია, მეტოქე სუსტი იყო, მაგრამ ფეხბურთის თამაში იმდენად მომენატრა, რომ მაქსიმალურად დავიხარჯე და ოთხივე გოლმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. ვფიქრობ, რომ ცუდ ფორმაში არ ვარ და ახლა ვარჯიშებზეც ბოლომდე დავიხარჯები, სხვა დანარჩენი კი მწვრთნელის გადასაწყვეტია,"* - განაცხადა გომესმა მატჩის შემდეგ.

მის არყოფნაში „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში, ცენტრფორვარდის პოზიციაზე **მარიო მანჯუკიჩი** დამკვიდრდა, რომელიც 8 გოლით გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. ბავარიელთა თავკაცი **იუპ ჰაინკესი** გომესის დაბრუნებას, რა თქმა უნდა, მიესალმება, მაგრამ ამბობს, მარიოს სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნებისთვის ბრძოლა მოუწევს და ეს სწრაფად ვერ მოხდება, რადგან მანჯუკიჩი შესანიშნავ ფორმაშიაო. თუმცა ფაქტია, რომ გომესს შანსი უკვე ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, „ნიურნბერგთან" მიეცემა - ჰაინკესი მას განაცხადში შეიყვანს და დიდი შანსია, რომ შეცვლაზე ითამაშოს.

● ჰამბურგი

# ჰამბურგში დრო გაჩერდა!

## ლეგენდარული საათი გაფუჭდა და ველარ აკეთებენ




„ჰამბურგი" ერთადერთი გერმანული კლუბია, რომელიც პირველი ბუნდესლიგიდან არასდროს გავარდნილა და სწორედ ამიტომ უწოდებენ ბუნდესლიგის უკანასკნელ „დინოს". ჩრდილოგერმანული კლუბის არენაზე უძველესი საათია დამონტაჟებული, რომელიც მუდმივ რეჟიმში აჩვენებს, რამდენი წელი, დღე, საათი, წუთი და წამია გასული მას შემდეგ, რაც „ჰამბურგი" პირველ ბუნდესლიგაში თამაშობს. სამშაბათს ეს ლეგენდარული საათი გაჩერდა და კლუბის ოფიციალური ინფორმაციით მისი შეკეთება შეუძლებელია.

*„ეს საათი ექსკლუზიური ეგზემპლარია. მისი სათადარიგო ნაწილები არ არსებობს,"* - აცხადებს სტადიონის შეფი **კურტ კრეგელი**.

„ჰამბურგის" ხელმძღვანელები ახლა იმაზე ფიქრობენ, როგორ მოაგვარონ ეს პრობლემა და ამისათვის კლუბის ყველა ფან-კლუბს მიმართეს - იდეები შემოგვაშველეთო. სულ ორი ვარიანტია: საათზე ან საერთოდ უარი უნდა თქვან, ანაც თანამედროვე, ციფრული საათით უნდა შეცვალონ.

*„სანამ გადაწყვეტილებას მივიღებთ, გვინდა, ვიცოდეთ, რას ფიქრობენ ჩვენი გულშემატკივრები. ამ საათს საკულტო დატვირთვა აქვს და მარტივად ვერც მოვხსნით და ვერც შევცვლით,"* - ეს კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კარლ იარხოვის** სიტყვებია.

უკვე გამოჩნდა „ჰამბურგის" რამდენიმე მდიდარი ფანი, რომლებიც მზად არიან, კლუბისთვის ისტორიული საათი აუქციონზე შეიძინონ...

● სამწუხარო ამბავი

# ალექს ალვეში ლეიკემიით გარდაიცვალა



ალექს ალვეში (1974-2012)

ბრაზილიელი ექსფეხბურთელი **ალექს ალვეში**, რომელიც ფეხბურთის მოყვარულებს ბერლინის „ჰერტადან" გეხსომებათ, 37 წლის ასაკში ლეიკემიით გარდაიცვალა. ალვეშს ბრწყინვალე კარიერა არ ჰქონია, მაგრამ საკმაოდ ცნობილი თავდამსხმელი იყო, 2000 წელს კი „ჰერტას" ფორმით, მოედნის ცენტრიდან დაუვიწყარი გოლი გაიტანა, რომელიც მაშინ გერმანიაში წლის საუკეთესო გოლად აღიარეს.

ალექს ალვეში გუშინ ბრაზილიის პატარა ქალაქ ჟაუს ონკოლოგიურ კლინიკაში გარდაიცვალა. ლეიკემიის დიაგნოზი მას ოთხი წლის წინ დაუსვეს და ალვეში მას მერე მკურნალობდა.

2000-დან 2003 წლამდე ბრაზილიელმა „ჰერტაში" თამაშით გაითქვა სახელი. ბუნდესლიგის 81 მატჩში მან 25 გოლის გატანა შეძლო, ის იშვიათი სილამაზის გოლი კი, რომელიც ზემოთ გავიხსენეთ, 2000 წლის სექტემბერში „კიოლნს" (4:2 „ჰერტას" სასარგებლოდ) გაუტანა.

● დორტმუნდის ბორუსია

# პერიშიჩი კლოპს შემოსწყრა

დორტმუნდის „ბორუსიას" ხორვატი ფეხბურთელი **ივან პერიშიჩი** გერმანულ კლუბში უკმაყოფილოა. 23 წლის შემტევმა ნახევარმცველმა თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბრისას არ დამალა, რომ კლუბის გამოცვლაზე უკვე სერიოზულად ფიქრობს.

*„კმაყოფილი ვერანაირად ვერ ვიქნები, რადგან ამ სეზონში შარშანდელზე იშვიათად ვთამაშობ. „ბორუსია" გენიალური გუნდია და იურგენ კლოპის ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მიმაჩნია, მაგრამ ფაქტია, რომ მისგან ნდობას ვერ ვგრძნობ, მე კი მუდმივად სკამის ხეხვა არ მინდა,"* - განაცხადა პერიშიჩმა.

სანაკრებო პაუზის შემდეგ ივანი დორტმუნდში დაბრუნდება და **კლოპს** დაელაპარაკება: *„მინდა ვიცოდე, რას და როგორ გეგმავს მწვრთნელი. თუ მიაჩნია, რომ უფრო ხშირად თამაშს არ ვიმსახურებ, ზამთარში კლუბის გამოცვლაზე სერიოზულად ვიფიქრებ."*

აღსანიშნავია, რომ პერიშიჩს ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იგორ სტიმაჩმაც** „დორტმუნდიდან" წასვლა ურჩია: *„ვფიქრობ, დორტმუნდში ივანს ჯეროვნად არ აფასებენ და ვურჩევ, კლუბი გამოიცვალოს. პერიშიჩი ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრესისთვის სათამაშო პრაქტიკა სჭირდება,"* - თქვა სტიმაჩმა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

ჭადრაკი

# მეშვიდე ტურის შუქ-ჩრდილები

სლოვენიურ მარიბორში, სადაც 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, გუშინ მე-7 ტურის ორთაბრძოლები გაიმართა.

გაუწყებთ ჩვენებურთა შედეგებს:

**8-წლიანები. დიანა ლომაია** - გაურამ გარიმა (ინდოეთი) 0:1, **ნიკოლოზ კაჭარავა** - ცვეტან სტოიანოვი (ბულგარეთი) 1:0.

**10-წლიანები.** იოჰან შოჰათი (ისრაელი) - **ლუკა ობოლაძე** 0:1, **ნიკოლოზ პეტრიაშვილი** - ანტონ ტალალოვი (რუსეთი) 0,5:0,5, არსენ კოტოვი (ბულგარეთი) - **დავით კამკია** 0:1.

**12-წლიანები.** ინგრიდ გრეიბროკი (ნორვეგია) - **ლილე ქორიძე** 0:1, ლუკა მორონი (იტალია) - **ირაკლი ახვლედიანი** 1:0.

**14-წლიანები. ნინო ხომერიკი** - იზაბელა მალასენი (საფრანგეთი) 1:0, **ნინო დახუნდარიძე** - დინ კიმბერლი (აშშ) 1:0, პაულა-ალექსანდრა გიტუ (მოლდოვა) - **მაია მუმლაძე** 0,5:0,5, **გიორგი სიბაშვილი** - არავინ ჩიდამბარამი (ინდოეთი) 0:1, პეტერ ზიხაი (უნგრეთი) - **ნოე თუთისანი** 0:1.

**16-წლიანები.** ბარბარა სკუჰალა (სლოვენია) - **ნატო იმნაძე** 0:1, კატერინა ვიჩკოვა (ჩეხეთი) - **ანა შამათავა** 0:1. ურიი ელისეევი (რუსეთი) - **ირაკლი ბერაძე** 1:0, ნგოელ შტუდერი (შვეიცარია) - **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** 1:0, **გიგლა ბენიძე** - ანდრო ვაგდი (ეგვიპტე) 1:0.

**18-წლიანები.** მენძი ძიუ (ჩინეთი) - **მერი არაბიძე** 0:1.

**ვაჟა დანელია**

# ქართველებმა ზავი არჩიეს

ბერძნული კამენა-ვურლე ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს. მანდილოსნებში შვიდი ქვეყნის 22 წარმომადგენელი ეცილება ერთმანეთს პირველობას. რეიტინგფავორიტია ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** (2350), რომელმაც მსგავს შეჯიბრებებში ორჯერ (1995 და 2009 წ.წ.) გაიმარჯვა.

ჩემპიონატის სტარტზე გაფრინდაშვილმა შავი ფიგურებით გერმანელ ოლგა ლოპატინას აჯობა. ტურნირში კიდევ ორი ქართველი მონაწილეობს. პირველ ტურში ვეტერანთა შორის ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონმა დიდოსტატმა **თამარ ხმიადაშვილმა** შავებით ლარისა სავოსტინას (რუსეთი) სძლია, ხოლო საერთაშორის ოსტატმა **ნინო მელაშვილმა** თეთრებით ჰანელო ჰუსი (გერმანია) დაამარცხა. გათამაშების ცხრილში, ასევე, თითო ქულა 2011 წლის ჩემპიონმა გალინა სტრუტინსკაიამ, ნატალია ტიტორენკომ, ტატიანა ბოგუმილმა (სამივე - რუსეთი) და მირა კიერზეკმა (მაკედონია) ჩაიწერეს.

გუშინ მეორე ტურის პარტიები გაიმართა. დაზავდნენ: გაფრინდაშვილი-მელაშვილი, ხმიადაშვილი-სტრუტინსკაია, მარტინა ბელცი (გერმანია)-ელენა ანკუდინოვა (რუსეთი), ტიტორენკომ კი ბოგუმილი დაამარცხა და 2 ქულით დაწინაურდა, 9 მოჭადრაკეს 1,5-1,5 ქულა აქვს. მე-3 ტურში ქართველები ასე დაუწყვილდნენ მეტოქეებს: გაფრინდაშვილი-ტიტორენკო, ელენა ფატალიბეკოვა (რუსეთი)-ხმიადაშვილი, მელაშვილი-სვეტლანა მედნიკოვა (რუსეთი).

ჩემპიონატზე 11 ტური გათამაშდება და 24 ნოემბერს დამთავრდება. 20 ნოემბერი დასვენების დღეა.

**ვაჟა დანელია**



# თითო ყაიმი და ნაგება

ნოკაუტსისტემის პრინციპი ასეთია - წააგებ, შეჯიბრებას დაემშვიდობები, ამიტომაც რუსულ ხანტი-მანსიისკში, სადაც სამი დღის წინათ მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, ასპარეზობას 33 ქვეყნის 64 მონაწილიდან 32 შემორჩა. მათ შორის - ორი ქართველი (**ბელა ხოტენაშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი** სტარტზევე გამოეთიშნენ ტურნირს).

მეორე ეტაპის პირველ ტურში **ლელა ჯავახიშვილი** თეთრი ფიგურებით ორგზის ევროპის ჩემპიონ კატერინა ლაგნოს (უკრაინა) დაუპირისპირდა. პარტია 26-ე სვლაზე ყაიმით დასრულდა. **ნინო ხურციძე** შავებით ეთამაშებოდა ჩინელ ჟაო სიუს. 43-ე სვლაზე მას შემდეგ, რაც აზიელის C პაიკმა მე-7 ჰორიზონტალს მიაღწია, ჩვენებურმა საათი გააჩერა და მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

ტურნირის, ალბათ, მოულოდნელობა იყო ევროპის ექსჩემპიონის - უკრაინელი ნატალია ჟუკოვას შავი ფიგურებით ინდოელ ჰამფი კონერუზე გამარჯვება, რადგან ეს უკანასკნელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია და ქალთა საუკეთესო ასეულში რეიტინგით (2610) იუდით პოლგარის შემდეგ მეორე ადგილზეა, ჟუკოვას (2451) კი 39-ე საფეხური უკავია.

მეორე რაუნდის პირველი ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მონიკა სოჩკო (პოლონეთი) - ჰოუ იფანი (ჩინეთი) 0:1, პია კრამლინგი (შვედეთი) - ირინა კრუში (აშშ) 1:0, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) - ელინა დანიელიანი (სომხეთი) 1:0, მარია მუზიჩუკი (უკრაინა) - მარიცა არიბასი (კუბა) 1:0. დაზავდნენ: ანა უშენინა (უკრაინა) - ანა მუზიჩუკი (სლოვენია), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) - ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი), ჰუან ძიანი (ჩინეთი) - ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა), მარი სებაგი (საფრანგეთი) - ოლგა გირია (რუსეთი), ალისა გალიამოვა (რუსეთი) - ვალენტინა გუნინა (რუსეთი), ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი) - ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი) - ნატალია პოგონინა (რუსეთი), ანა ზატონსკიხი (აშშ) - ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი), ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) - ჟუ ჩენი (ყატარი).

დღეს განმეორებითი შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

ადამიანი დროში



# მოფარიკავე რეკორდსმენი

**ამას წინათ სპორტკომპლექს „არენაში“ მოხმალავეთა ევროპის თასის გათამაშებას დავესწარი. ფინალში ძმები - სანდრო და ბექა ბაზაძეები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მასპინძელთა წარმატებით აღფრთოვანებულ ქომაგთა შორის გამოირჩეოდა სახელოვანი ქართველი მოფარიკავე გურამ კოსტავა, რომელიც 20-წლიანი ოდისეის შემდეგ დაუბრუნდა სამშობლოს.**

- ბედნიერი ვარ, უსაზღვროდ ბედნიერი, რომ ქართული ფარიკაობა უწინდელ ტრადიციებსა და დიდებას იბრუნებს, - მითხრა სახეგაბადრულმა მუშკეტერმა, გასული საუკუნის 50-60-იან წლებში წარმატებათა ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, რომლისთვისაც, მართალია, წლებს თავისი კვალი დაუმჩნევია, მაგრამ მაინც მხნედ გამოიყურება და ისევ ისე შერჩენია სული უბერებელი.

- ექვსი ათეული წელიწადია, მე და გურამი ვმეგობრობთ, - ჩაერია საუბაში საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი, ასევე, ტიტულოვანი მუშკეტერი, მსოფლიოს ჩემპიონი **იური ოსიპოვი**. - 1951 წელს დავიწყეთ ფარიკაობაში ვარჯიში: გურამმა, ნუგზარ ასათიანმა და მორის სახვაძემ - ტრიფონ მესხთან, მე, რეზო ცირეკიძემ და გოგი გოგელია - ანატოლი ფეოდოროვთან. მალევე საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში აღმოვჩნდით და 1953 წელს სმოლენსკში ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე ვიასპარეზეთ. 17 ნაკრებს შორის გუნდური ჩემპიონობა არავის დავუთმეთ, პირადი შეჯიბრება რაპირაში კი გურამ კოსტავამ მოიგო. მას შემდეგ კვარცხლბეკს გაუშინაურდა. ადრეულ ასაკში მიიწვიეს საკავშირო ნაკრებში, რადგან მთავარმა მწვრთნელმა ლევ საიჩუკმა ქართველ ყმაწვილში ვარსკვლავი დაინახა და არც შემცდარა - დაშნაში საერთაშორისო სარბიელზე მისი მიღწევები დღემდე უნიკალურია...

მართლაც, არა მარტო ერთ პიროვნებას, არამედ ნებისმიერ სახელმწიფოს დაამშვენებდა მისი ჯილდოები: 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებში გუნდური მე-3 ადგილი დაიკავა, ოთხი წლის შემდეგ ტოკიოში კი პირად პირველობაში ერგო ბრინჯაოს მედალი. 1961 და 1967 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე საკავშირო ნაკრებთან ერთად მოიხვეჭა ოქროები, 1959 და 1966 წლებში - ვერცხლი, ხოლო 1965 წელს მესამე იყო. პირად პირველობებშიც ორი ბრინჯაო აქვს მოპოვებული - 1963 და 1865 წლებში. 1962 წელს დაშნით მოფარიკავეთა შორის მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონზე (1961), ორ-ორგზის ვერცხლისა (1960, 1968) და ბრინჯაოს (1965, 1967) პრიზიორსა და 1960 წლის საკავშირო თასის მფლობელ გურამ კოსტავაზე, აი, რას წერს ცნობილი ჟურნალისტი, ამჟამად ფარიკაობის ფედერაციის პრეზიდენტი **არჩილ გოგელია**: „ფარიკაობაშიც არსებობს თავისებური რეკორდები. იტალიის ქალაქ ტურინში მის მიერ დამყარებული რეკორდი, ალბათ, ძნელია, რომელიმე

>> მე-11 გვერდზე

სამბო. პრესკონფერენცია

# სამბისტებმა მსოფლიო და სეზონი შეაფასეს

**გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში პრესკონფერენცია გამართეს მინსკიდან დაბრუნებულმა სამბისტებმა, რომლებმაც ამ უქმეებზე ბელარუსში წარმატებით იჭიდავეს მსოფლიოს ჩემპიონატში. შეგახსენებთ, რომ იქ ჩვენებმა 6 მედალი მოიპოვეს - 5 ვაჟებმა და 1 - ქალებმა. ვაჟთა მონაგარი თითო ოქრო-ვერცხლი და სამი ბრინჯაო, მანდილოსნებიდან კი მესამე პრიზიორი ირინა ლეონიძე (80) გახდა. ვაჟთაგან მსოფლიოს ჩემპიონობა გიორგი ბაინდუროვმა (90) იზეიმა, ლომერ ჟორჟოლიანი (100) მეორეზე გავიდა, ბრინჯაოს მედლებს კი ფოთელები - ნუკრი ბერაია (52), ნიკოლოზ კუცია (82) და ზუგდიდელი ბესიკ ბერულავა (74) დაეუფლნენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენები მესამეზე გავიდნენ რუსებისა და მასპინძლების შემდეგ.**

გუშინდელ პრესკონფერენციას საქართველოს სამბოს ფედერაციის პრეზიდენტ **სოსო ლიპარტელიანთან** ერთად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი**, მისი მოადგილე **თამაზ თევზაძე** და ამავე სამინისტროს სპორტის სამმართველოს უფროსი **ირაკლი დოლაბერიძე** ესწრებოდნენ. შეხვედრაც ყიფიანმა გახსნა მისასალმებელი სიტყვით და სამბისტებს წარმატება მიულოცა. *„ამდენი მედალი არაა ცოტა და ამაზე ბევრი ქვეყანა იოცნებებდა. მინდა, დიდი პატივისცემა დაგიდასტუროთ, მადლობა გადაგიხადოთ ნებისმიერს, ვინც ჩართული იყავით ამ მიღწევაში და მოგილოცოთ ის. ვულოცავ მწვრთნელებსაც, რომლებმაც შრომა არ დაიშურეს ამ შედეგისთვის“* - თქვა მან.

სოსო ლიპარტელიანმა შეჯიბრების პერიპეტიები მიმოიხილა და ზოგიერთ გულდასაწყვეტ ფაქტზეც ისაუბრა, რამაც შედეგზე იქონია გავლენა. საქმე ისევ უსამართლო მსაჯობას ეხება, პრეზიდენტი კი განსაკუთრებით გულდაწყვეტილი კუციას დაჩაგვრის გამო იყო. *„მსოფლიოს პირველობისთვის მზადება გუნდმა დუშეთში დაიწყო, დასკვნითი ეტაპი კი მწვრთნელების საერთო მოსაზრების გათვალისწინებით მინსკში გავიარეთ. ჩვენ გარდა იქ ოთხი გუნდი იყო ჩასული, რომლებსაც მასპინძლებიც დაემატნენ და ძლიერი შეკრება გამოვიდა, რაც დაეტყო კიდეც შედეგებს.*

*მსოფლიოს ჩემპიონატზე შარშან კი გვქონდა ოქრო, მაგრამ მანამდე რამდენიმე წელიწადი არ მოგვიპოვებია. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს კარგი შედეგია, თუმცა აუცილებლად უნდა აღვნიშნო მსაჯთა ძალიან დიდი ზეწოლა კუციაზე - როცა რუსს ხვდება ჩვენი სპორტსმენი, სულ არის საშიშროება, რომ გუნდური არ მოვუგოთ მათ და ამის თავიდან ასაცილებლად მსაჯები ყველაფერს აკეთებენ.*

*გიორგი ბაინდუროვმა კარგად იჭიდავა, ღირსეულად ჩაატარა ყველა შეხვედრა და დამსახურებულად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ვულოცავ მას ამ წარმატებას.*

*ლომერ ჟორჟოლიანმა შარშანაც იჭიდავა მსოფლიოს პირველობის ფინალში ანუ ზედიზედ მეორედ მოიპოვა ვერცხლის მედალი. გვეგონა, ის ამჯერად ჩემპიონი გახდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.*

*შარშან გუნდში ქალებიც ჩავრთეთ, რომლებმაც კარგი შედეგი მოგვცეს, წლეულს ევროპაზეც ისახელეს თავი და გადავწყვიტეთ, ამჯერადაც წაგვეყვანა მინსკში. ბათუმელმა ირინა ლეონიძემ ბრინჯაოც მოიპოვა, რაც დიდი წარმატებაა“* - თქვა ლიპარტელიანმა. ამის შემდეგ მან ქართველ სამბისტთა წლევანდელი მონაგარიც შეაჯამა. მისი თქმით, ევროპის პირველობაზე ჭაბუკებმა 9 მედალი (3 - ოქრო, 4 - ვერცხლი, 2 - ბრინჯაო) და გუნდური პირველობა მოიპოვეს, ახალგაზრდებმა - 2 ოქრო, ამდენივე ბრინჯაო და 3 ვერცხლი ანუ ჯამში 7 ჯილდო და გუნდური მეორე ადგილი, უფროსებმა - გუნდური მესამე და პირადში 8 მედალი - ასევე 2-2 ოქრო-ბრინჯაო და 4 ვერცხლი ირგუნეს.

მსოფლიოს პირველობებზე ჩვენმა სამბისტებმა ასეთი შედეგები მოგვცეს: ჭაბუკებმა 7 მედალი და გუნდური მეორე ადგილი მოიპოვეს (1 ოქრო და 3-3 ვერცხლ-ბრინჯაო). ახალგაზრდებმა 6 მედალი და გუნდური მესამე გაინაღდეს 1 ოქროთი, 2 ვერცხლით და 3 ბრინჯაოთი, უფროსთა მონაგარი კი თავში გითხარით.

ფედერაციის პრეზიდენტმა სეზონის ეს საერთო მონაგარი კარგ შედეგად მიიჩნია და მიღწეულისთვის მადლობა გადაუხადა როგორც სპორტსმენებს, ასევე - მწვრთნელებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს გუნდების მომზადებაში. ლიპარტელიანს არც სამედიცინო შტაბი და **ზურაბ კახაბრიშვილი** დავიწყებია, რომელიც პირადად იყო ჩართული ნაკრების მსოფლიოსთვის მომზადებაში და მინსკშიც ახლდა გუნდს შეკრებაზე.

მისასალმებელ-მისალოცი სიტყვა სულაც მწვრთნელებისადმი სამადლობელით დაიწყო თევზაძემ, როგორც უმნიშვნელოვანესი რგოლით: *„ნებისმიერი შედეგი, მასობრიობა დამოკიდებულია დარგის სპეციალისტებზე. ამიტომ განსაკუთრებული მოლოცვა მწვრთნელებს, მერე სპორტსმენებს და განსაკუთრებით - ქალბატონს, რომელსაც მედალოსანთაგან საგანგებოდ გამოვარჩევ. ცხადია, ასეთ გამოსვლაში ფედერაციის წვლილიც დიდია, რომელმაც, როგორც აქ ითქვა, სწორად დაგეგმა მოსამზადებელი პერიოდი“.*

პრესკონფერენციის დასასრულს ყიფიანი მედალოსნებს შეჰპირდა, რომ კანონით გათვალისწინებულ სახელმწიფო პრემიებს აუცილებლად მიიღებენ, ჩვენ კი საკუთარი გამოსვლის შეფასება ბაინდუროვსა და ლეონიძეს ვთხოვეთ.

გიორგი ბაინდუროვი: *„როგორც იქნა, ჩემი დროც მოვიდა და გავიმარჯვე. წილისყრაშიც გამიმართლა, რადგან თავიდან ძლიერი მეტოქე მხოლოდ უზბეკი მყავდა, აზიის ჩემპიონი. დამაჯერებლად მოვუგე - 6:1, გავიხსენი და ფინალამდე კარგად მივედი. იქ საკმაოდ ძლიერ რუს ედუარ კურგინიანს შევხვდი, რომელიც მსოფლიოს ორგზის მედალოსანი და ევროპის შარშანდელი ჩემპიონია. თავიდან თანაბარი ბრძოლა მიდიოდა, მაგრამ ბოლოს მეტოქე ფსიქოლოგიურად გავტეხე. მთლიანობაში 5 შეხვედრა ჩავატარე და განსაკუთრებულად არც ერთი არ გამჭირვებია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა მეტოქე შესაფასებელია.*

*ტურნირის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე ფეხი ვიტკინე - კუნთი ნაწილობრივ გამიწყდა და ვიფიქრე, კიდევ ერთი უიღბლობა-მეთქი, მაგრამ გუნდის ექიმმა კახაბრიშვილმა ყველაფერი გააკეთა ამ ტრავმის მოსაგვარებლად. მართალია, ჭიდაობის დღესაც მაწუხებდა, მაგრამ მაინც შევძელი და გავიმარჯვე. ეტყობა, ამ ტრავმით გამოწვეულმა 3-დღიანმა დასვენებამაც მარგო. ვულოცავ ამ ოქროს მთელ საქართველოს, ჩემს მშობლიურ მუხრანს და ყველა იმ ადამიანს,. ვინც გვერდში მედგა“.*

ირინა ლეონიძე: *„მსოფლიოს ჩემპიონატი ისედაც ძლიერი ტურნირია, მაგრამ სამბოში ასპარეზობა ქართველი გოგოსთვის მით უფრო რთულია. მიხარია, რომ მესამე ადგილზე გავედი. თავიდან ბელარუსს ვაჯობე, მაგრამ ნახევარფინალში იტალიელთან წავაგე და სანუგეშოში გადავედი, სადაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ჩეხ მეტოქეს ვაჯობე“.*

**ირაკლი თავაძე**

2012 წლის 15 დეკემბერს 11 საათზე მძლეოსნობის ფედერაციის შენობაში ჩატარდება საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო ყრილობა.

მისამართი: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის 95ა.

ტელ: 2-35-61-76.

email: geoathletics@yahoo.com

მ.წ. 18 დეკემბერს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში 16 საათზე მოწვეულია საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა

**დღის წესრიგი**

1. ფედერაციის მიერ 2012 წლს გაწეული მუშაობის ანგარიში
2. პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების და გენერალური მდივნის არჩევნები
3. პრეზიდიუმის წევრების დამტკიცება
4. სხვადასხვა

განცხადებები მიიღება თსსუ-ს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის დეპარტამენტში (ვაჟაფშაველას, 29); ტელ: 2 54 24 86.

ასოციაციის პრეზიდიუმი

# ქართული სპორტი

« მე-10 გვერდიდან

მოფარიკავემ გააუმჯობესოს. ოცდაორი შეხვედრიდან კოსტავამ ოცდაერთის მოგება შეძლო. ეს შედეგი ჩვეულებრივ საერთაშორისო შეჯიბრებაში როდია ნაჩვენები: ლაპარაკია მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდურ ასპარეზობაზე. სწორედ, გურამის წყალობით მოიპოვა დაშნით მოფარიკავეთა საკავშირო ნაკრებმა პირველად მსოფლიოში უძლიერესის სახელი".

მეგობრები კოსტავაზე მითებად მიმოფანტულ ეპიზოდებსაც იხსენებენ. მაგალითად, 1960 წლის რომის ოლიმპიადის მეოთხედფინალში ქართველი მუშკეტერი იტალიელთა ლიდერ პოლიგრინოს დაუპირისპირდა. თავიდან მასპინძელი აქტიურობდა და 4:1 დაწინაურდა. აპენინელს მიზნის მისაღწევად ერთი ჩხვლეტალა რჩებოდა, მაგრამ ვერ ეწია საწადელს - ქართველმა სპორტსმენმა ზედიზედ ოთხი ქულა აართვა მეტოქეს და მასთან ერთად აღრიალებული დარბაზი, გაოგნებული დატოვა...

**- და მაინც, რატომ ფარიკაობა?**

ბატონ გურამს ელიმება.

- სრულიად შემთხვევით: მგონი, მე-6 კლასში ვიყავი, ბიჭიკო მასწავლებელმა (ტრიფონ მესხი - **ვ.დ.**) რომ გვითხრა, ფარიკაობაში ვარჯიში ვის გინდათო. სექციაში ბიჭების უმრავლესობა ჩაეწერა. მათ შორის მეც ვიყავი. გვეამაყებოდა მუშკეტერობა. ფაქტობრივად, დღე და ღამეს ვასწორებდით, ამიტომაც ჩვენი თაობიდან საერთაშორისო სარბიელზე ბევრმა მოფარიკავემ ისახელა თავი. ნუგზარ ასათიანმა ოლიმპიური თამაშები მოიგო, იური ოსიპოვი - მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, მორის



გურამ კოსტავა (მარცხნივ) და ნუგზარ ასათიანი

სახვაძემ რამდენჯერმე საკავშირო ჩემპიონატში გაიმარჯვა და „ზემოთ" მეტი ობიექტურობა რომ გამოეჩინათ, ალბათ, 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადაზეც მოხვდებოდა. საინტერესოა ისიც, რომ 1960 წელს თბილისში მოფარიკავეთა საკავშირო თასის გათამაშებისას, სამივე ჯილდო დავიტოვეთ: დაშნაში მე მივაღწიე წარმატებას, რაპირაში იური ოსიპოვი იყო პირველი, ხმალში - ნუგზარ ასათიანი.

**- თქვენ ტოკიოს ოლიმპიადა ახსენეთ. იქაურ ბატალიებსაც ხომ ვერ გაიხსენებდით?**

- ეჰ, მაშინ იარაღმა დამაღალატა, თორემ, შესაძლოა, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც აღმოვჩენილიყავი. მედლებისთვის ბრძოლაში 64 მოფარიკავე ჩაება. პირველი შეხვედრა უკრაინელ გრიგორი კრისს მოვუგე 5:2, მერე ოთხი მსოფლიოს ჩემპიონი ჩამოვიშორე გზიდან. საბოლოოდ სამ მეტოქეს ერთნაირი ქულები დაგვიგროვდა. გადაბრძოლებისას დიდ ბრიტანელ ჰენრი ჰოსკინსს დავუპირისპირდი. როცა ანგარიში გახდა 4:4, ბოლო იერიში წამოვიწყე და მეტოქეს ჩხვლეტაც მივაყენე. ბრიტანელმა დამარცხების ნიშნად ხელი ასწია და მოსალოცად ჩემკენ აპირებდა წამოსვლას, მაგრამ აპარატზე ნათურა არ აინთო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქულა ვერ ავიღე და შეხვედრა უნდა გაგრძელებულიყო. ცხადია, ავღელდი, რაც ძვირად დამიჯდა - მეტოქის იერიში ვერ მოვიგერიე და 4:5 დავმარცხდი. ჰოსკინსს ვერცხლი ხვდა, ოქრო კრისს ერგო, მე კი მესამე ადგილზე გავედი. ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ შევამჩნიეთ, რომ ჩემი დაშნის წვერზე დიდი ზამბარა მომძვრალიყო და აპარატმაც ჩხვლეტა ამის გამო არ დააფიქსირა. ასე დავკარგე ოლიმპიური ოქრო.

**- როგორც ვიცი, იარაღმა სხვა დროსაც გიმტყუნათ...**

- დიახ, მაგრამ მაშინ ბრძოლა არ წამიგია; 1958 წელს ვოროშილოვგრადში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე ასპარეზობისას დაშნა გამიფუჭდა. რადგან სათადარიგო არ მქონდა, იარაღი ლიტველ საბჭოთა კავშირის ჩემპიონ უდრასისგან ვინათხოვრე, რომელსაც მეოთხედფინალში მისივე დაშნით ვაჯობე. ამ გამარჯვებით ჩვენს რეზო ცირეკიძეს, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, მთავარი კონკურენტი ჩამოვაცილე გზიდან.

**- ოლიმპიურ თამაშებში თქვენ ორჯერ იასპარეზეთ...**

- მესამედაც უნდა გამოვსულიყავი, მეხიკოში 1968 წელს, მაგრამ შურიანობის მსხვერპლი გავხდი. იმ წელიწადს ტალინში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში ზედიზედ 6 შეხვედრა მოვიგე და კრისთან გადამწყვეტი პაექრობა, რომელმაც 50 წუთს გასტანა, 1:2 დავთმე. ვერცხლის მედლის მიუხედავად, ნაკრებში ადგილი, ფაქტობრივად, დაბევებული მქონდა, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: ქართველი მოფარიკავეები ეგვიპტეში საერთაშორისო ტურნირზე გავემგზავრეთ, სადაც ყველა შეხვედრა მოვიგე. შინ დაბრუნებისას გზად შევყოვნდი, რის გამოც წახკაძორში საკავშირო ნაკრების შეკრებაზე ჩასვლა დავაგვიანე. საკონტროლო შეხვედრებიც გაემართათ. ხუთკაციან გუნდში ადგილი ჩემთვის სათუო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნაკრების კარი მომიხურეს. ჩემ ნაცვლად მეხიკოში ბელარუსი იური სმოლიაკოვი წაიყვანეს, რომელმაც ფინალში უნგრელებთან ოთხივე შეხვედრა წააგო და საბჭოთა ნაკრები მეორე ადგილს დასჯერდა.

- იმ ოლიმპიადის შემდეგ ლევ საიჩუკმა გულისტკივილით მითხრა - ჩემთვის რომ დაეჯერებინათ და მექსიკის დედაქალაქში გურამ კოსტავა წაგვეყვანა, აუცილებლად ჩემპიონები გავხდებოდითო, - ისევ ჩაგვერთო საუბარში იური ოსიპოვი.

**- ბატონო გურამ, თქვენ 10 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყავით. 1968 წელს, როცა ჯერ კიდევ სპორტულ ფორმას ინარჩუნებდით, აქტიურ სპორტს ჩამოშორდით. ნაადრევი გადაწყვეტილება ხომ არ მიიღეთ?**

- იურიც დამემოწმება, რომ არაერთხელ მთხოვეს, ფარიკაობისთვის თავი არ დამენებებინა, მაგრამ უსამართლობამ ძალიან დამწყვიტა გული. რომ დავრჩენილიყავი, როგორ უნდა შევგუებოდი ნაკრების ხელმძღვანელობას ან იმ მოფარიკავეებს, ოლიმპიურ გუნდში ადგილის შესანარჩუნებლად წახკაძორში "შოუ" რომ მომიწყვეს?! დიდი სპორტიდან კაცურად წასვლა ვარჩიე.

**- ოცი წელიწადი სამშობლოში არ გიცხოვრიათ...**

- გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში კუვეიტელებმა მიმიწვიეს სამუშაოდ. მეუღლესთან ერთად გავემგზავრე. მე მოფარიკავეებს ვავარჯიშებდი, ლამარა კი ჩოგბურთელებს წვრთნიდა. ურიგო შედეგები არ გვქონია...

საბჭოთა კავშირის ხალხთა ორი სპარტაკიადის მონაწილე ლამარა მეგრელიშვილი საქართველოს ჩემპიონი გახლდათ ჩოგბურთში, ორჯერ საკავშირო ტურნირი მოიგო, საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა პირველობაში ერთხელ მეორე ადგილი დაიკავა - ნახევარფინალში ოლგა მოროზოვა დაამარცხა, ფინალი კი რაუზა ისლანოვასთან დათმო. ეს უკანასკნელი ცნობილი რუსი სპორტსმენის - მარატ საფინის დედა გახლავთ.

გურამ კოსტავას შვილებმა დედის გზა აირჩიეს - ჩოგბურთს თამაშობდნენ და არაერთი ტურნირი მოუგიათ კუვეიტსა თუ სხვა ქვეყანაში. ამჟამად ვაჟი - გურამ კოსტავა უმცროსი კანადელ ჩოგბურთელებს წვრთნის, ქალიშვილი ნინო სპორტს ჩამოშორდა - დასავლეთი ნეშვილის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მსოფლიო ბანკში მუშაობს.

**ვაჟა დანელია**

## სპორტი და ეკრანი



# გოგონა და ჯარისკაცი

**(ალმანახი, ბურთი, ხელთათმანი და ... კაპიტანი)**

ეს ფილმი გადაღებულია 1970 წელს "კინოსტუდია ქართული ფილმის" შემოქმედებითი ჯგუფის მიერ. ფილმმა მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია არა იმდენად სიუჟეტის, არამედ მასში მოკრივე დავით კვაჭაძის გამოჩენის გამო.

სცენარის ავტორი: ლ.ჭელიძე, თ.ჭელიძე

დამდგმელი რეჟისორი: თ.ფალავანდიშვილი

ოპერატორი: გ. ჩიხლაძე

როლებში: დ.კვაჭაძე, ლ.მესხი

ქართული ფილმი-1970 წელი.

## „ლელო"-ში 40 წლის წინათ...

### 15 - 21 ნოემბერი

### რა იყო მნიშვნელოვანი სპორტულ ცხოვრებაში ამ 40 წლის წინათ?

**15 ნოემბერი.** ამ დღის ნომერში „ლელო" ვრცლად მიმოიხილავს ჭადრაკში ვაჟთა შორის (ფიშერი - სპასკი 12,5:8,5; რეიკიავიკი) მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო მატჩის პერიპეტიებს, რომელმაც მსოფლიო საჭადრაკო (და არა მხოლოდ) სამყაროს უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ფაქტობრივად გაზეთი მიმოიხილავს მსოფლიო სპორტული პრესის გამოხმაურებას მატჩთან და ფიშერის უცნაურობებთან დაკავშირებით. იქვე ქვეყნდება ახალი რეიტინგი, რომელშიც ფიშერი დიდი უპირატესობით ლიდერობს. ქალებში კი ნონა გაფრინდაშვილი იყო პირველ ადგილზე, თუმცა ქულებით არაერთ ვაჟ მოჭადრაკეს უსწრებდა.

**16 ნოემბერი.** „ლელო" პირველ გვერდზე ბეჭდავს ფოტოს და ტექსტს, რომელიც ასახავს თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის ჭაბუკ ფეხბურთელთა ბრწყინვალე წარმატებას საკავშირო ტურნირის ფინალში (მწვრთნელი ვლადიმერ ელოშვილი). ქვეყნდება ფეხბურთში საქართველოს პირველობის ტურის შედეგები 16 ნოემბრისთვის. I ჯგუფში ლიდერობდა სამტრედიის „ლოკომოტივი"; II ჯგუფის I ზონაში გურჯაანის სოფ. შრომის „ვაზი", II ზონაში - ჭიათურის „მაღაროელი".

**18 ნოემბერი.** ქ. ტოლიატში მიმდინარე ქალ მოჭადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატში ამ დღისთვის გათამაშებული იყო 10 პარტია. ტურნირში ქართველები არ მონაწილეობდნენ.

„ეს კაცი გურამ მინაშვილია" ასეთი სათაურით გაზეთის ამ დღის და მომდევნო ნომერში დაიბეჭდა ჟურნალისტ (შემდგომში დიპლომატ) თედო ჯაფარიძის საინტერესო ნარკვევი ლეგენდარულ ქართველ კალათბურთელზე.

**19 ნოემბერი.** ამ დღეს „ლელო" კვლავ უბრუნდება ფიშერი-სპასკის მატჩს და აქვეყნებს ტურნირის მსვლელობისას ფიშერის უცნაურობებს. ქვეყნდება ცნობა, რომ ჩემპიონთა ჩემპიონი, უძლეველი ფალავანი ალექსანდრ მედვედი სამუდამოდ გამოეთხოვა საჭიდაო ხალიჩას.

**21 ნოემბერი.** ა. მედვედის პრიზზე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირის ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა ნოდარ მოდებაძე. დავძენთ, რომ ტურნირში მხოლოდ ზედა წონის ფალავნები მონაწილეობდნენ.

გაზეთი მკითხველს აუწყებს, რომ 1972 წლის 21 ნოემბერს ქ. ნევადაში (აშშ) გაიმართება შეხვედრა კრივში მძიმე წონაში მსოფლიოს ექსჩემპიონ მუჰამედ ალისა და ასევე ამერიკელ ბობ ფოსტერს შორის.

## პირველი, პირველმა, პირველად

**პირველი** და უკანასკნელი შეხვედრა ლანჩხუთის „გურიამ" ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე უმაღლეს ლიგაში თბილისში ეროვნულ სტადიონზე „დინამოსთან" ჩაატარა 1987 წლის 4 ოქტომბერს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 2:0. ორივე გოლი **თემურ ქეცბაიამ** გაიტანა.

**პირველმა** საქართველოდან სათხილამურო სპორტში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა **ლალა ფანჯაკაძემ,** რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა სსრ კავშირის პირველობაზე 1940 წელს.

**პირველად** საქართველოს ფალავნებიდან ჭიდაობის ორ სახეობაში წარმატებას მიაღწია **კონსტანტინე კობერიძემ.** 1939 წელს იგი გახდა სამბოში სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატის ჩემპიონი, შემდეგ კი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოიგო სსრ კავშირის პირველობა.

### 15 - 21 ნოემბერი

**15. 1921 წ.** დაიბადა [illegible] - კალათბურთი. გარდაიცვალა 2008 წელს.

**15. 1941 წ.** დაიბადა **გურამ გუდაშვილი** - მძლეოსნობა.

**15. 1961 წ.** ქუთაისის „ტორპედომ" ფეხბურთში სსრკ-ს პირველობის უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა.

**16. 1974 წ.** დაიბადა **გიორგი რევაზიშვილი** - ძიუდო.

**16. 2006 წ.** საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა თბილისში ურუგვაის ნაკრებს 2:0 მოუგო.

**17. 1926 წ.** დაიბადა **კოტე მახარაძე** - მსახიობი სპორტული კომენტატორი. გარდაიცვალა 2002 წლს.

**17. 1986 წ.** დაიბადა **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბურთი.

**18. 1964 წ.** თბილისის „დინამომ" ტაშკენტში მოსკოვის „ტორპედოს" მოუგო 4:1 და პირველად გახდა ფეხბურთში სსრკ-ს ჩემპიონი.

**20. 1919 წ.** დაიბადა **სულიკო თორთლაძე** - კალათბურთი. გარდაიცვალა 1982 წელს.

**20. 1926 წ.** დაიბადა **ვახტანგ ბალავაძე** - თავისუფალი ჭიდაობა.

**20. 1942 წ.** დაიბადა **იმედო ფხაკაძე** - ხელბურთი.

**20. 2002 წ.** ტრაგიკულად დაიღუპა **კახი ასათიანი** - ფეხბურთი.

**21. 1963 წ.** დაიბადა **მიხეილ მამიაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა.

**21. 1968 წ.** დაიბადა **ინგა გიორგობიანი** - აკრობატიკა.

## ვიქტორინა

**1. რომელ წელს გაიხსნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მუზეუმი?**

ა - 1990 წელს
ბ - 1995 წელს
გ - 1999 წელს

**2. შუა საუკუნეების რომელი ფალავანი და მოღვაწე მოიხსენიება სახელით „შავლეგო"?**

ა - ივანე ახალციხელი
ბ - ზაქარია მხარგრძელი
გ - შალვა ახალციხელი

**3. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაარსდა**

ა - 1934 წელს
ბ - 1938 წელს
გ - 1946 წელს

**4. რომელმა დინამოელმა თანაკლუბელმა შეადარა მანუჩარ მაჩაიძე არწივს?**

ა - რამაზ შენგელიამ
ბ - დავით ყიფიანმა
გ - ვაჟა ჟვანიამ

**5. თამაში ნიშნავს მხიარულებას, გართობას, თვალის სეირს. რომელი ენიდან დამკვიდრდა ეს სიტყვა ქართულში?**

ა - სიტყვა წმინდა ქართულია
ბ - არაბულია
გ - სპარსულია

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ბ, 4 - ა, 5 - ბ

## იუმორი



ნახატი ლელოს არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ედი კასტელსთან

# მწარე 23, რომელიც ჩვენს რესპონდენტს ტკბილად ახსენდება

**ჰენრიკ დეტმანი** და **ედი კასტელსი.** ეს ორი საკალათბურთო მწვრთნელი ჩვენზე ცუდადაა „გადაკიდებული". ჯერ ჰენრიკის ხელმძღვანელობით ფინელებს სტუმრად ერთი მატჩიც ვერ მოვუგეთ, შემდეგ, როცა მაინც მოვხვდით ელიტარულ დივიზიონში, ყველაზე მწარე მარცხი კასტელსის ბელგიამ გვაგემა - 2012 წლის 20 აგვისტოს თბილისში 86:63 გაიმარჯვა.

სამშაბათს ედი კასტელსის მიერ გაწვრთნილმა „ანტვერპენმა" დაძაბულ ბრძოლაში „არმიას" სძლია (80:71). არადა მომდევნო ეტაპის საგზურისთვის ბრძოლაში ამ შეხვედრის მოგება ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო.

ბელგიელ მწვრთნელ ედი კასტელსს გავესაუბრეთ როგორც საკლუბო, ასევე სანაკრებო ამბებზე.



- „არმიამ" ისრაელში 15 ქულის სხვაობით დათმო. ის შეხვედრა ვნახე და დავრწმუნდი, რომ ქართველებს ძლიერი გუნდი გყავთ. ისიც შესანიშნავად ვიცოდი, რომ შინ არმიელები ყველა მეტოქესთან ფავორიტები იქნებიან. ამიტომ, ამ შეხვედრისთვის მაქსიმალურად მოვემზადეთ, მეტოქის პლუს-მინუსები კარგად შევისწავლეთ და მძიმე მატჩში გამარჯვებასაც მივაღწიეთ.

**- მაინც რა მნიშვნელობა ჰქონდა თბილისურ შეხვედრას თქვენთვის?**

- პირველ ტურში შინ გერმანიის „ბონთან" წავაგეთ და თუ მომდევნო ეტაპზე გასვლა გვინდოდა, თბილისში არ უნდა დავმარცხებულიყავით. სხვათა შორის, სწორედ ასეთ სიტუაციაში იყო „არმია".

**- რა იყო ანტვერპენში გერმანელებთან წაგების მიზეზი?**

- მუხლის ტრავმა მიიღო ჩვენმა მთავარმა გამთამაშებელმა ტიმოთი ბლეიქმა. „ბონთან" მის გარეშე ვითამაშეთ და წაგების მთავარი მიზეზიც ეს იყო. ბლეიქი „ანტვერპენისთვის" ისეთივე ძალაა, როგორიც „არმიასთვის" კურტის მილეიჯი.

**- ყველა მეტოქის თამაში გინახავთ, ჯგუფის ფავორიტად ვინ მიგაჩნიათ?**

- აქ ფავორიტი არ არსებობს. იმდენად თანაბარი გუნდები არიან შეკრებილნი, რომ თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. განსაკუთრებული ღირებულებისაა სტუმრად გამარჯვებები.

**- ალბათ, კარგად გახსოვთ ორი წლის წინანდელი თბილისური გამარჯვება, რომელსაც ბელგიის ნაკრებთან ერთად მიაღწიეთ.**

- არასოდეს დამავიწყდება ისეთ ძლიერ გუნდთან 25-ქულიანი გამარჯვება, როგორიც საქართველოს ნაკრებია.

**- 25 არა, 23 ქულის სხვაობით მოიგეთ...**

- მაინც სასიამოვნო გასახსენებელია. ქართველები არა მხოლოდ კონკრეტულ მატჩში, ჯგუფშიც ფავორიტები იყვნენ. ეს მომდევნო წელს ევრობასკეტზეც დაამტკიცეს.

**- 2011 წელს ლიტვაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფში ხუთივე მატჩში დამარცხდით, მათ შორის საქართველოსთან. რამ განაპირობა ასეთი წარუმატებლობა?**

- ლიდერის, აქსელ ერველეს გარეშე ვთამაშობდით. მან მოსამზადებელ ეტაპზე გერმანიასთან მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო და ევრობასკეტზე ველარ დაგვეხმარა. წარმოიდგინეთ საქართველოს ნაკრები ზაზა ფაჩულიას გარეშე. სწორედ ასეთი გუნდი იყო ბელგია უაქსელოდ.

ქართველი NBA-ში

# 30 წამი




**თორნიკე შენგელიას** „ბრუკლინ ნეთსმა" მორიგი მატჩი მოიგო. ამჯერად საკუთარ მოედანზე „კლივლენდ კავალიერსი" დაამარცხა - 114:101.

თუ ქულების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბრუკლინელებს მხოლოდ **ვარეხაო** და **ირვინგი** ებრძოდნენ. პირველმა 35 ქულა ჩააგდო, ხოლო მეორემ - 34.

23, 25, 26 - ამ თანმიმდევრობით, ასეთი მონაგარი ჰქონდათ მასპინძლებს **ლოპესს, ჯონსონსა** და **უილიამსს**. თორნიკე შენგელიასთვის მწვრთნელმა მხოლოდ 30 წამი გაიმეტა. ამ დროში, ქართველმა ვერაფერი მოასწრო.

„ნეთსი" მომდევნო შეხვედრაში 15 ნოემბერს „ბოსტონს" უმასპინძლებს.

ევროთასი

# პრიენაი, ცინცაძე!

## ჭკვიანი, სწრაფი, მოხერხებული, გარდამტეხი



**საქართველოს** ნაკრების გამთამაშებელმა **გიორგი ცინცაძემ** უკრაინულ „ბუდიველნიკში" ძველი დრო გაიხსენა. იგი 2008 წელს ევროჩელენჯზე „ტარტუ როკს" ფინალური ოთხეულისკენ გაუძღვა - რუსულ „ურალ გრეიტთან" გადამწყვეტ შეხვედრაში მეოთხე პერიოდში 15 ქულა ჩააგდო... ევროსარბიელზე დაბრუნებულმა „ბუმ" კიდევ ერთი ეფექტური მატჩი ჩაატარა: გუშინ ღამით ევროთასის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში ლიტვურ „პრიენაის" ფაქტობრივად მარტომ მოუთავა საქმე.

გადამეტებით რომ არაფერს ვამბობთ, მატჩის ქრონოლოგიაც „დაგვეთანხმება": მესამე პერიოდის შუაში „ბუდიველნიკი" ორი ქულის სხვაობით იგებდა (40:38), როცა ცინცაძემ ორქულიანი ჩააგდო, ამას კიდევ ოთხი ქულა მიაყოლა და მის მიერ მოწყობილი 6:0 გაქცევის შემდეგ კიეველები 46:38 დაწინაურდნენ. ცინცაძე ამაზე არ შეჩერებულა, მესამე მეოთხედში კიდევ ერთი ორქულიანი, ორი საჯარიმო გამოიყენა, რომლის შემდეგაც „ბუდივალნიკის" უპირატესობა 13 ქულამდე გაიზარდა - 55:42. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

მატჩის დასრულებიდან რამდენიმე წუთში უკრაინულ საიტ „ისპორტზე" გამოქვეყნდა შეხვედრის ვრცელი მიმოხილვა, რომელშიც ერთი აბზაცი ქართველ გამთამაშებელს დაეთმო: „მატჩის გარდამტეხი ცინცაძე იყო, რომელიც მეტოქეებზე ჭკვიანი, სწრაფი და მოხერხებული ჩანდა. გიორგიმ თავადაც მნიშვნელოვანი ქულები მოუტანა გუნდს და მეგობრებიც აიყოლია."

ციფრებს მივხედოთ. „ბუდიველნიკმა" „პრიენაი" 84:57 დაამარცხა. გიორგი ცინცაძე თანაგუნდელ **ლეო ლაიონსთან** ერთად მატჩის სნაიპერი გახდა, ორივემ 16-16 ქულა მიითვალა. თუმცა, მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით „ბუს" ბადალი არ ჰყავდა: +24. გიორგიმ 27 წუთში 7-დან 6 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, 4 ჩაჭრა, 4 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

■ ■ ■

ამავე ჯგუფის ორმა ბინადარმა ერთმანეთთან ურთიერთობა იერუსალიმში გაარკვია. „ჰაპოელმა" ჩეხურ „ნიმბურკს" უმასპინძლა და მეოთხე პერიოდში დაშვებული შეცდომების გამო დიდი სხვაობით წააგო - 69:86.

ჰაპოელელების შემადგენლობაში მხოლოდ ორი კალათბურთელი გადასცდა 10-ქულიან ნიშნულს - **კრეიგ სმიტი** და **ჯეიკობ პულენი**. პირველმა 23 ქულა ჩააგდო, ხოლო საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა - 14. ჯეიკობის ანგარიშზე 8-დან 4 ორქულიანი, 7-დან 2 სამიანი, 3-3 მოხსნა-ჩაჭრა და 1 შედეგიანი გადაცემაა.

მომდევნო კვირაში, 21 ნოემბერს პულენის „ჰაპოელი" ცინცაძის „ბუდიველნიკს" მიიღებს.

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ნიმბურკი (ჩეხ) | 2 | 2 | 0 | 4 |
| 2. ბუდიველნიკი (უკრ) | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. პრიენაი (ლიტ) | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. ჰაპოელი (ისრ) | 2 | 0 | 2 | 2 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# ოლიმპზე ოლიმპია

**ოლიმპი-სოხუმი 65:53**

9:11, 16:19, 24:12, 16:11

**ოლიმპი:** გ. ბაქრაძე (2ქ), ნადირაძე (2ქ), ბრაგვაძე, იაშვილი (8ქ, 3ჩ), გოგოძე (4ქ), იაკობიძე, ცირეკიძე (10ქ, 7მ), აბულაძე (15ქ, 5პ, 5მ, 4ჩ), ნ. ბაქრაძე, ფხაკაძე (8ქ, 5მ, 3დ), ბიჭაშვილი, ლობჟანიძე (16ქ, 9მ).

**სოხუმი:** მეგენეიშვილი (5ქ, 3პ), გაფრინდაშვილი (7პ, 6მ), ძიძიგური (13ქ, 2დ), ტყაბლაძე, გოლეთიანი (3ქ), კვანტალიანი (17ქ, 14მ, 2დ), ბულიავა (15ქ, 14მ, 3პ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი.

**დინამო-ჰიუნდაი 88:95**

16:21, 20:20, 28:25, 24:29

**დინამო:** ამირხანაშვილი, ლილუაშვილი (8ქ, 6ჩ, 7პ), ჩოჩია (23ქ), მესხი (9ქ, 8მ, 4პ), ორმოცაძე (11ქ, 4პ, 4ჩ), დოლიძე (7ქ, 6მ, 2დ), გელაზონია (18ქ, 15მ), ღუდუშაური (12ქ, 5მ, 3პ, 3ჩ).

**ჰიუნდაი:** სანაძე (15ქ, 7პ), ტომარაძე (18ქ, 4პ), ლომიძე, ზაქრაძე (23ქ, 7მ, 8პ, 6ჩ), გიორგაძე (20ქ, 9მ, 4პ, 3ჩ), ბუთხუზი (12ქ, 11მ), მაჭავარიანი (7ქ, 6მ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი.

**შსს აკადემია-რუსთავი 69:64**

24:15, 11:13, 14:18, 20:18

**შსს აკადემია:** მეგრელიძე, რ. როგავა (15ქ, 8მ, 9პ, 2დ), გორდულაძე (11ქ), ჟორჟოლიანი (9ქ, 8მ), ლოლიშვილი (13ქ, 9მ), ხეთაგური, რ. როგავა (8ქ, 9მ, 3პ), მირზაშვილი (11ქ, 13მ, 11დ), კენჭიაშვილი, არუთინოვი (2ქ).

**რუსთავი:** ლორთქიფანიძე (15ქ), ქიტოშვილი (23ქ, 4პ), არაბული (6ქ, 13მ, 3პ), დვალი (5ქ), ნარჩომაშვილი (6ქ, 11მ), გაგნიძე (9ქ, 9მ), ჯაჯანიძე.

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 4 | 4 | 0 | 295/206 | 8 |
| 2. შსს აკადემია | 4 | 3 | 1 | 266/243 | 7 |
| 3. სოხუმი | 4 | 2 | 2 | 282/306 | 6 |
| 4. ჰიუნდაი | 4 | 1 | 3 | 305/353 | 5 |
| 5. რუსთავი | 3 | 1 | 2 | 247/250 | 4 |
| 6. დინამო | 3 | 0 | 3 | 211/248 | 3 |

საინტერესოდ მიმდინარეობს საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი, რომელშიც 6 გუნდი მონაწილეობს. შესაბამისი ასაკის საუკეთესო კალათბურთელები გუნდებში მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან გადანაწილებულნი და პირველობასაც სანახაობრიობა არ აკლია.

ჩემპიონატის ლიდერებმა ბოლო ტურშიც დამაჯერებლად იასპარეზეს. „ოლიმპმა" „სოხუმი" დაამარცხა, ხოლო „შსს აკადემიამ" - „რუსთავი". ოლიმპელებს გაუძღვნენ **ნუგზარ აბულაძე** და **საბა ლობჟანიძე**. პირველმა 15 ქულა და 5 პასი მიითვალა, ხოლო მეორემ 16 ქულა და 9 მოხსნა.

შსს-ელთა რიგებში და საერთოდ, ტურში გამოირჩა **მერაბ მირზიაშვილი**, რომელმაც მეტად ეფექტური სამმაგი დუბლი მიითვალა - 11 ქულა, 11 დაფარება, 13 მოხსნა. დუბლებს ვერ შესწვდა, მაგრამ არანაკლებ ღირებული იყო **რეზო როგავა**, რომელმაც 15 ქულას 9 პასი და 8 მოხსნა წაუმატა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ მწვრთნელი **გიორგიოს კეცელიდისი** რეზოს უმაღლესი ლიგის გუნდშიც რეგულარულად ათამაშებს.

„ჰიუნდაისთვის" „დინამოსთან" სტუმრად გამარჯვება სეზონის პირველი მოგება იყო. მატჩის ბომბარდირი გახდა **ლუკა ზაქრაძე**, რომელმაც 23 ქულას 8 შედეგიანი გადაცემა და 6 ჩაჭრა წაუმატა. იგი პირველობის სნაიპერთა შორის მეორეა (საშუალოდ 18 ქულა), პირველობას კი არავის უთმობს სოხუმელი **ოთარ ბულიავა** - 18.8.

6.8 შედეგიანი გადაცემით მეპასეთა რიგებს ლიდერობს **რეზო** როგავა, ხოლო მოხსნებში საუკეთესო „სოხუმის" კალათბურთელი **ლერი კვანტალიანია** - საშუალოდ 15.5.



ევროჩელენჯი. ჩვენი მეტოქეები

**ბონი (გერმანია)-ჰაპოელი (ისრაელი) 85:78**

● რაგბი. შეხვედრა წარსულთან

# ოქროს გუნდის თავკაცი

**25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნოემბრის სუსხიან საღამოს მოსკოვთან ახლოს მდებარე მონინოს სარაგბო მოედანზე ქუთაისის „აიამ" უშეღავათო ბრძოლაში ადგილობრივი სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი დაამარცხა და პირველად მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული.**
**ქართული რაგბის ისტორიაში „აია" იყო პირველი გუნდი, რომელიც სსრკ-ს ჩემპიონი გახდა. ქუთაისური გუნდის წარმატებები მომდევნო წლებშიც გაგრძელდა, დუგლას კავთელაშვილის განვრთნილმა გუნდმა სამჯერ სსრკ-ს ჩემპიონის წოდება და ორჯერ თასი მოიპოვა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით „აიას" წარმატებების მთავარ შემოქმედს დუგლას კავთელაშვილს ვესტუმრეთ და მასთან ერთად კიდევ ერთხელ გავიხსენეთ ქუთაისური გუნდის ოქროს წლები.**



დუგლას კავთელაშვილი (მარცხნივ)

ქუთაისში რაგბის აღმასვლა მას შემდეგ დაიწყო, რაც გუნდის პატრონობა სახლმშენებელმა კომბინატმა ითავა. მისი თავკაცი რომან ბეჟუაშვილი რაგბის დიდი ქომაგი იყო და მასზე ყოველთვის ზრუნავდა. მე და შაკო ქურციკიძე „სახლმშენის" („აიას" იმ დროს სწორედ ეს სახელი ერქვა) მოთამაშე მწვრთნელები ვიყავით. მეგობრული და კარგად შეთამაშებული გუნდი გვყავდა. ბევრი სირთულის მიუხედავად, გუნდი თანდათან ვითარდებოდა.

**- ფინანსური მხარდაჭერა ქუთაისურ გუნდს მალევე დაეტყო და 1978 წელს სსრკ-ს უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვეთ...**

- პირველი ლიგა საკმაოდ რთული ტურნირი იყო და უმაღლესის საგზური ძალიან დაძაბულ ბრძოლებში მოვიპოვეთ. მომდევნო წელს უფრო მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილებაც მივიღეთ, ჩემპიონატი პირადად ჩემთვის წარმატებული გამოდგა - სსრკ-ს ნაკრების კანდიდატთა სიაში დამასახელეს.

**- სანამ „აიას" „ოქროს წლები" დადგებოდა, ქუთაისურ გუნდს მანამდეც ჰქონდა გარკვეული წარმატებები...**

- 1984 წელს „სახლმშენმა" ვერცხლის, 1985 წელს კი ჩემპიონატში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. ამ დროს გუნდიდან წამოსული ვიყავი და „სახლმშენს" შაკო ქურციკიძე წვრთნიდა. შემდეგ იგი ოჯახური პრობლემების გამო გუნდიდან წავიდა და „აიას" მთავარ მწვრთნელად მე მიმიწვიეს. სამწუხაროდ, იქ ძალიან ცუდი მდგომარეობა დამხვდა. გუნდი მოუმზადებელი ხვდებოდა სეზონს. საკონტროლო მატჩებში უხეირო შედეგები ჰქონდა და უმაღლესი ლიგიდან გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლებოდა. მოსამზადებლად მცირე დრო იყო დარჩენილი, თუმცა მკაცრი დისციპლინის ხარჯზე მოთამაშეების ფორმაში ჩადგომა მოვახერხეთ. იმ პერიოდში სსრკ-ს ნაკრები გუნდის უფროსი ვიყავი და ჩემპიონატის დაწყებამდე ნაკრებსა და „აიას" შორის ამხანაგური მატჩის ორგანიზება მოვახერხეთ. მართალია, დავმარცხდით, მაგრამ ნაკრებთან ჩატარებულმა შეხვედრამ დამარწმუნა, რომ გუნდი პირველობას მომზადებული ხვდებოდა.

**- რამდენად რთული ჩემპიონატი იყო და როგორ მოახერხა პატარა ქალაქის ღარიბმა გუნდმა ჩემპიონობისა და თასის მოგება?**

- ძალიან რთული პირველობა იყო, თუმცა მაშინდელ ლიდერს „ავიატორს" პირველად როცა მოვუგეთ, ბიჭები უფრო თავდაჯერებულები გახდნენ. ირწმუნეს, რომ ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეეძლოთ. 1987 წლის ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩავატარეთ. გადამწყვეტი პაექრობა „მონინოსთან" გვქონდა. სუპერფინალის პირველი შეხვედრა ქუთაისში 10:0 მოვიგეთ. განმეორებით მატჩში ფავორიტად მონინოელები ითვლებოდნენ, მაგრამ 13:7 გავიმარჯვეთ და ჩემპიონები გავხდით. სამწუხაროდ, მონინოსთან გადამწყვეტი მატჩის არც ფოტო და არც ვიდეომასალა არ გვაქვს, რაზეც ძალიან მწყდება გული. მახსოვს, ჩემპიონობა თბილისში „დინამო" „ტორპედოს" საფეხბურთო მატჩის დროს მოგვილოცეს. სტადიონზე საპატიო წრე შემოგვატარეს. იმ წელს პირველად ქართული რაგბის ისტორიაში სსრკ-ს თასიც მოვიგეთ.

**- როგორც ვიცით, „აიას" კეთილსინდისიერი ჩემპიონობის ზოგიერთს არ სჯეროდა...**

- ჩვენს სენსაციურ გამარჯვებას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. პირველად რომ გავხდით ჩემპიონები, არაკეთილმოსურნეები იძახდნენ – იყიდესო, მეორე ჩემპიონობაზე - აჩუქესო, მესამედ რომ მოვიპოვეთ ოქროს მედლები, სათქმელი აღარაფერი დარჩათ და აღიარეს - მართლა მაგარი გუნდი ყოფილაო.

**- იმ დროს ქუთაისურ რაგბიში ძალიან ნიჭიერი თაობა წამოვიდა, „აიას" წარმატებებისა და სტაბილურობის მთავარი მიზეზი ალბათ ეს იყო.**

- მართლაც ბრწყინვალე თაობა იყო. რომელი ერთი გავიხსენო- ოლეგ ლიპარტელიანი, ბართლომე ხამაშურიძე, საშა ნაჭყებია, რობერტ ობოლაძე, თენგიზ ტურძელაძე, ნუგზარ ძაგნიძე, კახა გაბრიჩიძე, თამაზ ფხაკაძე, თამაზ ოდიშარია... გუნდში ახალგაზრდებისა და ვეტერანების იდეალური სინთეზი იყო. გამოცდილება და ახალგაზრდული ენერგია ერთმანეთს კარგად შეერწყა და „აია" ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდა. თუმცა, „აიას" ძირითადი ძალა მაინც ერთსულოვნებაში იყო. ერთმანეთთან ძალიან მეგობრულად ვიყავით, ამასთანავე, დისციპლინას დიდ ყურადღებას ვაქცევდით. ვიცოდი, რომ დილის რვის ნახევარზე გაღვიძება არავის არ მოსწონდა, მაგრამ ჩემთან ამის გამო უკმაყოფილება არავის გამოუთქვამს. ყველამ კარგად იცოდა, მისგან რას ვითხოვდით და რა უნდა გაეკეთებინათ.

**- განსაკუთრებით რომელ სათამაშო კომპონენტში იყო ძლიერი თქვენი გუნდი?**

- რუსები ძირითადად ფიზიკური მომზადებით გვჯაბნიდნენ და როცა გუნდის მწვრთნელად დავინიშნე, პირველ რიგში ამ კომპონენტს მივაქციე ყურადღება. ცოტა ხანში ფიზიკურ მომზადებაში რუსებს თუ არ ვჯობდით, არც არაფრით ჩამოუვარდებოდით. ძლიერი შერკინება გვყავდა და დაცვაშიც ერთ-ერთი საუკეთესოები ვიყავით. ერთსულოვნებითა და სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვით ზედიზედ სამჯერ გავხდით სსრკ-ს ჩემპიონები და ორჯერ თასი მოვიპოვეთ.

**- დამოუკიდებლობის შემდეგ „აია" უკვე საქართველოს ჩემპიონატში გააჩემპიონეთ.**

- "აია" ჩემი მწვრთნელობისას სამჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი. იმ პერიოდში ფინანსურად ძალიან ჭირდა, ვის არ ვთხოვდი, რომ ბიჭებისთვის მცირეოდენი თანხა მიეცათ, ოჯახები რომ დაეპურებინათ. შემდეგ გუნდი დაიშალა და ქუთაისელი მორაგბეების დიდმა ნაკადმა ბათუმს მიაშურა. საბედნიეროდ, ბოლო წლებში „აია" კვლავ დადგა ფეხზე. გასულ სეზონში ჩემპიონობაც შეეძლო, მაგრამ ფინალში ფრანგმა მსაჯმა ყველაფერი ილონა, რომ ქუთაისურ გუნდს გამარჯვება არ მოეპოვებინა.

**- დღეს რას საქმიანობთ?**

- მე მორაგბე ვარ. ეს არის ჩემი ცხოვრება. რაგბის ვეტერანთა კავშირის, ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად ვითვლები, ვეტერანთა კავშირი ქუთაისშიც ჩამოვაყალიბეთ, ადრე ქუთაისში ამ ორგანიზაციას ჩემი მეგობარი შაკო ქურციკიძე ხელმძღვანელობდა... ვეტერანთა კავშირი ორგანიზებას უწევს თბილისელი და ქუთაისელი ვეტერანი მორაგბეების შეხვედრებს, საიუბილეო ტურნირებს და, რა თქმა უნდა, „მესამე ტაიმებსაც"...

**დავით პოხრეიძე**
**ქუთაისიდან**



● მერამდენედ?

# გორის ხელისუფლების უცნაურობანი

გორში მდინარე ლიახვზე გადებულ ხიდთან, რომელიც ქალაქის ცენტრს იმ უბანთან აკავშირებს, სადაც ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლაა, თვენახევრის წინათ გამოფენილი ერთადერთი ბილბორდი ოლიმპიური ჩემპიონის **ლაშა შავდათუაშვილის** გამოსახულებით ჩამოხსნეს. შავდათუაშვილით მთელი საქართველო ამაყობს და მშობლიურ ქალაქში თავიდან მისი ბილბორდის გამოჩენა, ბუნებრივია, ჩვეულებრივ ამბად მივიჩნიეთ, მაგრამ ჩამოხსნას ნამდვილად არავინ ელოდა. მით უფრო, რომ როგორც ლაშას პირადი მწვრთნელებისგან შევიტყვეთ, ბანერის დასადებად ადგილობრივ ხელისუფლებასთან ბევრი თხოვნა ყოფილა. ერთხანს, როგორც იქნა, იგი დაიდგა, მაგრამ ამჟამად ერთ-ერთი კლინიკის სარეკლამო ბანერითაა შეცვლილი. *„ლაშას წარმატება მთელ გორს უხარია და გაუგებარია, ჯერ ქალაქში მისი ბანერის გამოტანას რატომ უნდა დასჭირებოდა ამდენი ხვეწნა, ეს ჩამოხსნა, ხომ საერთოდ არაადეკვატური საქციელია. თუმცა, მეტსაც გეტყვით, ამას წინათ ქუთაისში ადგილობრივი ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელის რეზო რობაქიძის ორგანიზებით ისეთი ბრწყინვალე შეხვედრა მოგვიწყვეს, რომ გორში (ჩვეულებრივ მოქალაქეთა გარდა), ჩინოსანთა მხრიდან არასდროს ამ სითბოს ნახევარიც არ გვიგრძნია"* - გვითხრა მწვრთნელმა **ნიკო ბიბილაშვილმა.** უკმაყოფილებას არ მალავს ლაშა შავდათუაშვილიც. *„ხაზი მინდა გავუსვა, რომ სულაც არ მამოძრავებს ბანერების ჩემი ფოტოებით აჭრელების სურვილი, უბრალოდ, სამწუხაროა, როცა მშობლიურ მხარეში მნიშვნელოვანი გამარჯვების აღნიშვნა ასეთი ფორმითაც კი რომ არ ემეტებათ. მის ჩამოხსნას ხომ საერთოდ, ჯობდა თავიდანვე არც დაედოთ! პატივისცემა კი ამას წინათ ქუთაისში უფრო დიდი ვიგრძენი (რისთვისაც „ლელოს" საშუალებით მინდა მოკრძალებული მადლობა გადავუხადო ქუთათურებს), ვიდრე გორის ადმინისტრაციისგან"* - გვითხრა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

რამდენიმე თვის წინათ ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით ოლიმპიური ჩემპიონებისადმი მიძღვნილი კედელი დაინგრა იმ მოტივით, რომ მის უკან მშენებარე გასართობ დაწესებულებას ხედს „უფუჭებდა". იმხანად რაიონის საკრებულომ თავისუფალი ჭიდაობის სკოლისთვის დარბაზის ასაშენებლად დაპირებული და მრავალი წლის შემდეგ ბოლოს და ბოლოს გამოყოფილი თანხაც უკან წაიღო და სტალინის მუზეუმის სკვერის რეაბილიტაციას მოახმარა. საჭადრაკო კლუბ „მთიების" შენობა კი მოჭადრაკეებს იძულებით დააცლევინა და ნაციონალურ მოძრაობას შტაბის მოსაწყობად მიაქირავა. ერთი თვის წინათ, სპორტული ორგანიზაციებისადმი დაფინანსების შემცირებისათვის საკრებულოში მწვავე დებატებიც გაიმართა. იმასაც გავიხსენებთ, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ახალი საფარის დაგებისას, ადგილობრივი მწვრთნელების მიერ ძველი საფრის „ქართლის" არენაზე გადატანის არაერთი თხოვნის მიუხედავად, ბალახი ტროტუარების მიმდებარე გაზონებზე რომ შემოაწყვეს. დავძენთ, რომ ამ ამბებზე „ლელო" ოპერატიულად წერდა და პრობლემა დღეს არ გაგვხსენებია.

ლაშა შავდათუაშვილის ბანერის ჩამოხსნაც ამ უსიამოვნო ფაქტების ჯაჭვის მორიგი სამარცხვინო რგოლია, რაც სპორტის გორელ გულშემატკივრებს ადგილობრივი ხელისუფლების სპორტისადმი „სიყვარულის" კიდევ ერთ გამოხატულებად მიაჩნიათ.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

● სუმო. კიუშუს ბაშო. 11-25 XI



# გაგამარუმ დააბალანსა

როგორც ჩანს, წლის უკანასკნელ ბაშოზე ქართველთა მიზანი პროზაულია - როგორმე, ტურნირის დადებითი ბალანსით ჩამთავრება და რეიტინგში წინსვლის დაბევება. უფრო მაღალი მიზნებისთვის საბრძოლველად ისინი მზად არ ჩანან. გუშინ **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე) მასუნოიამასთან** წააგო, რაც მოულოდნელი შედეგია. დღეს ჩვენებური ოძეკი **კოტოშოგიკუს** შეხვდება. ლევანს 1-3 ბალანსი აქვს.

**გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** მონღოლ **შოტენროს** მოუგო და ნულოვანი ბალანსი (2-2) გაუხდა. დღეს ჩვენი მძიმეწონოსანი **ტოიოჰიბიკის** გამოცდის. კიუშუს ბაშოს 4-4 მოგებით 6 რიკიში უდგას სათავეში, რომელთა შორისაც მონღოლი დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰოა.**

### IV დღე

**(მნიშვნელოვანი ბრძოლები):** ჰაკუჰო-კაისეი (უვატენაგე), ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი (შიტატენაგე), კოტოოშუ-ტაკეკაძე (იორიკირი), კაკურიუ-ჰომაშო (კატასუკაში), კისენოსატო-ტოჩიოძანი (ცუკიოტოში), კოტოშოგიკუ-ოკინოუმი (იორიკირი), გოეიდო-ამინიშიკი (ოშიდაში), მიოგირიუ-ტაკაიასუ (იორიკირი), მასუნოიამა-**ტოჩინოშინი** (ოშიდაში), **გაგამარუ**-შოტენრო (ოშიდაში).

### სატურნირო მდგომარეობა

**4-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი), გოეიდო (სეკივაკე), აოიამა (მაეგაშირა 5), ტოიონოშიმა (მ 6), ჩიოტაირიუ (მ 15)... **2-2: გაგამარუ** (მ 7)... **1-3: ტოჩინოშინი** (მ 3).

### V დღე

**(მნიშვნელოვანი წყვილები):** ჰაკუჰო-ჰომაშო, ჰარუმაფუჯი-კაისეი, კაკურიუ-ოკინოუმი, კისენოსატო-შოჰოზანი, **ტოჩინოშინი**-კოტოშოგიკუ, კოტოოშუ-ამინიშიკი, მიოგირიუ-ტოჩიოძანი, გოეიდო-ტაკეკაძე, მასუნოიამა-ტაკაიასუ, **გაგამარუ**-ტოიოჰიბიკი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლეიკერსისთვის სპურსი ჯერ ძლიერია

## ნიუ იორკი ისევ დაუმარცხებლად რჩება

დღის ცენტრალური მატჩის გამოცნობა რთული არ ყოფილა - "სან ანტონიოსა" და "ლეიკერსის" დაპირისპირება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს, ამჟამად კი კალიფორნიელთა თამაში საყოველთაო განხილვის საგანია, რადგან ამ გუნდში უკვე მოესწრო სამწვრთნელო შეცვლა - **მაიკ ბრაუნის** ნაცვლად "ლეიკერსში" **მაიკ დ'ენტონი** მოვიდა, თუმცა გუშინდელ მატჩში მასპინძლებს კვლავაც **ბერნი ბიკერსტაფი** ხელმძღვანელობდა.

"ლეიკერსს" აკლდა პირველი და მეორე გამთამაშებელი (**სტივ ნეში და სტივ ბლეიკი**), ამიტომაც მთავარი მწვრთნელის მოვალეობების შემსრულებელს ძირითადში 21 წლის **დარიუს მორისის** დაყენებამ მოუწია. სიახლე იყო **გრეგ პოპოვიჩისგან ტიაგო სპლიტერის** სასტარტოში დაყენება.

თავდაპირველად საქმეები კარგად წაუვიდათ სტუმრებს: სპლიტერმა, **გრინმა** და **ლეონარდმა** ტეხასელებს 10:2 ლიდერობა მოუტანეს. "სტეიპლს ცენტრის" ტრიბუნები არასასიამოვნოდ ახმაურდნენ. პირველმა ამაზე რეაგირება **მეტა უორლდ პისმა** მოახდინა - მის მიერ დაგროვილმა ზედიზედ ხუთმა ქულამ სათავე დაუდო "ლეიკერსის" 14:0 გაქცევას. ამის შემდეგ, თითქმის სულ ქულა ქულაში თამაში მიდიოდა.

თანდათან თამაშის სადავეები ხელთ იგდეს გუნდების ლიდერებმა - სტუმრების ქულათა დიდ ნაწილს **ტონი პარკერი** და **ტიმ დანკანი** აგროვებდნენ, **კობი ბრაიანტი** კი ფენომენალურ სიზუსტეს აჩვენებდა და თან არც თანაგუნდელების პასებით მომარაგებას ივიწყებდა (8 შედეგიანი პასი). სწორედ თავისი მთავარი ვარსკვლავის მონდომებით "ლეიკერსმა" ნერვული ფინალი მოუწყო მეტოქეს.

ამ დაძაბული დასასრულისთვის კალიფორნიელებს ძალები ეყოთ, მაგრამ არა იღბალი. დროულად გამოფხიზლდა **გასოლი**, რომელმაც ბოლო წუთნახევარში უმნიშვნელოვანესი ოთხი ქულა ჩააგდო. მაგრამ ესპანელი ვერ გახდა მატჩის გმირი. ძირითადი დროის დასრულებამდე 20 წამით ადრე უორლდ პისმა სამქულიანი ააცილა, "სან ანტონიომ" კი ტაიმაუტის შემდეგ თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა - სტუმრებმა შორეულ ტყორცნაზე გაიყვანეს დენი გრინი და მან არ ააცილა - 84:82 "სან ანტონიოს" სასარგებლოდ. საფინალო სირენამდე სამი წამით ადრე გასოლმა მოასწრო მოუმზადებელი სროლა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია.

■ ■ ■

"სან ანტონიო" ერთადერთი წაგებით დასავლეთის ლიდერია, აღმოსავლეთში კი კვლავაც დაუმარცხებელია "ნიუ იორკი". "ნიქსმა" თავისი შთამბეჭდავი სერია "ორლანდოსთან" მატჩში გააგრძელა და მისი მოგება გასაკვირი არ ყოფილა - "მეჯიქი" აღნიშნულ შეხვედრას სასტარტო ხუთეულის სამი წევრის გარეშე შეხვდა.

მართალია, "ნიუ იორკსაც" აკლია **იმან შუმპერტი და ამარე სტაუდმაიერი,** მაგრამ ამ უკანასკნელის გარეშე, გუნდი აშკარად უკეთ გამოიყურება. "ეს მატჩი დაცვაში კარგი თამაშის წყალობით მოვიგეთ", - განაცხადა **კარმელო ენტონიმ**. მართლაც, ნიუიორკელებმა სამხრეთელებს 20 შეცდომა დააშვებინეს და ამ შეცდომების წყალობით 24 ქულა აიღეს.

"ნიუ იორკს" სტარტზე ზედიზედ ხუთი მოგება აგერ უკვე 19 წელია არ ჰქონია - 1993/94 წლებში გუნდმა სეზონი ზედიზედ შვიდი გამარჯვებით დაიწყო. იმ წელს "ნიქსმა" NBA-ის ფინალამდე მიაღწია.

**ორლანდო-ნიუ იორკი 89:99**

**23:27, 30:22, 23:28, 13:22**

**ო:** რედიკი (18+7 პასი), აფლალო (13+5 პასი), ვუჩევიჩი (12+10 მოხსნა), მური (12+8 პასი), ნიკოლსონი (11), ჰარკლესი (10+7 მოხსნა+4 დაფარება), დევისი (10+6 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (25+8 მოხსნა), ფელტონი (21+5 პასი), სმიტი (21), ჩენდლერი (12+6 მოხსნა).

**ლეიკერსი-სან ანტონიო 82:84**

**24:18, 19:20, 16:22, 23:24**

**ლ:** ბრაიანტი (28+8 პასი), ჰოვარდი (13+15 მოხსნა+3 დაფარება), უორლდ პისი (12), გასოლი (10+10 მოხსნა+5 პასი).

**ს-ა:** პარკერი (19+7 პასი), დანკანი (18+9 მოხსნა+4 დაფარება), გრინი (11+5 მოხსნა), სპლიტერი (9+9 მოხსნა).



ლეიკერსს ჯერ უჭირს



შეტევაში დამიენ ლილარდი

# სხვა მატჩები

თანდათან ალაგებს სათამაშო კავშირებს "ბრუკლინი". "კლივლენდთან" მატჩში **დერონ უილიამსმა და ჯო ჯონსონმა** ამ სეზონში პირველად გადალახეს 20-ქულიანი ზღვარი და ერთად 51 ქულა მოიპოვეს (უილიამსი - 26, ჯონსონი - 25), რასაც დაემატა **ბრუკ ლოპესის** 23 ქულა. სამივეს ერთად სიზუსტის ფანტასტიკური მაჩვენებელი ჰქონდა - 54.5% თამაშიდან. შესაბამისად, "ნეტსმა" დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია.

არადა, მატჩის დასაწყისში ისე ჩანდა, რომ ბრუკლინელებს, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შექმნოდათ. **ანდერსონ ვარეჟაომ** მარტო მოუგო სტუმრებს დებიუტი - სასტარტო მეოთხედში 17 ქულა დააგროვა (8-დან 7 თამაშიდან!), საბოლოოდ კი ბრაზილიელმა 35 ქულა მიითვალა. ამას 34 ქულა დაუმატა **კაირი ირვინგმა**. მათ ერთობლივ სტატისტიკაში შედის აგრეთვე 22 მოხსნა, 12 შედეგიანი პასი და 5 ჩაჭრა. მაგრამ ამ სუპერწყვილს პარტნიორთაგან არავინ დაეხმარა. მაგალითად, 2012 წლის დრაფტის მეოთხე ნომერმა **დიონ უეიტერსმა** პირველი რვა ტყორცნა ააცილა და შეხვედრა კატასტროფული მაჩვენებლით დაასრულა - 16-დან მხოლოდ სამი ზუსტი ტყორცნა. გასაკვირი არ არის, რომ მესამე მეოთხედში მასპინძლების უპირატესობა 20 ქულას უდრიდა.

■ ■ ■

წლევანდელი სეზონის სტარტზე "შარლოტის" ახალი მწვრთნელი **მაიკ დანლეპი** ამბობდა, რომ მისი ამოცანა მოთამაშეთა მენტალიტეტის შეცვლა იყო. ჩემპიონატის დასაწყისი გვიჩვენებს, რომ მოთამაშეები მწვრთნელს ყურადღებით უსმენდნენ - გუნდს, რომელმაც შარშან NBA-ის ისტორიაში ყველაზე უარესი გუნდის არაოფიციალური "ტიტული" მიიღო, 3 მოგება და 3 წაგება აქვს, რასაც არავინ ელოდა.

თუმცა შინ **ჯონ უოლისა და ნენე ილარიოს** ტრავმებით დასუსტებული "ვაშინგტონის" დამარცხება პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმ სტატისტიკით, რომელიც მასპინლებმა დააფიქსირეს - თამაშიდან 39.7 პროცენტი და სამქულიანების რეალიზაციის 23.1 პროცენტი. "ვაშინგტონს" ამაზე უარესი სტატისტიკა ჰქონდა - შესაბამისად, 29.8 და 16.1 პროცენტი.

■ ■ ■

"ტორონტოს" არავინ უსაყვედურებდა სტუმრად "ინდიანასთან" წაგებისთვის, რადგან კანადურ კლუბს ტრავმირებული ჰყავდა **ლენდრი ფილდსი, კაილ ლოური და ალან ანდერსონი**. მაგრამ "რეპტორზმა" პრობლემები არ შეიმჩნია. პირველი მეოთხედის დასრულებამდე 4 წუთით ადრე, **ხოსე კალდერონმა** (ესპანელმა სამმაგი დუბლი შეასრულა) სტუმრები წინ გაიყვანა (19:17) და ლიდერობა მატჩის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. "რეპტორზს" გამარჯვებაში არც იმან შეუშალა ხელი, რომ კლუბმა თავის ისტორიაში ერთ მეოთხედში ყველაზე დაბალი შედეგიანობა აჩვენა - ბოლო მეოთხედში კანადელებმა მხოლოდ 5 ქულა დააგროვეს. "ტორონტომ" რის ვაივაგლახით შეინარჩუნა უპირატესობა - "პეისერსის" 9:0 გაქცევა 72:74-ზე გაჩერდა. სათამაშო რჩებოდა წუთი და ორი წამი და ამ დროის განმავლობაში ვერც ერთმა გუნდმა ქულა ველარ აიღო.

■ ■ ■

კვლავ აღფრთოვანებაში მოჰყავს კალათბურთის მოყვარულები "პორტლენდის" დებიუტანტს **დემიან ლილარდს**. სანამ 2012 წლის დრაფტის პირველი ნომერი **ენტონი დევისი** ტრავმას მკურნალობს, სწორედ "ბლეიზერსის" გამთამაშებელი აგროვებს ბონუსებს სეზონის საუკეთესო ახალბედას პრიზისთვის ბრძოლაში. "საკრამენტოსთან" მატჩში ის ორივე გუნდში საუკეთესო კალათბურთელი იყო - 22 ქულა (თამაშიდან 10-დან 7 ზუსტი ტყორცნა, მათ შორის 6-დან 5 ზუსტი სამქულიანი) და 9 შედეგიანი პასი.

**შარლოტი-ვაშინგტონი 92:76**

**23:27, 29:12, 18:22, 22:15**

**შ:** სეშენსი (21), უოკერი (17), კიდ-გილკრისტი (15+8 მოხსნა), ტომასი (10), ჰეივუდი (8+11 მოხსნა).

**ვ:** არიზა (19).

**ინდიანა-ტორონტო 72:74**

**21:29, 15:17, 22:23, 14:5**

**ი:** ჰილი (18), ჯორჯი (12+9 მოხსნა), უესტი (11+6 მოხსნა).

**ტ:** დეროზანი (15+5 მოხსნა), კალდერონი (13+10 მოხსნა+10 პასი), კლეიზა (10).

**ბრუკლინი-კლივლენდი 114:101**

**29:30, 35:12, 21:33, 29:26**

**ბ:** უილიამსი (26+10 პასი), ჯონსონი (25+5 მოხსნა+6 პასი), ლოპესი (23+7 მოხსნა+4 დაფარება), ბლეტჩი (13+5 მოხსნა+3 დაფარება), ჰემფრიზი (12+6 მოხსნა).

**კ:** ვარეჟაო (35+18 მოხსნა), ირვინგი (34+8 პასი), ტომპსონი (14+5 მოხსნა).

**საკრამენტო-პორტლენდი 86:103**

**18:25, 24:21, 16:28, 28:29**

**ს:** ჯონსონი (16), ტორნტონი (14+5 მოხსნა), ფრედეტი (13+6 პასი), რობინსონი (12), ტ. ევანსი (10), ტომპსონი (8+11 მოხსნა).

**პ:** ლილარდი (22+9 პასი), ოლდრიჯი (19+5 მოხსნა), მეტიუზი (18), ბატუმი (15+7 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ჰიქსონი (10+13 მოხსნა).

## ამბები

### ჰორნეტსმა უორიკი გაცვალა

"ნიუ ორლეან ჰორნეტსის" ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ თავისი ფორვარდის - **ჰაკიმ უორიკის** გაცვლა გადაწყვიტა. ეს კალათბურთელი "შარლოტ ბობკეტსში" გააგრძელებს კარიერას, მის ნაცვლად კი "ჰორნეტსში" **მეტ კეროლი** ჩაირიცხა. ორივე კალათბურთელმა წლევანდელ რეგულარულში მხოლოდ თითოთითო თამაში ჩაატარა.

30 წლის უორიკი ადრე "მემფისში", "მილუოკიში", "ჩიკაგოსა" და "ფინიქსში" თამაშობდა და 499 მატჩში საშუალოდ 9.5 ქულა და 4.1 მოხსნა დააგროვა.

თავის მხრივ, 32 წლის კეროლმა მოასწრო "პორტლენდში", "სან ანტონიოში", "შარლოტსა" და "დალასში" თამაში. 459 მატჩში მისი მონაგარი 6.6 ქულასა და 1.9 მოხსნას შეადგენს.

### კოლანჯელომ ამერიკელი კალათბურთელი მეორედ ჩაიბარა

ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე ხელმეორედ აირჩიეს **ჯერი კოლანჯელო** - ის ამ თანამდებობაზე 2016 წლამდე იმუშავებს. გადაწყვეტილება ფედერაციის დირექტორთა საბჭოს ყოველწლიურ სხდომაზე მიიღეს, რომელიც კოლორადოს შტატის ქალაქ კოლორადო-სპრინგში ჩატარდა. პრეზიდენტის გარდა, თავიანთი პოსტები შეინარჩუნეს ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრებმა.

კოლანჯელო 2005 წლიდან არის აშშ-ის ნაკრების გენერალური მენეჯერი, 2009 წელს კი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას ჩაუდგა სათავეში. მისი მუშაობის პერიოდში, აშშ-ის ქალთა და მამაკაცთა ნაკრებები ორ-ორჯერ გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები და თითოჯერ მოიგეს მსოფლიოს ჩემპიონატი.

### NBA 5 მილიარდს ელოდება

წლევანდელი სეზონის შემდეგ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის შემოსავალმა, შესაძლოა, სარეკორდო თანხა - 5 მილიარდი შეადგინოს. ამის შესახებ განაცხადა NBA-ის კომისარმა **დევიდ სტერნმა**.

სტერნის ვარაუდით, შემოსავლის ზრდამ 2010-11 წლების სეზონთან შედარებით 20 პროცენტი უნდა შეადგინოს, რაც ლიგას დაახლოებით 5-მილიარდიან მოგებას მოუტანს. ასეთი მაჩვენებლით, NBA ჩრდილოეთ ამერიკაში მესამე ლიგა გახდება შემოსავლიანობის მხრივ. მასზე წინ იმყოფებიან ფეხბურთის ეროვნული ლიგა (NFL), რომლის შემოსავალია 9 მილიარდი და ბეისბოლის მთავარი ლიგა (MLB) - 7.5 მილიარდი დოლარი.

### ნოვიცკის დაბრუნება დაგვიანდება

"დალას მავერიქსის" ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ** არადამაიმედებელი განცხადება გააკეთა საკუთარ ტრავმასთან დაკავშირებით. კერძოდ, გერმანელმა ვარსკვლავმა განაცხადა, რომ მარჯვენა მუხლზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ, აღდგენითი პროცესი იმაზე მეტ დროს წაიღებს, ვიდრე ეს თავდაპირველად იყო ნავარაუდები. "მავერიქსის" ფორვარდს არ დაუზუსტებია, ზუსტად როდის შეუერთდება გუნდს.

ნოვიცკიმ მუხლზე ოპერაცია 19 ოქტომბერს გადაიტანა და რეაბილიტაციის პერიოდი, შესაძლოა, თვენახევრით გაიწელოს. ადრე გერმანელს არასოდეს გამოუტოვებია სეზონში ათ მატჩზე მეტი.

### ჰოვარდი გუნდს ეძებს

როგორც ESPN იტყობინება, თავისუფალი აგენტი **ჯოშ ჰოვარდი** გუშინ გასინჯვაზე იყო „მინესოტაში". ადრე, 32 წლის მცველმა ამავე მიზნით ჩაატარა ვარჯიშები „შარლოტში", „სან ანტონიოში", „ფილადელფიასა" და „ინდიანაში", მაგრამ ვერც ერთთან კონტრაქტის გაფორმება ვერ შეძლო.

გასულ სეზონში ჰოვარდი „იუტას" შემადგენლობაში ირიცხებოდა და 43 მატჩში 8.7 ქულას, 3.7 მოხსნასა და 1.2 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

### ბადინგერი სამი თვით დაიმტვრა

„მინესოტას" ფორვარდმა **ჩეიზ ბადინგერმა** ტრავმირებულ მარცხენა მუხლზე ოპერაცია გადაიტანა და ამის გამო, მინიმუმ 3 თვეს გამოტოვებს, - წერს Yahoo! Sports.

შეგახსენებთ, რომ ბადინგერმა ეს დაზიანება „ჩიკაგოს" წინაალმდეგ რეგულარული ჩემპიონატის მატჩში მიიღო.

მიმდინარე სეზონში ბადინგერი საშუალოდ მატჩში 11.8 ქულითა და 3.5 მოხსნით ეხმარებოდა თავის გუნდს.

### ერთ-ორ კვირაში ნეში დაბრუნდება

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ბანაკიდან ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გუნდის ვეტერანი გამთამაშებელი **სტივ ნეში** კიდევ ერთ ან ორ კვირას გამოტოვებს. ასეთ ვარაუდს თავად კალათბურთელი გამოთქვამს. როგორც იცით, 38 წლის მოთამაშე აგრძელებს აღდგენით კურსს მარცხენა ფეხის დაზიანების გამო.

ნეშმა ამ რეგულარულში მხოლოდ ორი მატჩის ჩატარება მოასწრო და საშუალოდ 4.5 ქულა, 3.0 მოხსნა და 4.0 შედეგიანი პასი დააგროვა. კანადელმა მცველმა დაზიანება პორტლენდელ დებიუტანტთან **დამიენ ლილარდთან** შეჯახებისას მიიღო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

● ჩოგბურთი

# ნლის შემაჯამებელი ციფრებში

**გთავაზობთ ლონდონში დასრულებული წლის შემაჯამებელი ტურნირის სტატისტიკურ მონაცემებს, რაც ნაწილობრივ 2012 წლის სეზონის ერთგვარი სტატისტიკური შეჯამებაცაა...**


ნოვაკ ჯოკოვიჩი

2 - **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** კარიერაში მეორედ მოიგო წლის შემაჯამებელი ტურნირი. პირველი ტიტული მან აქ ოთხი წლის წინ გაიფორმა.

3 - **რაფაელ ნადალმა** ტრავმის გამო მესამედ ვერ შეძლო დასკვნით ტურნირში მონაწილეობის მიღება. ადრე ასეთი რამ 2005 და 2008 წლებში მოხდა.

3 - ჯოკოვიჩმა ამ სეზონში მესამედ მოუგო **როჯერ ფედერერს**. წინა ორ მატჩში მან გრუნტზე მოიპოვა გამარჯვება (რომსა და როლან გაროსზე). როჯერმა მხოლოდ ორჯერ მოუგო ნოვაკს: უიმბლდონსა და ცინცინატიში.

3 - **მარსელ გრანოლერსმა** და **მარკ ლოპესმა** მესამე ერთობლივი ტიტული მოიპოვეს წელს. მანამდე მათ რომსა და გშტაადში მოიგეს მთავარი პრიზი.

4 - მხოლოდ მეოთხედ წლის შემაჯამებელი ტურნირის ისტორიაში, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პირველი და მეორე ჩოგანი. ამასთან, ორჯერ მეორე ნომრებმა მოიგეს: 1983 წელს **ჯონ მაკინროიმ** დაამარცხა **ივან ლენდლი**, 2010 წელს - ფედერერი ნადალზე ძლიერი იყო.

5 - კარიერაში მეხუთედ ფედერერმა გადააჭარბა სეზონში 70-მოგებიან ზღვარს.

5 - ინდოელმა **მაეშ ბჰუპატიმ** მეხუთედ ითამაშა წყვილებს შორის წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში და მეხუთე მარცხი იწვნია. სამჯერ მისი პარტნიორი იყო **ლეანდერ პაესი**, თითოჯერ **მაქს მირნი** და **როჰან ბოპანა**.

7 - წლის შემაჯამებელი ტურნირის შარშანდელი შემადგენლობიდან ლონდონში შვიდი ჩოგბურთელი ვიხილეთ. მხოლოდ **ხუან მარტინ დელ პოტროს** არ უთამაშია შარშანდელ ტურნირში.

8 - წლის შემაჯამებელი ტურნირის რვა ფინალში ფედერერი რვა სხვადასხვა მეტოქეს ხვდებოდა: 2003 წელი - **ანდრე აგასი**, 2004 - **ლეიტონ ჰიუიტი**, 2005 - **დავიდ ნალბანდიანი**, 2006 - **ჯეიმს ბლეიკი**, 2007 - **დავიდ ფერერი**, 2010 - რაფაელ ნადალი, 2011 - **ჟო-ვილფრიდ ცონგა** და 2012 - ნოვაკ ჯოკოვიჩი.

9 - ჯოკოვიჩი გახდა მეცხრე ჩოგბურთელი, რომელმაც წლის შემაჯამებელი ტურნირი პირველი ჩოგანის რანგში მოიგო. ადრე ეს მოახერხეს: **ილიე ნასტასემ** (1973), **ჯიმი კონორსმა** (1977), **ბიორნ ბორგმა** (1979, 1980), **ჯონ მაკინროიმ** (1984), **ივან ლენდლმა** (1985-87), **პიტ სამპრასმა** (1994, 1996, 1997), ლეიტონ ჰიუიტმა (2002) და როჯერ ფედერერმა (2004, 2006, 2007).

9 - გარდა ამისა, ჯოკოვიჩი აწევე მეცხრე მოთამაშეა, ვისაც წლის დასკვნით ტურნირზე მინიმუმ ორჯერ აქვს მოგებული მთავარი პრიზი. ამ მაჩვენებლით რეკორდსმენია ფედერერი - მის ანგარიშზე ექვსი ტიტული მოდის.

11 - ზედიზედ მეთერთმეტედ ითამაშა ფედერერმა წლის შემაჯამებელ ტურნირში. ის დაეწია პიტ სამპრასს და უკვე მომდევნო სეზონში შეუძლია ამ მაჩვენებლით რეკორდსმენის - ივან ლენდლის დაწევა.

12 - ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** წაგებით შეწყდა ფედერერის 12-მატჩიანი მოგებათა სერია წლის შემაჯამებელ ტურნირზე. ასე რომ, როჯერმა ვერ გაიმეორა საკუთარი სერია - ზედიზედ 14 მოგება (2003-05 წლები).

29 - ფინალური მატჩი 29-ე დაპირისპირება იყო ჯოკოვიჩსა და ფედერერს შორის. ჯერჯერობით უპირატესობა შვეიცარიელის მხარესაა - 16:13.

34 - შემაჯამებელ ტურნირზე ჯოკოვიჩმა კარიერაში 34-ე ტიტული მიითვალა. ეს მისი მეექვსე ტრიუმფი იყო სეზონში, რითაც ის ფედერერს გაუთანაბრდა.

75 - ჯოკოვიჩმა წელი ლიდერის რანგში დაასრულა მოგებული მატჩების რაოდენობით - ფინალში ფედერერზე მოგება 75-ე იყო სერბისთვის 2012 წელს. დავიდ ფერერი, რომელმაც ლონდონში ორი შეხვედრა მოიგო, ერთი წაგებით ჩამორჩა ნოვაკს.

76 - წელს როჯერ ფედერერმა ვერ შეძლო ტიტულების რაოდენობით ჯონ მაკინროისთან გათანაბრება. ამერიკელი 77 გამარჯვებით მესამე ადგილზეა ყველა დროის სიაში, როჯერი კი 76 ტიტულზე გაჩერდა.

110 - ლონდონში ფედერერმა თავისი 110-ე ფინალი ითამაშა პროფესიულ ჩოგბურთში. შვეიცარიელმა 34-ე გადამწყვეტი მატჩი წააგო. .

# დოპინგთან ბრძოლა მკაცრდება



**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაცია განიხილავს ახალი ანტისადოპინგო პროგრამის დანერგვის შესაძლებლობას - ეს არის, ე. წ. სპორტსმენთა ბიოლოგიური პასპორტები, რომელიც დოპინგის მიღების დადგენის საშუალებას იძლევა. ეს პრაქტიკა დანერგილია ველოსპორტსა და მძლეოსნობაში.

*„სერიოზულად განვიხილავთ ჩოგბურთში ბიობასპორტების გამოყენების პრაქტიკას. კარგი იქნება, თუ ამ სიახლეს 2013 წელს შემოვიღებთ, მაგრამ პროგრამა ჯერ არ არის შემუშავებული და არც შესაბამისი ტესტები ჩატარებულა. ამიტომაც არ შემიძლია რაიმე კონკრეტულის თქმა. თუ ჩვენ მისი შემოღება გადავწყვიტეთ, ამან კარგად უნდა იმუშაოს.*

*ჩვენ ვმუშაობთ დოპინგ-კონტროლის გაძლიერების მიმართულებით, გაიზრდება სპორტსმენთა ტურნირებს მიღმა შემოწმებათა რიცხვი. განსაკუთრებით ეს ეხება სისხლის ანალიზს. იმედია, წლის ბოლოს უკვე იქნება გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები“*, - ამბობს საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი სტიუარტ მილერი.


როდი და მერი

# ლეივერი დაქვრივდა

**ამერიკის** ქალაქ კარლსბადში გარდაიცვალა ლეგენდარული ავსტრალიელი ჩოგბურთელის **როდ ლეივერის** მეუღლე. 84 წლის **მერი ლეივერი** დიდი ხანი ავადმყოფობდა.

როდი და მერი 46 წლის განმავლობაში იყვნენ ცოლ-ქმარი. მათ ჰყავთ ვაჟი - **რიკი**, რომელიც 1969 წელს დაიბადა - სამი კვირის თავზე, როცა როდ ლეივერმა სეზონური „დიდი სლემი“ გაიფორმა.

მერი ლეივერი ქმარზე ათი წლით უფროსი იყო. ქორწინების მომენტში მას სამი შვილი ჰყავდა წინა ქმრისგან. ბოლო 11 წლის განმავლობაში ლეივერები კალიფორნიაში ცხოვრობდნენ.

# მადრიდის მასტერსი, როგორც საფეხბურთო მუნდიალი

**წარსულში** ცნობილი რუმინელი ჩოგბურთელი **იონ ცირიაკი**, რომელიც ამჟამად მადრიდის მასტერსის მფლობელი გახლავთ, აგრძელებს ექსპერიმენტებს ამ ტურნირთან დაკავშირებით. ამჯერად, ცირიაკი გრუნტის მასტერსის ფორმატის შეცვლის იდეით გამოდის.

*„მე მინდა, რომ ტურნირის ძირითადი ბადის 32 მოთამაშე რვა ჯგუფად დაიყოს. თითო ქვეჯგუფში ოთხ-ოთხი მოთამაშე იქნება. ამის შემდეგ ჩატარდება მერვედფინალი, მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და ფინალი*, - ამბობს ცირიაკი ამერიკული ჟურნალი Wall Street Journal-სთვის მიცემულ ინტერვიუში, - *ანუ ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც ეს ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატზეა“*.

შეგახსენებთ, წელს მადრიდის მასტერსზე ცირიაკმა თამამი ექსპერიმენტი ჩაატარა - ჩოგბურთელები ცისფერ გრუნტზე ათამაშა. თუმცა საყოველთაო აღიარებით, ექსპერიმენტმა არ გაამართლა და 2013 წელს, მადრიდში საფარი ისევ წითელი გრუნტი იქნება.




გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### მუნდიალი 2014

| ევროპა | |
|---|---|
| ჩრ. ირლანდია-აზერბაიჯანი | 1:1 |
| ჩერნოგორია-სან მარინო | 3:0 |

| აზია | |
|---|---|
| კატარი-ლიბანი | 1:0 |
| ირანი-უზბეკეთი | 0:1 |
| ომანი-იაპონია | 1:2 |
| ერაყი-იორდანია | 1:0 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| კორეა-ავსტრალია | 1:2 |
| ჩინეთი-ახ. ზელანდია | 1:1 |
| კდრ-ბურკინა ფასო | 0:1 |
| ტაილანდი-ბუტანი | 5:0 |
| მალაიზია-ჰონგ კონგი | 1:1 |
| ტანზანია-კენია | 1:0 |
| ქუვეითი-ბაჰრეინი | 1:1 |
| სომხეთი-ლიტვა | 4:2 |
| რუსეთი-აშშ | 2:2 |
| საემიროები-ესტონეთი | 2:1 |
| ანგოლა-კონგო | 1:1 |
| ბულგარეთი-უკრაინა | 0:1 |
| ჩეხეთი-სლოვაკეთი | 3:0 |
| ალჟირი-ბოსნია | 0:1 |
| კვიპროსი-ფინეთი | 0:3 |
| მაკედონია-სლოვენია | 3:2 |
| რუანდა-ნამიბია | 2:2 |
| ს. არაბეთი-არგენტინა | 0:0 |
| ტუნისი-შვეიცარია | 1:2 |
| ანდორა-ისლანდია | 0:2 |
| ლიხტანშტაინი-მალტა | 0:1 |
| ნიგერი-სენეგალი | 1:1 |
| ს. აფრიკა-ზამბია | 0:1 |
| ისრაელი-ბელარუსი | 1:2 |
| ჩილე-სერბეთი | 1:3 |
| მაროკო-ტოგო | 0:1 |
| რუმინეთი-ბელგია | 2:1 |
| თურქეთი-დანია | 1:1 |
| ლუქსემბურგი-შოტლანდია | 1:2 |
| ავსტრია-კოტ დ'ივუარი | 0:3 |
| გაბონი-პორტუგალია | 2:2 |
| ჰოლანდია-გერმანია | 0:0 |
| უნგრეთი-ნორვეგია | 0:2 |
| შვედეთი-ინგლისი | 4:2 |
| ალბანეთი-კამერუნი | 0:0 |
| პოლონეთი-ურუგვაი | 1:3 |
| ირლანდია-საბერძნეთი | 0:1 |
| იტალია-საფრანგეთი | 1:2 |

| UNDER 21 | |
|---|---|
| მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1:1 |
| ბულგარეთი-მაკედონია | 1:1 |
| საბერძნეთი-ავსტრია | 1:1 |
| უნგრეთი-ჩერნოგორია | 0:0 |
| ჩეხეთი-შვედეთი | 1:1 |
| ბოსნია-პოლონეთი | 0:0 |
| ისრაელი-ბელარუსი | 2:0 |
| გერმანია-თურქეთი | 1:1 |
| პორტუგალია-შოტლანდია | 3:2 |
| რუსეთი-სლოვაკეთი | 2:1 |

| ინგლისის თასი | |
|---|---|
| გლოჩესტერი-ლეიტონი | 0:2 |

### ინგლისი

| FA Trophy | |
|---|---|
| უორკშოპი-ჩესტერი | 2:0 |
| კორბი-უილდსტოუნი | 3:2 |

### იტალია

| სერია C1/A | |
|---|---|
| ლუმეცანე-ლეჩე | 2:1 |

### საფრანგეთი

| [illegible] | |
|---|---|
| გფკო აიაჩო-ნიცა | 2:2 |

| [illegible] | |
|---|---|
| მიონდალენი-ბორდო გლიმტი | 1:2 |
| სანდეფიორდი-ულ კისა | 3:4 |

| არგენტინა | |
|---|---|
| ოლ ბოისი-კოლონი | 1:1 |

## ფუტსალი

| მსოფლიოს ჩემპიონატი | |
|---|---|
| არგენტინა-ბრაზილია | 2:3 დ.დ. |
| კოლუმბია-უკრაინა | 3:1 |
| პორტუგალია-იტალია | 3:4 დ.დ. |
| ესპანეთი-რუსეთი | 3:2 |

## კალათბურთი

| ევროთასი | |
|---|---|
| უნიქსი-ოსტენდე | 83:72 |
| ლოკომოტივი-სოპოტი | 99:79 |
| ტრიუმფი-ერტლანდი | 84:79 (ო) |
| აზოვმაში-ვალენსია | 70:76 |
| სპარტაკი-შოლე | 69:60 |
| ბანვითი-ვიურცბურგი | 101:82 |
| ბუდიველნიკი-რუდუპისი | 84:57 |
| პანიონიოსი-სტელმეტი | 70:76 |
| ჰაპოელი (ი)-ნიმბურკი | 69:86 |
| გალათასარაი-დონეცკი | 72:68 |
| ულმი-ციბონა | 83:68 |
| ბუდუჩნოსტი-აკადემიკი | 75:72 |
| ორლეანი-სასარი | 88:75 |
| სევილია-ცრვენა ზვეზდა | 93:95 (ო) |

| ევროჩელენჯი | |
|---|---|
| პლოეშტი-კრ. კრილია | 76:79 |
| კერავნოსი-კატაია | 72:67 |
| ტელეკომი-ჰაპოელი (ჰ) | 85:78 |

## ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| ბარისი-ტრაქტორი | 3:6 |
| ავანგარდი-მეტალურგი (მ) | 3:2 (ო) |
| იუგრა-ავტომობილისტი | 2:1 (ბ) |
| ლოკომოტივი-სლოვანი | 4:0 |
| ტორპედო-ლევ პოპრადი | 2:3 |
| ატლანტი-ცსკა | 0:2 |
| ვიტიაზი-დინამო (მ) | 3:4 (ო) |
| სპარტაკი-ს. იულიაევი | 2:3 (ბ) |
| დინამო (მნ)-სკა | 1:4 |
| დონბასი-ნეფტიხიმიკი | 3:2 (ბ) |
| დინამო (რ)-აკ ბარსი | 0:3 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ალბა-ვენა | 3:1 |
| ვილახი-გრაცი | 5:7 |
| დორნბირნი-ლინცი | 3:5 |
| ინსბრუკი-ზალცბურგი | 2:5 |
| კლაგენფიურტი-ზნოიმო | 1:2 |
| ზაგრები-ოლიმპია | 1:4 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-ბისტრიცა | 4:5 |
| მარტინი-პიესტანი | 3:2 (ბ) |
| სკალიცა-პოპრადი | 0:5 |
| ზვოლენი-კოშიცე | 5:2 |
| ნიტრა-ტრენჩინი | 3:1 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ხომუტოვი-ქლინი | 1:2 |
| პარდუბიცე-კარლოვი ვარი | 1:2 |
| ბრნო-ლიტვინოვი | 3:4 (ო) |
| სლავია-ვიტკოვიცე | 0:1 |
| სპარტა-პლზენი | 3:2 |
| კლადნო-ბუდეიოვიცე | 2:3 (ო) |

● TV პროგრამა

### 15 ოქტომბერი. ხუთშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-გერმანია.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XI ტური. ვოლფსბურგი-ლევერკუზენი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. ჩელსი-ლივერპული.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XII ტური. ეინდჰოვენი-ჰერენვეენი.
**21:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. XI ტური. არსენალი-ფულემი.
**00:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIII ტური. გოდოი-რასინგი.

#### GMG-სპორტი 1

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-აინტრახტი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-კლივლენდი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ტვენტე.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. მანსტერი-ედინბურგი.
**19:00** საჩოგბურთო მიმოხილვა – მატჩ-პოინტი.
**20:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. რობერტო ბაჯო.
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**21:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-კლივლენდი.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. VI ტური. პანათინაიკოსი-რეალი (LIVE).

#### GMG-სპორტი 2

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ჩელსი-შახტარი.
**19:45** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ტორონტო.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.

ბიბლიოთეკა

ძალოსნობა





# ყველაზე ლამაზი ოლიმპიელი

პარაგვაელმა შუბის მტყოცნელმა **ლერინ ფრანკომ** ლონდონის ოლიმპიადაზე მხოლოდ 51-ე ადგილი დაიკავა, მაგრამ დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენია - თუ რატომ, ამას თავადაც ხვდებით. 30 წლის სამხრეთამერიკელმა ამ დღეებში მაიამიში დაისვენა და პაპარაცებს ისევ მიეცათ ლერინის მომხიბვლელი ფორმების დაფიქსირების საშუალება. რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, რომ ფრანკო უფრო ცნობილია როგორც მოდელი და არა სპორტსმენი.

ფრანკოს პირადი რეკორდი 57.77 მეტრს შეადგენს და ის 2011 წელს არის ნაჩვენები. თუმცა პარაგვაელი ლონდონის თამაშებზე ახლოსაც ვერ მივიდა ამ შედეგთან - მან შუბი მხოლოდ 51.45 მეტრზე გატყორცნა.

თუმცა პარაგვაელის სპორტული შედეგები დიდი ხანია მეორე პლანზე გადავიდა. მას ახლა მოდელის კარიერა უფრო ხიბლავს და ეს უკეთაც გამოსდის - გასულ წელს, ლერინ ფრანკო პოპულარულმა გამოცემა Sports Illustrated-მა გარეკანზე გამოსახა.

დოპინგი

# ლეგენდა გამოიჭირეს

სერიოზულ სკანდალში გაეხვია ლეგენდარული იტალიელი ჟოკეი **ფრენკი დეტორი** - საფრანგეთში აღებულმა დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა - ამის შესახებ ჟურნალისტებს დეტორის ადვოკატმა განუცხადა.

ლაპარაკია 16 სექტემბერს აღებულ სინჯზე, თუმცა ჟურნალისტებმა ვერ გაარკვიეს - რა ნივთიერება აღმოჩნდა იტალიელი ჟოკეის ორგანიზმში. ის კი ცნობილია, რომ ამ ტესტის გამო დეტორი მომავალ კვირას - საფრანგეთში გასამართ დოღში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ფრანკი დეტორი აკრძალული პრეპარატის მიღებაში გამოიჭირეს. 1993 წელს, მას პოლიციასთან ჰქონდა საქმე კოკაინის მოხმარების გამო.




ფრენკი დეტორი

ავტოსპორტი

# ვინ ეწევა ფორმულა 1-ში?



კეკე როსბერგი

„მერსედესის" წევრმა **ნიკო როსბერგმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იცის თანამედროვე ფორმულა 1-ის ერთი პილოტი, რომელიც თავგადაკლული მწეველია.

საუბრისას სიგარეტის მოწევაზე ლაპარაკი მას შემდეგ ჩამოვარდა, როცა როსბერგმა გაიხსენა ტეხასის შტატში ჩატარებული ბოლო რბოლა - 1984 წელს, ნიკოს მამამ **კეკე როსბერგმა** მოიგო რბოლა დალასში.

*„40 გრადუსი სიცხე იყო. იმ დროს, როცა ყველა პილოტი გასაგრილებელ კომბინეზონებში იყო გამოწყობილი, მამაჩემი მზეზე წელსზემოთ შიშველი დააბიჯებდა და თან სიგარეტს აბოლებდა. მან სტარტამდე დაამარცხა ყველა კონკურენტი",* - ღიმილით ლაპარაკობს ნიკო La Stampa-თან ინტერვიუს დროს.

იტალიურმა გაზეთმა აღნიშნა, რომ ჩვენს დღეებში საქმისადმი ამგვარი მიდგომა გამორიცხულია. მაგრამ ნიკო ამას არ დაეთანხმა.

*„სიგარეტის მოწევაზე ამბობთ? არა, მართალი არ ხართ. დღეს არსებობს ერთი პილოტი, რომელიც ზედიზედ ეწევა სიგარეტს. არ დავასახელებ მის გვარს",* - განაცხადა როსბერგმა.

# ბერნის შემცვლელი უპოვეს

ინგლისის საფეხბურთო პრემიერლიგის აღმასრულებელი დირექტორი **რიჩარდ სკუდამორი**, შესაძლოა, ფორმულა 1-ის მრავალწლიანი შეფის **ბერნი ექლსტოუნის** შემცვლელი გახდეს, - წერს Motorsport-Total.

ადრე ექლსტონმა არაერთხელ განაცხადა, რომ არ აპირებს მინიმუმ სამი წელი პენსიაში გასვლას. ამავდროულად, მან დაადასტურა, რომ ფორმულა 1-ის აქციონერები აქტიურად ეძებენ ბერნის მემკვიდრეს, რათა კარგად მომზადებულნი შეხვდნენ ბრიტანელის წასვლას. ამ დღეებში გამოცხადდა, რომ ექლსტოუნის პოსტზე ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად სწორედ სკუდამორი სახელდება.




რიჩარდ სკუდამორი

ეს ბრიტანელი პრემიერლიგას 1989 წელს ჩაუდგა სათავეში და მას შემდეგ, ინგლისის ჩემპიონატი მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარული საფეხბურთო ლიგა გახდა. მარტო სატელევიზიო უფლებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 6.2 მილიარდ ფუნტს შეადგენს.

■ ■ ■

გერმანული გამოცემის - Auto Motor und Sport-ის ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ 2012 წლის სეზონში შემცირდა პიტსტოპების რიცხვი 2011 წლის ჩემპიონატთან შედარებით.

2011 წელს, პირველი 18 რბოლის დროს ჩატარდა 1058 პიტსტოპი, იმ დროს, როცა 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში 854 პიტსტოპი დაფიქსირდა, რაც 204-ით ნაკლებია. პიტსტოპების შემცირებული რაოდენობის მიზეზად სახელდება „პირელის" უფრო კონსერვატული მიდგომა საბურავების არჩევასთან დაკავშირებით, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ახლა, გუნდები უკეთ ერკვევიან რეზინის შემადგენლობის არჩევაში.

*„შესაძლოა, ინდოეთსა და აბუ დაბიში რეზინის შემადგენლობა მეტად ხისტი იყო. ამას მომავალი წლისთვის გავითვალისწინებთ. გარდა ამისა, დღეს მანქანები უფრო მეტი მოჭიდების ძალის გენერირებას ახდენენ, გუნდებმა კი ისწავლეს საბურავებთან მუშაობა",* - განაცხადა საბურავების მწარმოებელი კომპანიის - „პირელის" საავტომობილო განყოფილების ხელმძღვანელმა პოლ ჰემბრიმ.

კალათბურთი

# შეშლილი მოედანზე

ბელგიის საკალათბურთო ჩემპიონატის მეხუთე დივიზიონში მოთამაშე კლუბის - „ნატუაის" მოთამაშემ ოთხჯერ სცადა საკუთარ ფარში ბურთის ჩაგდება, მაგრამ ოთხივე ტყორცნა ააცილა. რატომ ისროდა ბურთს კალათბურთელი თავის ფარში, უცნობი დარჩა. მან მაინც ვერ მოახერხა ზუსტი ტყორცნა და მეოთხე სროლის შემდეგ, ბურთი ფარიდან მისმა თანაგუნდელმა მოხსნა.

ინციდენტი „ნატუაისა" და „გოლდენ კონტის" შეხვედრის დროს მოხდა. ეს მატჩი 10 ნოემბერს გაიმართა და „გოლდენ კონტის" გამარჯვებით დასრულდა - 91:49.

მოგვიანებით, ამ ეპიზოდის ვიდეო YouTube-ზე დაიდო და ცოტა ხანში ის 20 ათასმა ადამიანმა ნახა. ვებგვერდ spi0n.com-ის ინფორმაციით, საკუთარ ფარში ესროდა **პიერ-ივ ვენკენი**. მან მეტოქის მიერ აცილებული საჯარიმოს შემდეგ მოხსნა ბურთი და ჯიუტად სცადა საკუთარი ფარის აღება.

„ნატუაის" მწვრთნელმა **დიდიე ტემანმა** ბელგიური პრესისთვის მიცემულ კომენტარში განაცხადა, რომ „გოლდენ კონტისთან" მატჩში მის შეგირდებს ოდნავ არ გაუმართლათ. ტემანის სიტყვებით, მისი გუნდი პირველი ტაიმის შემდეგ 11 ქულას აგებდა და დასაკარგი არაფერი ჰქონდა, ამიტომაც გარისკა და დიდი ანგარიშით დამარცხდა. მწვრთნელმა ისიც აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში „ნატუაი" ეცდება პირველი გამარჯვება მოიპოვოს თავის დივიზიონში.

რვა ტურის შემდეგ, „ნატუაის" რვა წაგება აქვს და ბოლო ადგილს იკავებს 14-გუნდიან ჩემპიონატში. ეს გუნდი, საშუალოდ 30 ქულის სხვაობით აგებს მატჩებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**